

വെളിച്ചം

№2 (51) 2022



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო



იალპანი - შემეცნებით-ლიტერატურული
 შურნალი ყვანვითათვის
 დაარსებულია 1996 წელს



ავჩიმო - კონა-კრეპული
 ყველაზე პატარებისთვის
 დაარსებულია 2010 წელს

რედაქტორი **ნანა ჭანტურიან**
 მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**
 მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუსაძე**
 დიზაინი, დაკაბადონება **პანტანო ზაქარაია**

რას ნაიკითხავთ

სხელოვანი მწერალი და სწავლავ მოღვაწე, ზვიად
 გამსახიძის ავითუყოლი თანამეზობლი ვახაშ
 ქეჩიანივილი ვეიყუეს აკხაინაში ვაქაშესკო 20
 წლინაბე. მოახედავ იბის, რომ თავიდან ბაქონი
 ვახაშისვილ სხვა ქვეყანაში კრეხაქია იდაქოქითი
 ნაბიჯი იყო და სწობოლოთთან ვანოიქს ქვივილითან
 იყო დაკავშირესკო, აკხაინაში ყოვანა ილ, რომოიქ
 ჩიხოვინეს და შემოქელი, სკოლიქა
 ვამედიხა. **გვ. 18**

ახოს ქიქომაივილი სიქოქსლოვიე ანოქს "ქაითალი
 მაქიკოს ქვეთიქ თაკაივილი". ახლოქს დლოქში
 ვამოიქვა მოსი ღვანლო წაშომიქნი წივნი, სქაქ მოს
 ზსახეს ახლოქსი ადმიანქი სავიხოქნი... ქითი მოვინეს
 ვანსაკუთქიქი ფაკოქია: ღიქ ვამალივილი სავითაში
 შვილი - ავით ქიქომაივილი იხსენეს, შვილი, რომოიქ
 აქხოქიში ქხოვიხოქს და მოღვაწოქს, ვილ ზსახესქე ღენეს
 სწოვადოქნი ძალიან ქოქს ზამ იქილ. **გვ. 8**

ხოქა ავხანოქი თი დინქო, ზხაბ დანდაყ ვიზიქ
 ინსქიქქიქში მაქაოქსა. სომიქ ვავილ დიქუბისთანავე
 ნავიქა, ავხანოქი ვი დიქოვა სოხაქილ დიქუბილ შვექ
 მან, სქანქო დიქოქს შთაკიქა, ავხანოქიდან ვამოიქანა
 ანიქაკოქი ჩანანქიქილ ღიქოქი - თილ აკანსქიქი 13
 დილს ქიქიქა. ზხაბ დანდაყ შიქექს თხზავს, შიქექს
 აქამაქს. აქბლოქიქა "ჩაქ თიქა მოთიქვა" მათიქი
 ვიქილ მათიქი ფიქვექქიქია. **გვ. 21**

საგამოცემლო ჯგუფი:
 გიგლა გოგაქია, ნინო ვახანია, ზაურ კალანდია, სალომე კახანაძე, დავით კოგახიძე, ნატო კორსანტი, ნუგზარ მგალოვლივილი, გურამ პეტრიავილი, ვენერა რურუა, პატა ქურდოვანიძე, გელა ჩქვანავა, მარიამ ნიქლაური, სოსო ჭუმბურიძე, ეკა სოფირია.

აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა* - ისტორიული ძეგლი

აფხაზეთის ტაძრებსა და ეკლესიის კედლებზე, ხატებზე, ქვის სვეტებსა და ფილებზე, მღვიმეთა კედლებზე შემორჩენილია შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული წარწერები. ამასთან ერთად, ჩვენამდე მოღწეულია თურქულ და ბერძნულ ენებზე შესრულებული ნიმუშებიც.

თურქულ ენაზე შემორჩენილი 6 ეპიგრაფიკული ძეგლიდან უძველესია ვინმე მეჰმედის ლაპიდარული** წარწერა, დათარიღებული 1598 წლით (ყველა თურქული წარწერა საფლავის ქვის ეპიტაფიაა).

ბერძნული წარწერების რიცხვი 22-ია. ის, ძირითადად, შესრულებულია IX ს.-მდე. მათი უმრავლესობა განეკუთვნება დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონიის ხანას.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველო ეკლესიურად იმთავითვე კონსტანტინოპოლის (ბიზანტია) საპატრიარქოში შედიოდა, რის გამოც მღვდელმსახურება ბერძნულ ენაზე სრულდებოდა. ვიდრე ამ კუთხეში ბიზანტია ბატონობდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან დაპირისპირება ძნელი იყო. მცხეთის საკათალიკოსო ტახტი იმედებს მაინც ქართულ მოსახლეობაზე ამყარებდა. ამასთან, ნელ-ნელა სუსტდებოდა ბიზანტიის პოლიტიკური ჰეგემონია და, შესაბამისად, მისი გავლენა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებზე. თანდათან დაიწყო ბერძნული საეკლესიო კათედრების გაუქმება და მათ ნაცვლად ქართული საეპისკოპოსოების დაარსება.

სწორედ IX ს.-ში ხდება ბიზანტიის გავლენებისაგან ეკლესიების გათავისუფლება და სახელმწიფო თუ საეკლესიო ენად ქართულის გაბატონება. უკვე წირვა-ლოცვაც ამ ახალ საეპისკოპოსოებში მოსახლეობისთვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე სრულდება.

IX ს.-ში დასავლეთ საქართველო, მათ შორის, აფხაზეთა სამეფოც ეკლესიურად მცხეთის ტახტს დაემქვემდებარა.

დიმიტრი გულიაც აღნიშნავდა: „უდაოდ დადგენილია, რომ უკვე აფხაზეთის სამეფოში, ყოველ შემთხვევაში, IX ს.-ის შუა წლებიდან ქართული ენა წარმოადგენს დამწერლობის ერთადერთ ენას სახელმწიფო და კერძო საქმის წარმოებაში, ეკლესიებში და ა.შ.“

აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ ეპოქალური მნიშვნელობის პერიოდიდან იწყება ქართული ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიც სწორედ IX ს.-დან გვხვდება.

რეგიონში აღრიცხულია 100-ზე მეტი ქართული წარწერა, როგორც ლაპიდარული. მათგან 15-მდე ეპიგრაფიკული ძეგლი მიანიშნებს აფხაზეთა მეფეების სახელებს. დაახლოებით 30 ქართული წარწერა შემონახულია ბედიის, ბიჭვინთის, ნებელდისა და ილორის ტაძრებისადმი შეწირულ ხატებზე.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ყველაზე უძველესი ქართული ლაპიდარული წარწერა აღმოჩენილია სწორედ აფხაზეთში: ესაა სოფელ სანაპიროს მახლობლად (გუდაუთის რ-ნი), მსიგზუას მთაზე აღმართული მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ეპიგრაფიკა, რომელიც IX ს.-ით თარიღდება. ორი ქართული წარწერა გვაუწყებს: 1. „ქრისტე შემინყალე მიქაელ, ამინ“; 2. „მიქაელ, ამინ“. თუმცა ცნობილი აფხაზოლოგი, დოქტორი თეიმურაზ გვანცელაძე აღნიშნავს, რომ ამ ძეგლის ეპიგრაფიკა იმდენად არქაული ასომთავრულია, რომ VIII ს.-ეს არ უნდა ცდებოდეს.

ასევე, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილ მნიშვნელოვან ქართულ წარწერებს განეკუთვნება სხვა არაერთი ძეგლიც.



მსიგზუას მთაზე აღმართული ეკლესიის ეპიგრაფიკა.
IX-X ს.ს. ბაქაუთა

* - ისტორიის დისციპლინა, რომელიც სწავლობს მაგარ მასალაზე (ქვა, ლითონი, ხე, მინა...) ძველ წარწერებს.

** - ქვაზე ამოჭრილი წარწერა.

ქართულ საბავშვო ლიტერატურას ბევრი ნიჟიერი შემოქმედი ჰყავს. ვფიქრობთ, მათ რიცხვს შეემატა კიდევ ერთი ძალზე საინტერესო საბავშვო ავტორი ნანა ქადაგიშვილი. მისი საღებულო მოთხრობა „კაჭაჭის გუმბული“ ქართული ჟღერადობით სათაურიდანვე იძევს ჩვენს ყურადღებას და რაღაც ძალიან ნაცნობი, თბილი შეგრძობებით გვაკვებს; ნანა ქადაგიშვილი თითქმის გვაგრუნებს მონათრებულ ბავშვობაში, გვაგრუნებს წიგნთან, გუნებასთან.

„ნანა ქადაგიშვილის მოთხრობები ისეთივე კარგია, როგორც რევაზ ინანიშვილის. მას (რევაზ ინანიშვილს), ალბათ, ძალიან გაახარებდა ამ ახალგაზრდა ავტორის გაცნობა“, – თქვა „კაჭაჭის გუმბულის“ წაკითხვის შემდეგ მწერალმა გურამ პეტრიაშვილმა.

ამგვარი შეფასება ისეთი დიდი საბავშვო მწერლისგან, როგორც ბრძანდება ბატონი გურამ პეტრიაშვილი, ვფიქრობთ, ძალიან ღირებულია. ვიმედოვნებთ, ნანა ქადაგიშვილი, თავისი ახალი მოთხრობებით კვლავაც გაამდიდრებს ქართულ საბავშვო პროზას.

კაჭაჭის გუმბული

ნანა ქადაგიშვილი

ტატო ოთხი წლის ხდებოდა და ლაპარაკი ვერა და ვერ ისწავლა. ორი წლის ასაკში სხვა ბავშვები რომ უკვე სიტყვას სიტყვაზე აბამდნენ, ეს დედა-მამას თქმას ძლივს ახერხებდა. ნათესავ-ახლობელი ქალების დაჟინებული რჩევით, დედამ საბავშვო ბაღშიც მიიყვანა, ლოგოპედთანაც ატარა, მაგრამ ორ წელიწადში ბიჭმა პირველად ნათქვამს კიდევ რამდენიმე სიტყვა მიამატა. ეს იყო და ეს.

ტატოს დაბადებიდან მეოთხე ზაფხულს თამარა ბებომ ჩამოაკითხა სოფლიდან. თამარა ტატოს მამის დეიდა იყო, ბავშვს სხვა ბებო არც ჰყავდა.

– მე ვიცი, ამას რაც უშველის, კაჭკაჭის ბუმბული უნდა გამოუსვათ ენის ქვეშ! – გამოუცხადა ბიჭის მშობლებს თამარამ.

დედა გადართია, მაგრამ მოხუცმა დაიჟინა, გამაყოლეთ ეს ბავშვი სოფელში და პირობას გაძლევთ, აჭიკჭიკებულს დაგიბრუნებთო. მამამ დედა დაამშვიდა, ბავშვი ლაპარაკს თუ ვერ ისწავლის, სუფთა

ჰაერზე მაინც იქნება და შენც ცოტა დაისვენებო. დედამაც გული დაინყნარა, ჩიტის ბუმბული ბავშვს ისეთს რას დაუშავებსო.

ასე წააცუნცუნა ბებიდამ პატარა ტატუნა სოფელში. თამარა მარტო ცხოვრობდა, ქმარი ადრე გარდაეცვალა, შვილი არ ჰყოლია. მარტო ქალი უვლიდა ეზო-კარ-მიდამოსაც და ბაღ-ბოსტან-ვენახსაც. ჰყავდა ძროხა მათა და ხბო ნუკრა, თხუთმეტიოდე ქათამი, ამდენივე წინილით. ქათმებს რომ საქათმეში საკენკს გადაუყრიდა, ლობის გარეთ პატარა საკბილოს ჩიტებისთვისაც მიაბნევდა ხოლმე, სულ ჭია-ლუა ხომ არ უნდა ჭამონო. ტყეში სოკოსა და პანტის საკრეფად რომ მიდიოდა, ვედროში სტაფილო და კომბოსტო ენყო, დამშეული კურდღელი იქნება სადმეო. ამდენი საქმის მიუხედავად, მისი ორსართულიანი სახლის მოპრიალებულ იატაკზე ნამცეცხასაც ვერ იპოვიდით და თაროზე – მტვერს. გამორჩეულად ნაპატივებ კუთხედ მაინც წიგნების თაროები გამოიყურებოდა. მემკვიდრეობით მიღებულ ძვირფასეულობას რომ უფრთხილდებიან ხოლმე, ისეთი რუდუნებით ჩაემწკრივებინა ქალს ცალკე მშობლიური, ცალკე უცხოური და ცალკეც საბავშვო ლიტერატურა თავ-თავიანთი სარჩევებით.

ტატოს ერთი-ორი დღე კი გაუჭირდა უდედოდ, მაგრამ სოფელში იმდენი ახალი რამე დახვდა, მალევე გამხიარულდა. ბავშვი გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა ძროხასა თუ ქათმებს, ნაირ-ნაირი ხილით დახუნძლულ ხეებს, ჭიგოშეყენებულ ვარდისფერ პომიდვრებს, სუფთად გამარგულ მწვანის.



ქალაქში მიწასა და ქვას ვინ გააკარებდა! დედა სკვერში საქანელაზე რომ სვამდა, იმასაც კი ჯერ ანტიბაქტერიული ხელსახოცით განმენდდა ხოლმე. თამარა ბებომ კიდევ ნითელი ნიჩაბი და პატარა ლურჯი სათლი დაახვედრა, დაჯექი და თხარე მიწა, რამდენიც გინდაო. პირველად მიწიანი ხელი რომ პირში ჩაიდო, დამფრთხალმა ახედა ბებიდას. ქალმა შენიშნა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მშვიდად განაგრძო ძირნაყარი ვაშლის კრეფა. ტატოც გულდამშვიდებით შეუდგა გვირაბების თხრასა და ტალახის კომპეების შენებას.

ის იყო, თავისი ნახელავი სიამაყით უნდა ეჩვენებინა ბებოსთვის, რომ ბაგიდან გამოკუნტრუმებულმა ხბომ სიმწრით ნაშენი კოშკი სველი დრუნჩის ერთი დარტყმით დაუნგრია. თავიდან კი ძალიან გაბრაზდა ბიჭი, მაგრამ პატარა ნუკრამ ისე საყვარლად მიაშუქა დიდრონი თვალები, ტატუნას წყენა წამში გადაავიწყდა, ვედრო და ნიჩაბი მიყარა და უკან გაედევნა ხბოს. ნუკრასთან დაჭერობანაზე უკეთესი თამაში, თურმე, არაფერი ყოფილა. გაოფლილი პატარები კიდევ კარგა ხანს ირბენდნენ ბაღში, დედა-მამას რომ არ დაეზმეველა და თავისი ნუკრა ბაგაში რქებით არ შეებრძანებინა, წამოდი, ვახშმის დროაო. მოშიებული ხბოც ახლადგაჩენილ მეგობარს თვალებით დაემშვიდობა და დედის ცურს მიუცუცქდა.

ღუნღუნა ნინილები, გოგლიმოგლს რომ აგონებდა ტატოს, უფრო მორცხვები აღმოჩნდნენ. ბავშვის გამოჩენისთანავე მაშინვე დედის ფრთებს ამოეფარებოდნენ ხოლმე. თავიდან კრუხიც უნდობლად უყურებდა პატარა ბიჭს და გაფხორილი თვალებს უბრიალებდა; მაგრამ თამარამ ბავშვს ხელის გულზე ნინილების ფერი სიმინდის მარცვლები რომ დაუყარა, საქათმეში შეიყვანა და ხელი გააშლევინა, გაჭრა... ჯერ ყველაზე გაბედულმა ნინილებმა გამოყვეს ფრთებიდან ნისკარტები, ნელ-ნელა გამოძვრნენ და ტატოს ხელის გულს ფრთხილად ჩაუნისკარტეს. გაკვალულ გზას დანარჩენებიც მიჰყვნენ და ბიჭს ჟივჯივით შემოეხვივნენ.

მხოლოდ მეზობლის ღორი ვერ შემოირიგა ტატუნამ. ერთ საღამოს დღენიდაც ტალახში ამოგანგლული, ღიპიანი დედა ღორი თამარას ბოსტანს მისდგმოდა, ღობის ქვეშ მიწა გამოეთხარა და სულ გადაეყლაპ-გადაეთელა იქაურობა. დილით ბებომ და ტატომ ბოსტანს რომ მიაკითხეს, დაუპატიჟებელი სტუმარი დაჭყლეტილ პომიდვრებში არ დახვდათ ჩაძინებული?! გამწარებულმა მოხუცმა ისეთი დაჰკივლა, მუცელგატიკნული ღორი კურდღლის სისწრაფით წამოხტა და გავარდა, მაგრამ თავისსავე გათხრილ „გვირაბში“ გაიჭედა – გარედან კი შემოეცია, მაგრამ უკან ვეღარ გაეცია. გაბრაზებული ტატო მიწაზე დაგდებულ ჯოხს სწვდა და ერთი-ორი უთავაზა ღორმუცელა ქურდს. წკეპლის სიმწარემ თავისი ქნა, ღორი ღობიდან გაძვრა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

მეორე დღეს ბიჭმა მეზობლის ეზოში მოღრუტუნე დედა ღორი გოჭებთან ერთად რომ დაინახა, სინანულმა გაჰკრა გულში და მობოდიშების ნიშნად ნახევრადშეჭმული ვაშლი გადაუგდო, მაგრამ ღორს წყენა არ დაავიწყებოდა და ვაშლს ზედაც არ მიჰხედა.

მეზობლის კატა ნაზო უფრო მეგობრული აღმოჩნდა. ფრთხილად შემოიკლაკნებოდა კარში და გამომცდელი მწვანე თვალებით თამარას გახედავდა. თუ არ დაუცაცხანებდნენ, ტატოს ფეხებთან მიცუცქდებოდა და კისერს გაუნვდიდა. პატარა ბიჭიც სიამოვნებით უსვამდა ხელს ნეტარებისგან აკრუტუნებული ფისოს ფაფუკ ბუნვს.

ბებომ პირველად წყაროზე რომ წაიყვანა, პატარა ბიჭს სუნთქვა შეეკრა, ისეთი ლამაზი ეჩვენა იქაურობა.



ხეებით გადაბურულ ხევში სასიამოვნოდ გრილოდა, ერთმანეთს გადაჭდობილი ტოტებიდან მზის სხივები ზოლებად ჩამოდებდა. ტატო თითებით წაეპოტინა, დავიჭერო. სახედამტკბარმა ბებიამ ბიჭი ჩაიხუტა და თვითონაც შეუშვირა დამჭენარი ხელისგული სხივებს. მოხუცმა და ბავშვმა მათი ასაკის შესაფერისი ჭურჭლები პირამდე აავსეს და ღიღინით გასწიეს სახლისკენ.

მთავარი საოცრება ტატოს ტყეში ელოდა. ერთ დილას თამარამ ბიჭს ჩააცვა, თაფლ-კარაქნასმული თონის პურით ასაუზმა, მონწულ კალათას მკლავი გაუყარა, მეორე ხელი ტატუნას ჩასჭიდა და გაუდგნენ გზას.

თამარა ბებოს სოფელი ულამაზესი ნიფლნარით იყო განთქმული. ტატოს ტყე მულტფილმებში ენახა, მაგრამ სად კომპიუტერში დახატული და სად ნამდვილი?! ისედაც მაღალი ხეები ოთხი წლის ბავშვს მთლად ცამდის აწვდილი ეჩვენებოდა, მწვანე ფოთლებიდან მზის სხივები იჭყიტებოდა და პატარა, ჭორფლიან ცხვირზე უღიტინებდა. სიღრმეში რომ შევიდნენ, ტყე გაცოცხლდა... ჯერ ციყვმა გამოყო ფულუროდან თავი და სტუმრები შეათვალიერა; ბუჩქებიდან რუხი კურდღლის ყურები ამოიციქვით; ხის ძირში გამოთხრილი სოროდან მელაკუდას გრძელი ცხვირიც ამოძვრა, მაგრამ ადამიანები რომ დაინახა, სოროში დარჩენა ამჯობინა.

გაბრუებული პატარა ბიჭი ბალახებში ჩაჯდა და გაირინდა. ტყე მრავალხმიან სიმღერას აგუგუნებდა. გალობა-ჭიკჭიკი ტატომ ერთი ხმა გამოარჩია – რომელიღაც ფრინველი ხან წინილასავით წიოდა, ხან ჭრიჭინებდა და ხანაც დაუზეთავი კარივით ჭრიალებდა. ამ ხმის გაგონებაზე თამარამ კალათიდან კაკლები და ვაშლები ამოალაგა და ხის ძირში, გამოსაჩენ ადგილას დააწყო.

– ახლა რასაც ნახავ, ჩვენი საიდუმლო უნდა იყოს! – თვალი თვალში გაუყარა ქალმა ბიჭს. დაბნეულმა ბავშვმა თავი დაუქნია.

არ გასულა რამდენიმე წუთი და მაღალი ნიფლიდან ხტუნვა-ხტუნვით ჩამოეშვა ბოლოქანქარა ჩიტი, მირთმეული ნობათის გვერდით დასკუპდა და ვაშლებს სათითაოდ ჩაუნისკარტა. ფრინველს მხრები და გული ქათქათა თეთრი ჰქონდა, გრძელი ბოლო გამურვოდა და პატარა შავ თვალებს ეშმაკურად აცეცებდა.

თამარა ჩიტს ფრთხილად მიუახლოვდა და შორიახლოს ჩამოუჯდა.

– ტყის დიასახლისო, შენი ბუმბული უნდა მომცე, ჩემი პატარა ბიჭისთვის მინდა! – სთხოვა ქალმა ჩიტს.

დიასახლისად წოდებულმა ახლა კაკლებს მიუკაკუნა ნისკარტი, ჩამტვრეულ ნაჭუქს გული ამოაცალა და ღიღინით თვალელები სიამოვნებით მილულა. რამდენიმე წამით გაუნძრევლად იდგა თავის წვრილ ფეხებზე, შემდეგ შეიფრთხილა და ხეს კენწეროზე მოექცა.

თამარა წამოდგა, კაკლის ნაჭუქები გადაქექა და შავ-თეთრი ბუმბული იპოვა.

ტატო სულგანაბული შეჰყურებდა ქალს. მოხუცი ბავშვთან მივიდა და ბუმბული მაისურის გულის ჯიბეში ჩაუდო.

– სახსოვრად შეინახე, – უთხრა ბიჭს.

– ეს რა არის? – ტატომ ხეზე შემოსკუპული ბოლოქანქარასკენ გაიშვირა ხელი.

– კაჭკაჭია, აბა, თქვი კაჭ-კა-ჭი!

ბიჭი ცოტახანს შეეცვინდა და გაიმეორა:

– კა-კა-ჩი...

– დასაწყისისთვის არა უშავს! – გაეღიმა თამარას.



– კაჭკაჭები გამორჩეულად ჭკვიანი ფრინველები არიან. ხომ მოისმინე, რა ხმებს გამოსცემდა, ეგ მაგათი ენაა, ერთმანეთს ტყის ამბებს ატყობინებენ. ამიტომაც ამბობდნენ ძველად, ბავშვს თუ ენის ქვეშ კაჭკაჭის ბუმბულს გამოუსვამ, ლაპარაკს ისწავლისო, – თამარამ ბავშვს გადახედა.

ტატოს ყურები დაეცქვიტა და თვალეზგაფართოებული უსმენდა. მოხუცმა განაგრძო:

– ამ ტყეში იმდენნაირი ჩიტია, რამდენი ღერი თმაც გაქვს ამ ლამაზ თავზე. ყველას, რაც მინაზე დადის, დახობავს, წყალში ცურავს და ცაში დაფრინავს, თავისი საქმე აქვს და ყველა რალაცისა თუ ვილაცისთვის არის საჭირო. აი, ეს ჭიანჭველაც, ფეხზე რომ აგაცოცდა, მინას აფხვიერებს, რომ მცენარეები კარგად ამოვიდეს. მოდი, ახლა სახლში წავიდე და ერთი წიგნი მოვძებნოთ. იქ წერია, რას აკეთებენ ჩიტები, თევზები, ჭიანჭველები, რას ჭამენ და რისთვის არიან საჭირონი. წიგნში ნახატებიც არის, ჩვენი კრუხი და წინილებიც კი ჩაუხატავთ შიგ... ხომ გაინტერესებს?

თვალეზგაბრწყინებულმა ბიჭმა თავი დაუქნია. ბებო და ტატო ტყეს დაემშვიდობნენ და სახლისკენ გასწიეს. პატარა ბიჭი, რამდენადაც შეეძლო, სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა, წიგნში დახატული წინილების ნახვა ეჩქარებოდა.

თამარამ ტატოს ხელები დააბანინა და საწერ მაგიდასთან დასვა. შემდეგ საბავშვო ლიტერატურისთვის განკუთვნილი თაროდან ლურჯი, გრძელი წიგნი ჩამოიღო და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

– იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, – სათაური ამოიკითხა ბებომ.

– მოდი, ჯერ ჩვენი კრუხ-წინილა მოვძებნოთ, – ქალმა წიგნი გადაშალა.

დახატული წინილები, მართლაც, ისე ჰგავდნენ თამარა ბებოს „გოგლიმოგლებს“, ბავშვმა ფურცელს ხელი გადაუსვა და ჩამტვრეული ორი წინა კიჭით გემრიელად გაიცინა.

ტატომ სამ დღეში წააკითხა ბებოს მთელი წიგნი. რამდენი რამე გაიგო კუდმაკრატელა მერცხლებზე, წინწკლებიან თევზებზე, ეკლიან ზღარბზე, რომელიც თურმე გველსაც კი ერევა; ბუზები და კოლოები რომ სრულიად უსარგებლონი ეგონა, არც მთლად ასე ყოფილა საქმე. მწერები რომ არა, ჩიტები შიმშილით დაიხოცებოდნენო, ეწერა წიგნში. როგორ მოუნდა ამ ყველაფერზე ელაპარაკა, მაგრამ რომ არ შეეძლო?

მოინყინა პატარა ბიჭმა, თამარა მიუხვდა.

– რაც მეტ წიგნს წავიკითხავთ, მით მეტ სიტყვას დაიმასხოვრებ და იმასაც ისწავლი, ეს სიტყვები ერთმანეთს როგორ გადააბა!

ტატომ იმედიანად შეხედა ბებოს.

მოხუცმა თაროდან ახლა ქართული ხალხური ზღაპრები ჩამოიღო.

– დღეს მხოლოდ დაათვალიერე, ხვალ კი წიქარას ზღაპარი წავიკითხოთ. წიქარა ხარია, ერთი ობოლი ბიჭის მეგობარი, აი, შენ რომ ნუკრა გყავს, ეგრე!

ბავშვი კარგა ხანს ათვალიერებდა ჯადოსნური წიგნის ნახატებს და ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა მეორე დღე.

– ნეტა, იმ ზღაპრის ბიჭს უფრო უყვარდა თავისი წიქარა, თუ მე, ნუკრა? – გაიფიქრა ტატომ და წამოიძახა:

– მე მიკალს ნუკრა!..

– ბებოო, მე მიკალს ნუკრააა... – ყვირილით გავარდა პატარა ბიჭი სამზარეულოში.

გალიმებულმა თამარამ შეუსწორა:

– მიკალს არა, მ ი ყ ვ ა რ ს.

– მიყვარს! – გაიმეორა ტატომაც და გახარებული ჩაეხუტა ბებოს.

შემოდგომაზე ქალაქში დაბრუნებული ბიჭი არათუ გამართულად ლაპარაკობდა, თამარა ბებოს სოფლიდან ზეპირად დამახსოვრებული არაერთი ზღაპარი და ლექსიც წამოეყოლებინა. იმ წელს საბავშვო ბაღში მოწყობილ ზეიმებზე ყველაზე გრძელ ლექსებს ტატოს ათქმევინებდნენ ხოლმე.



თანამდები სული

„მარად და ყველგან, საქართველომ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდები, უკვლავი სული“...

ამას, რასაკვირველია, ანგორ ერქომებივილი საქუთარ თავზე არასოდეს ბავრცელებდა.

არადა, სრული უფლება ჰქონდა.

აღმერთებდა ილიას.

მოღვაწე ის იყო.

ჩეგზე ეს არ თქვათო.

უხერხულიაო.

როგელი ექვთიგე თაყვივილი მე ვარო?!

არადა, სწორედ მას აღარებენ.

სიცოცხლევიგე უწოდეს „ქართული მუსიკის ექვთიგე თაყვივილი“...

ბანსაცივიგეპელია მისი ნაღვაწი:

უცხოეთის არქივიგეპი მოქიგეპული, მიგნეპული, აღდგენილი, გაცოცხლებული, დისკეგეპე გადატანილი უკვლავი ქართული სიმღერები;

ანსაგლები – „გორდელა“, „რუსთავი“, „მართვა“;

მსოფლიოს 80 ქვეყანაში ჩატარებული 6 ათასი კონცერტი;

კატალოგები და ნიგნები;

მონაფები და მონაფეთა მონაფები;

სიმღერის სიყვარულით ანთებული თოგები...



ანგორი აქომივივილი

არც დაუწერია და არც საღმე უთქვამს, მგზამ მისია და ვერ მივისაქუთარებ.

მისგა ერთ-ერთგა უნიჭიერესგა და უერთგულესგა მონაფემ, გიორგი დონაქემ მიტხრა ეს საოცარი ფრაზა: „ანგორ ერქომებივილგა ბაჩინა ის, რაც აღარ გვქონდა.“

უკეთესად ვერ იტყვი.

ამიტომგც უწოდებენ სიმღერის გადამრჩენელს.

ათი კაცის საქმე აკეთაო, – ამასაც ხშირად ამგოგენ.

ერთ წელზე ოდნავ მეტია, რაც ანგორ ერქომებივილი საქართველოს თანამდევ სულგს შეუერთდა.

უახლოეს დღეებში გამოიცემა მისი დგანლის წარმომჩენი ნიგნი, სადაც მის შესახებ უახლოესი აღამიანები საუბროგენ – ოჯახის წევრები, კოლეგები, მეგობრები, მონაფები...

წიგნს დაერთვის ოთხი დისკი. მათზე ჩაწერილია ანგორ ერქომებივილის მიერ მოქიგეპული, აღდგენილი და ახალ ვარინგებგად აღღერებული უკვლავი სიმღერები, როგელთა დიდი ნაწილის შესრულებებში თავადც მონაწილეოგს.

ჩვენი საზოგადოება კარგად იცნოგს ანგორ ერქომებივილს, უპირველესად, როგორც ლოტბარსა და მოღვაწეს, ამ ნიგნითა და, ბანსაქუთარებით, ამ დისკებით, უკეთ გავიანგრებთ, თუ რა განუშემორებელი მომღერალიც იყო.

ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივი და გულწიგრებაა ამ ნიგნის რედაქტოროგა.

ახალი ნიგნიდან, ჩვენი შურნალისთვის, ერთი ბანსაქუთარებული მოგონება გამოვარჩიეთ: დიდ მამულივივილს ამ საქუთარი ვივილი იხსენებს, ვივილი, როგელიც უცხოეთში ცხოვროგს და ვის შესახებაც ჩვენგა საზოგადოებგამ კალიან ცოტა რამ იცის.

ღავით ერქომებივილი, ვინც უდროოდ გარდაცვილილი გავუს, ანგორის მამის, სახელს ატარებგს, კოლიტიკის მეცნიერებგათა დოქტორია და ლექციგებს მსოფლიოს ერთ-ერთ უკვლავს და სახელგანთქმულ ჰრალის (კარლის) უნივერსიტეტში კითხსულოგს.

იოსებ ჭუმბურიკა

ჩემი მამა – ანზორ ერქომაიშვილი

დავით ერქომაიშვილი

მე მოგიტხრობთ მამაჩემის არა პროფესიული მოღვაწეობის შესახებ, – ექსპერტები ამას ჩემზე გაცილებით უკეთ მოახერხებენ, – არამედ მამაჩემზე, ისეთზე, როგორც ჩემს მეხსიერებას შემორჩა.

მე მიყვარდა მამაჩემთან ერთად ყოფნა. ერთად გატარებული ყოველი წუთი დიდ სიამოვნებას მგვრიდა. საათობით ვსაუბრობდით ხოლმე ისტორიის, ხელოვნების, პოლიტიკის შესახებ. გარდა იმისა, რომ იგი შესანიშნავად ერკვეოდა ამ სფეროებში, მამაჩემი თხრობის არაჩვეულებრივი ნიჭითაც გამოირჩეოდა. იგი იხსენებდა ხოლმე ამბებს, რომლებიც მას გადახდენია, იხსენებდა ხშირად იუმორით და უაღრესად საინტერესოდ. ვხედავდი ხოლმე სუფრის გარშემო მსხდომ ადამიანებს, თუ თანდათან როგორ ჩუმდებოდნენ, უსმენდნენ რა მის ისტორიებს, რასაც, ხშირ შემთხვევაში, გულწრფელი, ხმამაღალი სიცილი მოსდევდა ხოლმე. ვინაიდან იგი ინტენსიურად მოგზაურობდა და ხვდებოდა უამრავ ადამიანს, მათ შორის, ვარსკვლავებსა და ისტორიულ პიროვნებებს, მონათხრობი მართლაც, დამატყვევებელი გახლდათ.

სატელეფონო საუბრებისა თუ პირადი შეხვედრების დროს მე მას ვხედავდი, როგორც მხიარულებით, სიცოცხლით, ცხოვრებისადმი და ადამიანებისადმი დაუცხრომელი ინტერესით აღსავსე კაცს. თუკი მოვახერხებდი ხოლმე მის მოხიბლვას რომელიმე მისთვის უცნობი ისტორიული ფაქტით, ყოველთვის დეტალურად იცოდა ამის შესახებ გამოკითხვა.

მამაჩემი მუდამ იყო ჩემს ცხოვრებაში. იგი არასოდეს მომქცევია მკაცრად, თუმცა, ყოველთვის გულდასმით ეკიდებოდა ჩემს პირად ცხოვრებას და მიყვებოდა თავისი საქმიანობის შესახებ. როდესაც ის უკვე აპირებდა ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დატოვებას, თავისი 80 წლის იუბილეზე, დამირეკა და მითხრა, რომ მოვიდა დრო, როდესაც ასპარეზი უკვე სხვისთვის უნდა დაეთმო.

მასსოვს, თუ როგორ უყვარდა თავის ბაღში მუშაობა. ყველაფერს საკუთარი ხელით უვლიდა და აკეთებდა. ერთ დღეს ჩემ სანახავად პრალაში ჩამოვიდა. ქუჩაში ჩავუარეთ ერთ საზაფხულო კაფეს, სადაც ქალაქის უჩვეულო სიციხით გათანგული ადამიანების მცირე ჯგუფი ბაღში ჩამომჯდარიყო. ერთგან მამაჩემი შეჩერდა და რაღაცას დაჟინებული მზერა მიაპყრო. როდესაც ვკითხე, თუ რას უყურებდა, მითხრა, რომ ძალიან დაინტერესდა ძელსკამებით. მან ჯიბიდან პატარა ფურცელი და ფანქარი ამოიღო და ადგილზე დაუყოვნებლივ გააკეთა ძელსკამების მცირე ჩანახატი. როდესაც უკვე შინ დავბრუნდით, ჩანახატი, დეტალური დიაგრამის სახით, თავის რვეულში გადაიტანა. მამაჩემმა მითხრა, რომ სურდა მსგავსი ძელსკამის თავისი ბაღისთვის გაკეთება. იმ მომენტში ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მომდევნო ჯერზე, თბილისში ყოფნის დროს, უეცრად შევნიშნე ჩემთვის ნაცნობი ძელსკამი. მიუხედავად უაღრესად დატვირთული განრიგისა, მან მაინც მოახერხა ძელსკამის საკუთარი ხელით გაკეთება.



მამა-შვილი ანზორ და დავით ერქომაიშვილები. ქ. ზაღა

მამაჩემის დაუცხრომელი ინტერესი ცხოვრებისადმი, საგნებისა თუ ადამიანებისადმი, შეიძლება ითქვას, რომ მისი ხასიათის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა. მან შეძლო ჩემთვისაც ესწავლებინა ყოველივე ეს.

პრალაში მისი ერთ-ერთი ბოლო ვიზიტისას, ჩემი შეყვარებული გოგონა გავაცანი. თავიდან, მამაჩემი გამომცდელი მზერით დააკვირდა ჩემს რჩეულს, რის გამოც შევწუხდი; ვიფიქრე, რომ მას ის არ მოეწონა. შემდეგ, უეცრად გამოცოცხლდა და საუბარი წამოიწყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ მან მიიღო და შეიყვარა ჩემი საცოლე.

ერთი წლის შემდეგ, როდესაც თბილისში ვენვით, ჩემმა შეყვარებულმა იოლად მოახერხა, მოეპოვებინა მისი ნდობა: მამაჩემმა მას ნება დართო, კიტრი და პომიდორი, რომელიც ძალიან უყვარდა, მოეწვიტა მის ბაღში. შემდეგ წაგვიყვანა ოზურგეთში, საიდანაც ჩვენი ოჯახია წარმოშობით და ჩვენი წინაპრების საფლავები დაგვათვალისწინებინა. ჩემს მომავალ მეუღლეს უნდა სცოდნოდა ჩემი ოჯახის შესახებ. როდესაც მე ჩემს შეყვარებულს ხელი ვთხოვე და ის დამთანხმდა, მამაჩემი უკვე აღარ იყო ცოცხალი. იგი მოუთმენლად ელოდა ამ დღეს და ოცნებობდა, ქორნილი საქართველოშიც გადაგვეხადა.

უკანასკნელად მამასთან ერთად ბათუმში მანქანით გახლდით. საჭესთან ის იჯდა. არასოდეს დამავიწყდება ეს მოგზაურობა. ექვსი საათის გასვლის შემდეგ, მგზავრობა საკმაოდ დამღლევი აღმოჩნდა. ქუთაისში მთელი ერთი საათი საცობში მოგვინია ყოფნა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი და ამალეღვებელი მოგზაურობა. ჩვენ ბევრ თემაზე მოვასწარით საუბარი – ცხოვრების, პოლიტიკის, ფილოსოფიის, ისტორიის შესახებ.

მე მამაჩემი იმ კუთხით დავინახე, რა კუთხითაც იშვიათად ეჩვენებოდა ხოლმე ადამიანებს. იმ წუთებში გავაცნობიერე, თუ როგორი თავდავიწყებით უყვარდა საქართველო და მისი კულტურა, თუ რაოდენ მრავალწახნაგოვნად იაზრებდა და უყურებდა ამ ყველაფერს. ურთიერთობის აღნიშნული ექვსი საათი, სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში.

ჩვენ, ასევე, ვგეგმავდით აპრილისთვის პრალაში შეხვედრას, რათა გვესაუბრა და ერთად გაგვეტარებინა დრო. თუმცა, ეს საქმე აღარ გამოვიდა. ის ერთი თვით ადრე გარდაიცვალა. მე ის ყოველდღე მენატრება. ყოველთვის ვიცოდი, რამე რომ მომხდარიყო, მამაჩემი გვერდში დამიდგებოდა და დამეხმარებოდა. ჯერ კიდევ ვერ შევეგუე იმას, რომ ის აღარ არის. ჯერ კიდევ მსურს, გავუზიარო მას ჩემი წარმატებები და ვკითხო რჩევა-დარიგება.

შესაძლოა, მისი პოპულარობის მთავარი უპირატესობა მისი გამოსვლების, მასთან ჩანერილი ინტერვიუებისა და ვიდეორჩანაწერების დიდი რაოდენობაა. ყოველ ჯერზე, როდესაც ხელახლა ვუყურებ ხოლმე ამ ჩანაწერებს, ვაკვირდები მის სახეს, ესოდენ ახლობელს ჩემთვის, და ვხედავ მის დაუცხრომელ ინტერესს ცხოვრების, ადამიანებისა და საქართველოს მიმართ.



ანზორ ერქომაიშვილის მიერ შედგენილი და ახლახან გამოცემული ნიგონი-კატალოგი, რომელსაც ავტორი ვერ მოუხსნო.

ნიგონის პრეზენტაცია შედგა 2022 წლის 9 აგვისტოს, საჯარო ბიბლიოთეკაში.

წინასიტყვაობაში ანზორ ერქომაიშვილი აღნიშნავს:

„წინამდებარე კატალოგი შედგენილია ჩვენ მიერ მოქიბული პირველი ქართული ფონოჩანაწერების საფუძველზე. მასში შევიტანეთ ბრიტანეთის პროვინციის ბიბლიოთეკის საცავებში დაცული „ბრამოფონის“ ფირფიტებისა და საარქივო კარტოთეკათა ნომრები, სიმღერების დასახელება, შემსრულებელთა გვარები და ჩანერის თარიღები (1902 –14 წ.წ. რაღ.)“

სოსო ჩოჩია – კიევი მოღვაწე ქართველი (აზნაუთიდან დევნილი) მთარგმნელი, ლიტერატორი. მთარგმნელი აქვს უკრაინული პოეტების ლექსები. სოსო ჩოჩიას მიერ მთარგმნილი იური შერბაკის ლექსი „გრიგორი ვარსავე სკოპოროდა* ვოდოლოში** დგას“ შესულია ავტორის მიერ 1999 წელს გამოცემულ კრებულში. ლექსი იმდენად წინასწარგმთქმელობრივად, დღევანდლობის იმდენად რეალური ეპიზოდებია, შიშის კი გუფულება.

უკრაინის ომის გამო გატონი სოსო ხალხმორედ დევნილია. ის ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს გერმანიაში.

იური შერბაკი
უკრაინულიდან მთარგმნა სოსო ჩოჩიამ



თქვენთან შა ვაჟი მ, ბაქონებო,
 შაველი მაქვს მ სუხომ თქვენს დადგაქვითან,
 რომ ვაყჩაყა მთელი მსოფლიოთი.
 იმპროვიზაციო, გაბეივანი თქვენი მსიხიბი ზემ ვაქოს
 მროსლავ ში კაჩუბა.
 შიქ ოლ მსახი, მაგ თქვენს სუნთქვისმკვეჩქო,
 ხუნძინელონდელი ქილქეშ ვიამო,
 სპ ვახსკვლავები ასიკოტეხლორ ბეყაქავენ მხოლოდ
 თქვენი ზინელონ ღოღოქილ დახარ.
 მ თქვენთან ში ვაჟი, ბაქონებო,
 ღოღოლ იყიქებო, თაყა ვაში ქიო იქვენი ზვიღოქი,
 პაქშააკაყაი თქვენ ხიბებთან, კაჩიქიანთან,
 თქვენს ბანკუქებთან, ოღოქებთან, კალოქებთან
 სარქ შა მარქს.
 მ შიქ ვერხალო-ვაქებინაქიომილ სანხიქილ მხაკვილო
 მხიბლოვს.
 ფილოლოგოლნო – მხიკენო, ვაჩილონო,
 სლოვო ნუქილოლ სანი ქიქაქა რომ დავიბაყთავი
 და მსაყ ალოვოთ რომ აქლობქი და ამხინქებო,
 შიქ თქვენთანა ვაჟი.
 ალში მხაქო სიხაკო თქვენს პაქუქებო,
 სდაყ ვეჩინდოლ ვეჩ ვავივოლი ზინელო ექებო.
 მ, ბაქონებო, აქ ვაჟი, პოლონო,
 სდაყ ქებებო ჭინებებო, ხოხლოლ სანი დგა,
 სდაყ ოქვა მხიხაკო მხაკვანხეობა,
 სპ მახოზაბე ვამოსკოთა დგა გიხამაკო,
 სდაყ მქელოქი, მთაქნი, დამაქილია,
 სპ სოვაქიხი ზიგოქილ ვკოვ თავილ ქალოქილ,
 თავისაკვლო სოვაქიხი, ღოღო, ღოღო.
 მ აქ დავიხიბი, ბაქონებო, აქ – ზემ პოლონო.
 დავიხიბი მაქამ ვოქელო ვაქა.
 ან და
 მხაქოლ,
 აკაქილით აკაქინსამო!



* – უკრაინული პოეტი. ** – კიევის ერთ-ერთი უძველესი რაიონი (მთარგმნ.).

ძვირფასო ყვანვილეო, არნოლდ ჩიქოპას „ლექსიკონა“ ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს.

არ არსებობს ძველი თუ ახალი ქართული ენის სტრუქტურის არც ერთი მხარე, რომელთა შესახებ ამ დიდ მეცნიერს ახალი სიტყვა არ ეთქვას. განსაკუთრებული აზარი დასდო მან ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯის – 8-ტომიანი „ქართული ენის განმარტავითი ლექსიკონის“ შექმნას. მის მიერ შემუშავებული მეთოდები დაედო საფუძვლად ამ, მართლაც რომ, მონუმენტური ლექსიკონის შედგენას.

სწორედ ამ დიდი ეროვნული საქმის დაგვირგვინებისათვის ქართველ ენათმეცნიერთა ჯგუფს, არნოლდ ჩიქოპას მეთაურობით, მიენიჭა საპარტოვლო სსრ სახელმწიფო პრემია.

• კ •

კაბაკუბა – ქალის კაბები; საერთოდ, ქალის ტანსაცმელი

კაბაშური – ბავშვის საბანი

კავშა – თეთრფეხება ცხენი

კავ-შამფური – თავმოკაუჭებული გრძელი შამფური, რომლითაც თონიდან გამომცხვარ პურს იღებენ



კაკანა - აკვანი (ბავშვის ენაზე)

კაკანა – აკვანი (ბავშვის ენაზე)

კაკანათი – ჩიტების საჭერი მახე

კაკაჩი – კაშკაშა მთვარიანი ღამე

კაკილა – მძივების ასხმულა

კანჯარი – (ძვ.) გარეული ვირი

კანჯო – მომცრო ნავი

კარაპა – პატარა გემი

კარბა – 1. ქვაბის ყური (საბა). 2. რკალი (ჭიმკრის)

კანანი – თმა საფეთქელთან

კბოდე – ზღვის მიუდგომელი კლდოვანი ნაპირი

კესანე – ბალახოვანი მცენარე, წვრილი, ცისფერი ყვავილებით, იგივე, ცისანა

კვანჩხი – (კუთხ.) იგივეა, რაც მუშტი



კანანი - თმა საფეთქელთან

კვანწი – (ძვ.) თამაშობა, ცეკვა

კვანია – პატარა ქოთანის, იგივე – კოჭობი

კვებულა – ერთი წლის ხბო ან ზაქი (კამეჩის ნაშიერი)

კვერი – პატარა ჩაქურჩი (მჭედლის); მაგრამ კვერს დაუკრავს – დაუდასტურებს



კავშა - თეთრფეხება ცხენი



კარაპა - პატარა გემი

კვირადალი – კვირა დღის წინა საღამო
კვირიაკე – იგივეა, რაც კვირა
კვირონი – იგივეა, რაც მესკია (პატარა ჩიტი)
კიაფი – ღამით სინათლის შორიდან კრთომა, ციმციმი



ახიჩოლი - იბივა, ხას მახია (პახახა ჩიტი)

კიკივი – ინდაურის ხმიანობა
კიმპალი – იგივე, კუმპალი; ყურძნის მტევანი, ორი-სამი მარცვლით
კინჭუხი – (კუთხ.) ნვერი, ნვეტი (კლდისა)
კიპრუჭი – ფიჭიანი თაფლი – გოლეული



ახაუა - ვინოყაინი ჟუჟაი წყლისათვის

კირკალი – რკალი, რომლითაც საქონელს ბაგაზე აბამენ
კისკასი – მარდი, სწრაფი, ცქვიტი
კიჩო – გემის, აგრეთვე, თვითმფრინავის უკანა ნაწილი
კლდეკარი – ვინრო გასასვლელი კლდეებში

კლერტი – 1. ყურძნის მტევნის ღერო, რომელზედაც კიმპლები ასხია;
 2. ფოთლებგაცლილი რისამე წვრილი შტო

კოკონა – პატარა იხვი
კონკიულარუნა – ძველმანებით შემოსილი ადამიანი
კოპალი – ქამრის, უნაგირის, ლაგმის მოსართავი ლითონის ღილები



ახიჩოლა - იბივა ყოჩივახა

კოპანო – ნავი ერთგვარი
კოპე – იგივეა, რაც ორშიმო (ღვინის ამოსაღები გრძელტარიანი ჭურჭელი)
კოჟანდარი – (კუთხ.) უმცროსი შვილი, ნაბოლარა
კორჩიოტა – (კუთხ.) იგივეა, რაც ყორჩივარდა



ახილონი - ახის შიონით დაბანაბანი ფოლანს სახაჯი

კოჭობი – პატარა ქოთანნი
კრინოლინი – (ფრ.) (ძვ.) კაბა, რომელსაც განიერად იჭერდა შიგ დატანებული ფოლადის სარტყელი (მოდაში იყო XIX ს.-ში); საქართველოში ეძახდნენ „ხაბარდას“
კროჭი – (ძვ.) კოლოფი, ყუთი; სკივრი, ზანდუკი
კუმკუმა – (ძვ.) ლითონის ვინროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის

კუსპარა – დაბალი, პატარა ტანის მოძრავი ადამიანი
კუტიკარი – პატარა ჭიშკარი
კუხუნი – ზღვის ლელვისას ქუხილის მსგავსი ხმა

„ჩვენ ის და იმდენად გვიყვარს ჩვენი ღებევი, თითომს ავას არც ვუჭიძრებავით. მებრამ, როცა ისინი საგულამოდ გვტოვებენ, ამ განცდის სიღრმადს მხოლოდ მაშინ ვუღრმავებავით“, - წერდა XIX ს.-ის სახელოვანი ფრანგი ნოველისტი, ჰემონტი, მცირე პროზის დიდოსტატად მიჩნეული - გი დე მოვასანი.

„ილაქნის“ გამორჩეული რუბრიკა „ბარათები შენთვის“ ავჯერად წარმოგიდგენთ მსოფლიოში ცნობილი პიროვნების პირად წერილებს, რომელმაც, ვუშუალებლია, არ აბაღვლოვოს, კიდევ ერთხელ არ ჩაბავიძროს ამჟამინდელ ყველაზე ბასაფრთხილებელი პიროვნების - დედის ფენომენა.

ავასთან, კითხულოვ მათ და თანდათან ეცნობი XIX ს.-ის შუა წლების ფრანგულ რეალოვას, იქნება ეს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება თუ ცნობილ პიროვნებებთან დაკავშირებული ცალკეული ეპიზოდები. ისინი კი ეპოქას ემნიღენ: გუსტავ ფლოვარი, ემილ ზოლა, სარა ბერნარი...

წარმოგიდგინილი ეპისტოლარული მიმკვიღრეოვა საჭურადღებოვ სხვა ასაქტიოვაც: მხოლოდ დრომ უნდა განსავოვ, მან უნდა შეაფასოს თანამდებოვბაზე აღმოჩენილ ჩინოვნიკსა და მის ხელოვებითს შორის ასაული წლების წინანდელი კონფლიქტი. თანამდებოვბე საზოგადოებას მაშინ ეს არ ბაუპროტესტებოვი, არც აუღლებებოვი.

ვინ იცოდა, რომ ის „ხელოვებითი“ მოგავლისათვის დაბადებული გი დე მოვასანი იყო.

წერილები დედას

გი დე მოვასანი
თარგმნა ნანა ჭანტურიანა



გი დე მოვასანი

სამშაბათი, 14 სექტემბერი, 1872 წელი.

ო, როვარი ცარიელი, ცარიელი და ცარიელია ჰარიზი... ჩოილის ქუჩაზე კნტი-კუნტად თუ მოკრავ თვალს ვამჯოლოთ და ისინი მხოლოდ მუშა-მოსამსახურენი არიან. ჰარიზი თითქოვს უკაცრიელი უღბნოა, ჩომლის მსგავსი აღრე არასოდეს მინახავს. მართლაც ჩომ, გაჯადოქნს მუღად ხმაურიანი და მვეთქავი, მომწესხველი ზემოქმედების დიდი ქალაქის ეს უჩვეულო სიჩუმე და სიმშვიდე. გეჩვენება, თითქოვს ამ ქუჩინსა და კვარტალოვს ჟამიანობამ ვადაუარა და თნ ვაიყოლა ქალაქში მცხოვრები ყველა ადამიანის სიუცხლე. ეს სიუცხლე როვარი აუტანელია! ჩემს კნტელარიაში თერმომეტრი 36°C უჩვენებს.

ნახამდის, ბვირუასო დედა! მთელი გულით გკოცნი. მხოლოდ საუვეთოვს გისურვებ. მიანსუხე მალევე. ჰო, მართლა, კიდევ გაწუხებს თავის ტვივილოები?

შენი შვილი - გი დე მოვასანი.

24 სექტემბერი, 1873 წელი.

ხედავ, ისევ გწერ წერილს. თუმცა, უფრო სწორი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მეტს უკვე ველარ მოვიცდი. იმდენად უმწეოდ და ოზლად ვვრბნობ თავს, იბლორბული ვარ, ვთხოვო, ვამომიგზავნო, თუნდაც, სულ რამდენიმე მანუგეშებელი სტრიქონი. სიმარტოვის უმბაჯრის განუღანსთნ ერთდ კარს მომდგარი ზამთარიც მაშინებს. ხანდახან ბალზე სასტიკია მარტოობის ეს დაუსრულობელი სელამოები!

ავერ, უკვე 3 თვია, რაც დავუბრუნდი ჩემს მოსაწყენ და ერთდგროვან დღეებს.

როცა ჩემს წინ ანთიბლო, ასე სევდიან ლამუასთნ ერთდ მაგიღან მარტო მიუუჯდები, სასოწარკვეთილოების ისეთი განცდა მიანყრობს, არც კი ვიცი, როვარი დაგაღწიო თავი ამ უმბიმილს წუთებს.

ნახამდის, ბვირუასო დედა, ათსჯერ და კიდევ ათსჯერ გკოცნი.

შენი შვილი - გი დე მოვასანი.

ჰარიზი, 21 იანვარი, 1879 წელი.

ბვირუასო დედა, დიდი ხნია, არ შევხმინებოვარ; ბალზე დაკვერბული ვარ. სულ რაღაც 24-ოდე ფრანკი რომ დამეზოვა, იბლორბული ვიყავი, ორჯერ ვადამეწერა ჩემი ახალი დრამა. ვარდა ამისა, სასწრაფოდ მჭირდებოდა ხელნაწერის ასლიც. ვიდრე ნაწარმოებზე მუშაობას არ დაგასრულობდი, რა მომასვევრბდა!

ჩემს დრამას ვაეცნო ოლობერიც და თვლის, რომ ის სავესებით მიესადაგება სტენას. თუმცა, მაინც მგონია, რომ ჰიესით ის დიდად არ აღფრთოვანდა. მიუხედავად ამისა, ოლობერი დამარბდა, რომ ჩემს დრამას აუტალიებლად მიუტანდა ჰერენს (სავარაუდოდ, თეატრის დირექტორი. მთარ.).

ისივე საეჭვოა, რამდენად გაიზიარებს ჩემს ნაწარმოებს ფრანგული საზოგადოება. პერენსსაუ ხომ მოყვრებული აქვს უამრავზე უამრავი ისტორიული ჰიესა, სტრუქტურები, რასაც თეატრალური პუბლიკაც არ ენერება.

ზოლა² ხვალ სადღიზე ეპატიება სარა ბერნარს³ და დამირდა, რომ ჩემი დრამის ხელნაწერს გადასცემდა ამ მსახიობს. სარას თუ რაღაც მოეწონება, შეეცდება, ჰიესის შესახებ დაელოპარაკოს პერენსს.

თუმცა ფლორენტი ძლიერ მოხიბლდა ჩემი რომანის სიუჟეტმა, რომელიც მე მას გავაცანი, მოვეუყუევი კიდევ (საუბარია მწერლის პირველ რომანზე „ფუნთუშა“, რომელიც გამოიცა 1880 წელს. მთარ.). მან მე მითხრა: „ეს შესანიშნავი ნაწარმოებია; ესაა ჭეშმარიტი რომანი, ესაა ჭეშმარიტი იდეა!“

... მას შემდეგ, რაც მე დავბრუნდი შვეიცარიიდან, ჩემი უფროსი ისე მიქცევა, თითქმის ძალი ვიყი. შვეიცარიის წყლოვნი მუწარლოვამ ის ჩემს წინააღმდეგ განაწყა. მისთვის სრულიად დაუშვებელია, ადამიანმა იაყდმყოფოს მაწინ, რაცა მსახურებს. უფროსს უთხნმოვბის მიუხედაყდ, ჩემი მანყ გავიტანე, სახალწლოდ გავმგზავრწყოყიყი სახლოწი; მაგრამ ის კი ნამდვილად მიეჭვივა, მომცემენ თუ არა სააღდგომო შვიწყოყიყი.

ამ დღეებში ისევე შემომიტია უსანტოკოსმა შაკიკმა და მმარტვილის მოადგილოყ ვთხოვე, გავეშვი წინ. უფროსმა მეორე დღეზე დამბარა და გამოამიყხადა, რომ, არც მეტი, არც ნაკლობი, მე მას დავცინი, რომ არც აყდ ვარ, რომ არც არაყერი მჭირს; და რომ არაყრით დაუშვიყბს, რამწლომე თნამწრამწლომა გაცდინოს სამუწარო საათობი, თუნდაც, ასეთი განყხადღობით, შაკიკმა შემომიტიაო, მომბიზმოს, ექიმთს ვიბიტი მამყსო და ა.წ. და ა.წ.

... გასული კვირის ხუთშაბათს ვისადილო ზოლასთან. საყხბოად გამიმასწინდოდა.

გემწვიღებები, ბვირფასო დედა, გაკოცებ ათასჯერ. მომიკოთხე მოსამსახურებები.

შენი შვილი – ვი დე მოწასანი.

პარიზი, 3 აპრილი, 1879 წელი.

ბვირფასო დედა! ავერ, 4 დღეა, ვეშხადღები წერილისთვის. ხომ ვიცი, როგორ საოყრად ვართობს პარიზული ახალი ამბები.

... ქალბატონმა დ-მ მამას დაუწერა წერილი, რომელიც სავსეა ჩემ მიმართ კომპლომენტებით; სხვათა შორის, ის იქ აღნიშნავს: "ძალიან მეტდომებოდა, რომ თქვენი ვაყის სიღადე ვანყადა ამრწყმის ლამაზ წინდებში გამოწყობილო, კოაწია ქუსლოებში შემდგარ, სასიამოვნო სყრწლოით თმაგაყუებულო რომლომე მწვიწვირ ბანოვანსაყ, ევრბო ის სისაყსე, რაც უყხბოა ფლორენტიისთვისაყ, ზოლასთვისაყ, მაგრამ, რომელიც მას, სულო რაღაც 50-იადე პოეტიური ქწნილოების ავტორს, დღესაყ განადიღებს და ა.წ. პირადად მე, როგორც იყით, ვაღმერთებ XVII ს.-ს, მაგრამ ყოველოთვის არც ვალოყა⁴ ჩემთვის მისაღობი."

რა შესანიშნავი სტრიქონებია! ის საყხბოად განმარტავს საფრანგეთის მწვიწვირი ლამაზმანების ჩვეულო უყუნწარბას. მე კარვად ვიყნობ ასე ვთქვათ, მოხდენილოუსლობიან ლოტირატყრასაყ და არც ვაწირებ მისით დავკადე. მე მსყრს მხოლოდ ერთი რამ: როგორმე თავი დავაღწიო, ასე ვთქვათ, საყოველოთად მიწწეულო "გემოვწებას", რადგანაყ დიდი ადამიანები არა თუ ფლორბდენ მას, არამედ მუდამ იყენენ ახლოს ბიებში.

რაც შეეება XVII ს.-ს, ვეტიწობ, ის ჩემთვის ყველაზე მიუღებელია. ამ საყყუნეში არ დაბადებულო არც რაბლე⁵, არც მონტენი⁶, არც დობინი⁷, არც რენი⁸, არც ვოლტერი⁹... და ა.წ.

მაგრამ, ჩემი აწრით, XIX ს. ყველა ეწაქას შორის უდიადესია, საყყუნეა, რომლოსაყ უყუნწირი თანამედროვეების გარდა თაობები შეაყსებენ.

გკოცნი ათასჯერ, ბვირფასო დედა და ვთხოვ, მაწინვე მიწასუხო, თუნდაც, დამიწერო რაიოდე სიტყვა.

შენი შვილი – ვი.

- 1 – გიუსტავ ფლორენტი – უდიდესი ფრანგი რომანისტი.
- 2 – ემილ ზოლა – ცნობილი ფრანგი მწერალი.
- 3 – სარა ბერნარ – ცნობილი ფრანგი მსახიობი.
- 4 – ევარისტ გალოა – ფრანგი მათემატიკოსი.
- 5 – ფრანსუა რაბლე – რენესანსის ეპოქის ფრანგი მწერალი.
- 6 – მიშელ დე მონტენი – XVII ს.-ის ფრანგი ფილოსოფოსი.
- 7 – აგრიპა დობინი – გვიანი აღორძინების ფრანგი პოეტი.
- 8 – ჟან რენი – XVIII ს.-ის ფრანგი სამხედრო მოღვაწე.
- 9 – ფრანსუა ვოლტერი – XVIII ს.-ის ფრანგი ფილოსოფოსი.



„რუსები ოლონდ ნებით გაგვეცალონ...“

გურამ ბათიაშვილი

გოგი ქავთარაძე სოხუმის ქართული თეატრის მთავარ რეჟისორად მაშინ დაინიშნა*, როცა ქართული და აფხაზური დასები გაიყო.

გოგიმ ძალიან კარგად დაიწყო იქ მუშაობა – შესანიშნავი რეპერტუარიც შექმნა.

ახლოვდებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. გოგი ქავთარაძემ მოინდომა, ამ თარიღისთვის დაედგა ჩემი პიესა „1832 წელი“, რომელშიც ასახული იყო 1832 წლის შეთქმულების პერიპეტიები. პიესაში იყო კამათი იმაზე, თუ რა მოგვიტანა რუსეთთან დაახლოებამ. სპექტაკლი, მართლაც კარგი გამოვიდა. თამაშობდნენ: მიხეილ ჩუბინიძე, დიმა ჯაიანი, გიზო სირაძე, სერგო პაჭკორია, გიორგი რატიანი, ვალერი არღვლიანი, ბესიკ ქარჩავა... პრემიერამ ძალიან კარგად ჩაიარა (თუმცა ხმები დაირხა, სპექტაკლი მაინც მოიხსნებაო). ეს იყო 1983 წელს.

მოგვიანებით თეატრი საგასტროლოდ დედაქალაქში ჩამოვიდა. თბილისური გასტროლები უნდა დახურულიყო სწორედ ამ სპექტაკლით (რომელიც მესამედ უნდა ეთამაშათ).



სოხუმის ახილანი თეატრის სპექტაკლი «1832 წელი».

მახსენიდან: სახბო პაჭკორია, ბიოხბი ხაბიანი, ვაღიჩი ახლციანი, ბასიხ პაჩაპა, დიმა ჯაიანი, მიხეილ ჩუბინიძე

მაგრამ წარმოდგენის დაწყების წინ ერთობ დავიზაფრე – ვხედავ, დარბაზში შემოვიდა კომპარტიის მდივანი, ბატონი გურამ ენუქიძე, რომელსაც შემოჰყვამთელი ბიურო. რატომ დავიზაფრე?

პიესის ერთ-ერთ ეპიზოდში ელიზბარ ერისთავის** როლის შემსრულებელი დიმა ჯაიანი წარმოთქვამდა ასეთ მონოლოგს:

„რუსები ოლონდ ნებით გაგვეცალონ და დარიალამდე სულ ცეკვა-თამაშით მივაცილებ, დაფა-ზურნასა და ცივ-ცივ კახურს არ მოვაკლებ არც აფიცრობასა და არც სალდათებსა“.

* – ეს იყო XX ს.-ის 80-იანი წლები.

** – ქართველი თავადი, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე.

ამ სიტყვებზე დარბაზს ცხოველი რეაქცია ჰქონდა – ტაში დიდხანს არ წყდებოდა. დიმა ძალზე ემოციურად წარმოსთქვამდა თავის მონოლოგს და დარბაზიც იმავე ემოციით პასუხობდა.

კომპარტიის ბიუროს წევრების დანახვით აფორიაქებული, შეშინებულიც კი, კულისებში შევედი გოგი ქავთარაძესთან; ძალიან ცუდად არის საქმე, კომპარტიის ბიუროა მოსული; თან ვეუბნები, დიმას მონოლოგი ან საერთოდ ამოვიღოთ (რაც თითქმის შეუძლებელი იყო), ან მან თავისი ტექსტი ისე მშვიდად და ხმადაბლა უნდა წარმოთქვას, რომ მაყურებელმა არც მიაქციოს ყურადღება-მეთეი.

გოგი დამეთანხმა, ახლა ასე აჯობებსო, დიმამაც თავი დაგვიკრა.



სპეკტაკლი «1832 წელი». სეხომ ჰაჭუოხი და მიხეილ ჩახინიძე

დავსხედით დარბაზში. მოახლოვდა მონოლოგის წამოთქმის დრო და, იცით, რა მოხდა? ეს მონოლოგი დიმას არასოდეს ისე ემოციურად არ წარმოუთქვამს, როგორც იმ საღამოს.

დარბაზში, რომ იტყვიან, ტაშის ქარიშხალი ამოვარდა. მე, როგორც, ავტორს, ეს მიხარია, მაგრამ ავტორს, რომლის პიესასაც ხვალვე რეპერტუარიდან მოხსნიან, ვერავინ მეტყვის, რა მელის.

ჩემს გვერდით იჯდა კაცი, რომელსაც ხელში ვწვდი, რად გინდათ, ბატონო, ტაში, არ გინდათ ტაში! გაოცებულმა შემომხედა. ტაში მაინც გრძელდებოდა და ის დაუკრავდა თუ არა ტაშს, უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, კომპარტიის ბიუროს წევრები, კულტურის მინისტრი – ოთარ თაქთაქიშვილი დირექტორის კაბინეტში შევიდნენ სათათბიროდ; ჩვენ – გოგის და მე, შესვლაზე უარი გვითხრეს.

40 წუთის შემდეგ კაბინეტიდან ყველა მოლიმარი გამოვიდა. **აფხაზეთის კულტურის მინისტრი ალექსი არგუნი, რომელსაც სოხუმში უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა დადებითი რეცენზია ამ სპექტაკლზე, დამამშვიდა, ყველაფერი კარგად არისო, თაქთაქიშვილი კი გენოსიაო.**

თურმე შესვლისთანავე კომპარტიის მდივანს უკითხავს, ვინ მისცა თეატრს ამ პიესის დადგმის უფლებაო. ბატონ ოთარს მშვიდად უპასუხნია, ამის უფლება მე მივეციო.

მერე კი, თურმე, ნახევარი საათი საუბრობდა და ისე საინტერესოდ განიხილა პიესაში ასახული ეპოქა, რომ ვერავინ გააჩერა.

როცა საუბარი დაასრულა, კომპარტიის მდივანმა კულტურის მინისტრს – ოთარ თაქთაქიშვილს მაღლობაც გადაუხადა და დაემშვიდობა.



სპეკტაკლი «1832 წელი». ვალერი ახლციანი, ბახიხა ჩახავა და ეიფა ჯანიანი

საინტერესო შემოქმედის უკან ყოველთვის დგას საინტერესო ბიოგრაფია. სახელოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლი გურამ პეტრიაშვილი გვიჩვენებს უკრაინაში გატარებულ 20 წელიწადზე. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ბატონი გურამისთვის სხვა ქვეყანაში ემიგრაცია იძულებითი ნაბიჯი იყო და სამოქალაქო ომის განხორციელება ტიპიკურად იყო დაკავშირებული, უკრაინაში ყოფნა მას, როგორც შემოქმედს, ბევრი რამ მისცა. როგორც მწერალი ამბობს, ეს არ იყო ღრმის დაკარგვა – ეს იყო მჭიდრო, კეთილშობილი ურთიერთობები დიდებულ ადამიანებთან, შეხვედრა ახალ კულტურასთან; და, ამ გადასახედიდან, ეს იყო ღვთისგან ზოგადი ცხოვრებისეული მონაკვეთი, რომელმაც ის, როგორც პიროვნება და შემოქმედი, სულიერად გაამდიდრა.

ეს ღვთისგან იყო

გურამ პეტრიაშვილი

სარკველი სამყაროში

უკრაინასთან ჩემი მეგობრობა დიდი ხნის წინ დაიწყო. პირველად 1971 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, პირადი საქმის გამო (მეუღლემ ჩააბარა ჩერნოვცის უნივერსიტეტში) დასავლეთ უკრაინის ქალაქ ჩერნოვცში ჩავედი და იქ ერთი წელი დავრჩი. ადგილობრივ ტელეკომპანიაში ოპერატორად დავინწყე მუშაობა, უკრაინული ენის შესწავლაც დავინწყე. ძალიან მოხიბლული ვიყავი ჩერნოვცით; მიმაჩნია, რომ ის უკრაინის ერთ-ერთი მშვენიერი ქალაქია. **უნდა ითქვას, დასავლეთ უკრაინა გამოირჩეოდა დანარჩენი უკრაინისგან – ის იყო ძალზე თვითმყოფადი, თითქმის თავისუფალი საბჭოთა გავლენებისგან; იგრძნობოდა ეროვნული სული, ყველგან მხოლოდ უკრაინული ლაპარაკი ისმოდა.** ერთმა, დაახლოების შემდეგ, პირად საუბარში ისიც კი მითხრა, უკრაინა რუსეთი არ გეგონოთ; პირადად მე, აქ, დასავლეთში, რუსი ეროვნების ადამიანი უნივერსიტეტში ჩაბარებამდე ნანახიც კი არ მყავდა, პირველად რუსი კიევი ვნახე.

ჩემთვის აღმოჩენა იყო ასეთი უკრაინა: რომანტიკული ბუნების, თავისუფლებისმოყვარე, ამაყი. ვნახე დიდებული ქვეყანა, შესანიშნავი ადამიანებით. იმ პერიოდში გავიცანი მომღერალი ვოლოდიმირ ივასიუკი, რომელმაც, სწორედ ჩემი იქ ყოფნისას დაწერა დღეს უკვე ცნობილი, თითქმის უკრაინულ ჰიმნად ქცეული სიმღერა „ჩერვონა რუტა“.



«ჩემი მშობლივი». ზვიად გამსახურდია

მოგეხსენებათ, ქართველები გულდია ხალხი ვართ, მეგობრობაც უფრო გულდია ხალხთან გამოგვდის. უკრაინელებს, ალბათ, ამიტომაც ვეწყობით კარგად; ისინიც ხომ ჩვენსავით ლაღნი და სტუმართმოყვარენი არიან, იციან მეგობრობა და დანდობა.

თუმცა, ზოგადად, შორიდან ძნელია, ილაპარაკო რომელიმე ქვეყანაზე. მისი კარგად გაცნობა თუ გინდა, ახლოდან უნდა ნახო ის, გაიგო, როგორია, შეისწავლო მისი კულტურა, ისტორია, ენა.

რასაკვირველია, ყოველი ურთიერთობა გულიდან უნდა მოდიოდეს და არა ფორმლობიდან. გულით მეგობართა შორის იყო ვასილ ბაბუხი, რომელიც ერთხელ მეუბნება:

– გინდა, ჩვენი ქვეყანა უფრო ახლოდან, უფრო კარგად გაიცნო? მინდა, ჩემს მშობლიურ სახლში დაგპატიჟო, ჩემი მშობლები გაგაცნო.

რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, დიდი სიამოვნებით მივიღე მეგობრის მიპატიჟება. მთის ულამაზეს სოფელს, სადაც ვასილის მშობლები

ცხოვრობდნენ, ერქვა ვიკო (უკრაინულად „ფანჯარა“). იგი, მთის სიმწვანეში ჩაფლული, მართლაც რომ, სარკმელივით ჩანდა ამ სამყაროში. მინდა, აღვნიშნო, რომ უკრაინაში, ისევე, როგორც საქართველოში, ყველგან ნახავთ ყვავილებით სავსე, მოვლილ, კონტა ეზოებს; უკრაინელი გლეხის კარ-მიდამოდანაც კი იგრძნობა ერის რომანტიკული ბუნება.

მშობლების გაცნობისა და მათ მიერ გულიანად გამასპინძლების შემდეგ ვასილმა მოტოციკლით (სოფელში ჰქონდა დატოვებული) გასეირნება შემომთავაზა. ეს იყო დაუვიწყარი, გიჟური რბოლა მოტოციკლით მთის ვიწრო, საცალფეხო ბილიკებსა თუ ციცაბო კალთებზე; ეს იყო აზარტითა და სიხარულით სავსე გასეირნება. სახლში საღამოს დავბრუნდით, დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები.

* – პუბლიკაციას თან ახლავს უკრაინელი მხატვრების ნამუშევრები.

მე შთაბეჭდილებებისგან ვიყავი გაბრუებული. გემრიელი ვახშმის შემდეგ მასპინძელმა საძინებლამდე მიმაცილა უკვე საკმაოდ შეზარხოშებული და „ძილი ნებისა“ მისურვა. დღით გადაქანცულს, რომ იტყვიან, იმნამსვე მკვდარივით ჩამეძინა.

დღით, თვალი გავახილე თუ არა, ზევით ავიხედე და გავოგნდი: თეთრად შეღებილი, ქათქათა ჭერი დიდი წითელი ვარდებით იყო მოხატული. აქეთ-იქით კედლებიც მოვათვალიერე – ყოველი მხრიდან ულამაზესი ვარდები შემომყურებდნენ!

იმდღიანდელი შთაბეჭდილება მთელი ცხოვრება მომყვება.

შენ იქნები ჩემი ელჩი

მეორედ, დიდი ხნით, უკრაინაში წავედი 1993 წელს, როდესაც პუტჩისტურმა ხუნტამ ძალით დაამხო საქართველოს კანონიერად არჩეული პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მთავრობა. მე, როგორც ზვიადის თანამოაზრესა და თანამებრძოლს, იძულებით მომიწია ქვეყნის დატოვება. უკრაინაში წასვლის წინ ზვიად გამსახურდიას შევხვდი. საუბრის შემდეგ მან მითხრა, შენ უკრაინაში ჩემი ელჩი იქნებიო. მე ვიუარე, ელჩი როგორ ვიქნები, ელჩი ხომ პოლიტიკური ფიგურაა-მეთქი. მან დამამშვიდა: შენ აქ, საქართველოში ქართულ ენას, ისტორიას, კულტურას იცავდი მოძალადე დამპყრობლისგან, უკრაინაშიც იგივე საქმე გააგრძელე, უკრაინული ენა და კულტურა დაიცავიო.

როგორც საქართველოში, უკრაინაშიც იყვნენ მწერლები, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ ეროვნულ მოძრაობაში. როცა გაიგეს, რომ ეროვნული მოძრაობიდან ვარ, ზვიადის ელჩი, დიდი ნდობით განიმსჭვალნენ ჩემდამი. ეროვნული მოძრაობა ხომ გულებს აერთიანებს; ესაა მდგომარეობა, როცა ყველას ერთმანეთი უყვარს. უკრაინის ეროვნული მოძრაობიდან გავიცანი მიკოლა შუდრა, რომელმაც ყველაფერი იცოდა თავისი ქვეყნის კულტურის, ისტორიისა და ეროვნული მოძრაობის შესახებ და მეც ბევრ საკითხში გამათვინებინებდა. დავუახლოვდი, აგრეთვე, უკრაინის დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს რომან კოვალს. ამდენად, ჩემი პოლიტიკური მისია, ლიტერატურულთან ერთად, უკრაინაშიც გაგრძელდა.

მეუღლესთან და უმცროს ქალიშვილთან ერთად ქალაქ ჩერნიგოვში (აღმოსავლეთ უკრაინა) დავბინავდი. ცოტა ხანში სამუშაოდ წავედი კიევში, ცოლ-შვილი კი ჩერნიგოვში დავტოვე. უკრაინულშიც საკმაოდ გავინაფე; შემეძლო, ახლოდან გავცნობოდი უკრაინულ კულტურასა და ისტორიას. დროდადრო რადიოში გადაცემა უკრაინულ ენაზე მიმყავდა. რადიოს გარდა ბევრ ადგილზე ვმუშაობდი, შრომას არ ვთაკილობდი და გამომუშავებული თანხის უდიდეს ნაწილს ცოლ-შვილს ვუგზავნიდი.

იმ წლებში, როგორც საქართველოში, უკრაინაშიც ჭირდა ცხოვრება, ხალხი თითქმის შიმშილობდა. ჩემი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან არ მქონდა სტაბილური შემოსავალი. მართალია, ბევრი მწერალი გავიცანი და მე, როგორც თანამოკალმეს, მითანაგრძობდნენ, მაგრამ მათაც ძალიან უჭირდათ ეკონომიურად. გამოსავალი მალე გამოიძებნა: იმხანად უკრაინის მწერალთა კავშირი თავის წევრებს ყოველდღიურად უმასპინძლდებოდა უფასო სადილით. კავშირის მაშინდელმა მდივანმა ლეონიდ ჩერევატენკომ გამიკეთა ცნობა, რომ ვარ მწერალი და სხვა მწერლებივით, მეც შემიძლია, ვისარგებლო სასადილოში მიპატიჟებით. რა თქმა უნდა, სადილთან ერთად, ვანყობდი ურთიერთობებს, ვიძენდი მეგობრებს.

გავიცანი შესანიშნავი უკრაინელი პოეტი მიკოლა ვიგრანოვსკი; მიმაჩნია, რომ მისი პოეზია ძალიან ახლოს არის ჩვენს, ქართულ სულთან. მიკოლა ვიგრანოვსკიზე გადავიღე 3 სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელიც უჩვენებს უკრაინის ტელევიზიის პირველი არხით.

კიევში შევხვდი ქართველ ემიგრანტს სოსო ჩოჩიას, ძალიან კარგ ადამიანსა და ლიტერატურის დიდ მოყვარულს. საქართველოს მონატრება, სხვებთან ერთად, მანაც გადამატანინა. სოსომ კიევში გამომავალ ჟურნალ „საქართველოში“ ჩემზე დაბეჭდა წერილი, სადაც თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსი მინოდა.



«ბაუბაჩკოს სისოსხლეს!»
მხატვარი ევგენია ბაჩინსაია



«ადება ბაუბახანი». მხატვარი ვიქტორ ხახიანი

საჩუქარი სცენიდან



«ოჰი შავხლენი». მხატვარი მახია ჰიბაჩანაო

მწერლების გარდა გავიცანი კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ბევრი შემოქმედი ადამიანი. დაუახლოვდი ადგილობრივი თეატრის დასის წევრებს. **დაუშეგობრდი, ვიტყოდი, არაჩვეულებრივ მსახიობებს – ანატოლი ხოსტიკოევა და ბოგდან ბენიუკს.** სხვათა შორის, ანატოლი ხოსტიკოევა მე ვურჩიე, თეატრში დაედგა „ბერძენი ზორბა“.* მიმაჩნდა, რომ მისი პერსონაჟი იყო. მოგვიანებით ეს სპექტაკლი თურმე მართლაც დაუდგამს თავად ანატოლის და დიდი წარმატებისთვისაც მიუღწევია: „ბერძენი ზორბა“ უკრაინის თეატრის სცენაზე 100-ჯერ უთამაშიათ!

ერთხელ ანატოლიმ და ბოგდანმა დამპატიჟეს ერთ-ერთ

სპექტაკლზე; შუა წარმოდგენის დროს ბოგდანი ეკითხება ანატოლის:

- თუ იცი, დღეს ჩვენთან ვინ არის სტუმრად?
- ვინ? - კითხულობს ანატოლი.
- ვინ და, გურამ პეტრიაშვილი. ხომ არ ვაჩუქოთ რამე გურამს? მოდი, ვაჩუქოთ კარგი ქართული სიმღერა!

მართლაც, უკრაინის დიდმა მსახიობებმა ანატოლიმ და ბოგდანმა ორ ხმაში, მთელი სულითა და გულით, შესანიშნავად იმღერეს ქართულად. მე ფეხზე წამოვდექი. დარბაზი ტაშს უკრავდა. ძალიან ამაყი ვიყავი ჩემი სამშობლოს, უკრაინისა და ასეთი მეგობრების გამო.

21-ე საუკუნის ოსკარ უაილდი

უკრაინული ენა ძალიან მდიდარია. როცა მისი შესწავლა დავიწყე, აღმოვაჩინე საოცრად უნიკალური კულტურა. **მინდა, ყველამ იცოდეს, რომ უკრაინელებს აქვთ ძალიან მდიდარი ფოლკლორი, 400 000-ზე მეტი სიმღერა, შესანიშნავი საგმირო ბალადები, რომელიც სრულდება ძველებური სიმებიანი საკრავ – კობზას თანხლებით.** ხალხი მღერის გმირზე, რომელსაც ცოცხლად უღებენ გულს. მსოფლიოში არავის შეუქმნია ამდენი ბალადა, ამდენი საგმირო სიმღერა.

როგორც ქართველებს გყავს ფიროსმანი, უკრაინელებსაც ჰყავთ თვითნასწავლი მხატვარი მარია პრიმაჩენკო. გული მწყდება, რომ მისი გაცნობა ვერ მოვასწარი – უკრაინაში ჩემი ჩასვლის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მარია პრიმაჩენკოს შემოქმედებამ. მისი „ლომი სანოლზე“ ერთ-ერთი ისეთი ნახატია მხატვრობაში, რომელიც ყველაზე უფრო მაქვს გულსა და ტვინში. მარია პრიმაჩენკოს ნამუშევრებში ასახულია უკრაინული მოტივები. გამოცემულია რამდენიმე უკრაინული საფოსტო მარკა პრიმაჩენკოს ნახატებით. სამწუხაროდ, რუსეთ-უკრაინის ომმა შეინირა მხატვრის ნამუშევრების უმეტესობა (დაიკარგა 25 ნახატი, რომელიც ინახებოდა ივანკოვის ისტორიულ მუზეუმში). აღმოდებული შენობიდან ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მხოლოდ 10 ნამუშევრის გადარჩენა შეძლო.

უკრაინაში ჩემი შემოქმედება ძალიან ბევრს მოსწონდა. **ცნობილმა მთარგმნელმა სტანისლავ რეპიახმა უკრაინულად თარგმნა ჩემი ზღაპრები (4-ჯერ გამოიცა).** კარგად იცნობდა რა ევროპულ ლიტერატურას,

კერძოდ, ზღაპრებს, მიაჩნდა, რომ ვიყავი ევროპის დონის მეზღაპრე. სხვათა შორის, ამ აზრს უკრაინაში ბევრი მწერალი იზიარებდა. **უკრაინელი პოეტის ივან ანდრუსიაკის სიტყვებია: „მარადიულობის ენით ლაპარაკი შეუძლია ძალიან ცოტას; ასეთებს შორისაა გურამ პეტრიაშვილი. თუ გვინდა, გავიგოთ ადამიანის ტკივილი და სიხარული, მისი ზღაპრები უნდა წავიკითხოთ“.** მან 21-ე საუკუნის ოსკარ უაილდიც კი მიწოდა; ამ ეპითეტს ჩემი მეგობარი ჯარჯი ფხოველი მოსწრებულად გამოეხმინა:

- არა, გურამი 21-ე საუკუნის ოსკარ უაილდი კი არა, 21-ე საუკუნის გურამ პეტრიაშვილია!

რა თქმა უნდა, ყოველივე ახლა სასიამოვნო მოსაგონარია და ორმაგად ძვირფასიც, რადგან ეს წრფელი, გულიდან ამოსული სიტყვები ჩემს უკრაინელ და ქართველ მეგობრებს ეკუთვნით.



«ლომი სანოლზე». მხატვარი მახია ჰიბაჩანაო

* - დიდი ბერძენი მწერლის – ნიკოს კაზანდაკისის ამავე სახელწოდების რომანი.

მალქა*

ნუნუ ჯანელიძე

იმ ქვეყანაში, რომელსაც თავად ედგა მონობის უღელი, ჩემი მონობა რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო; მაგრამ უფრო გასაოცარი იყო ამბავი, რომელიც ერთნაირად აფორიაქებდა დამპყრობელსაც და დამონებულსაც, მონასაც და თავისუფალსაც; უფრო კი, ეს იყო ამბავი კაცზე, რომელიც უცნაურ რაღაცებს ამბობდა და დღითი დღე მთელ ქვეყანას ვირუსივით ედებოდა მისი სიტყვები.

მე, მღვდელმთავრის მონას, რა თქმა უნდა, საქმის არაფერი მეკითხებოდა, მაგრამ რაკი სახლში თუ კარში მუდამ თან ვახლდი ჩემს ბატონს, მოვლენების შუაგულშიც ვიყავი და ძალაუნებურად მესმოდა ყველაფერიც, რასაც ის და მის გარშემო მყოფნი ამბობდნენ.

გაუგონარი ამბავი იყო, ვილაც ხუროს შვილი ცათა სასუფეველის შესახებ ლაპარაკობდა, ღვთის ძეობას იჩემებდა და, ლამის, ღმერთს ეტოლებოდა. ჩემი ბატონი გაცეცხლებული იყო და მეც ვერ ვერეოდი ბრაზს; ჩვენ, მონები ხომ ისე უნდა ვფიქრობდეთ, როგორც ბატონები, ის გვიხაროდეს და ის გვწყინდეს, რაც მათ.

მართალია, ყველა მონას მორჩილება მოეთხოვება, მაგრამ მღვდელმთავრის მონას მაინც განსაკუთრებული მორჩილება ევალება, რადგან ის ერთდროულად ხორციელ ადამიანსაც ემსახურება და ღვთის მსახურსაც. ამიტომ, ასმაგად ვიბოლმებოდი ჩემი ბატონის შემწუხებელზე, ვინმე იესო ნაზარეტელზე და მზად ვიყავი, სადაც ვნახავდი, დაუნდობლად ამეკუნა ხანჯლით.

უფუარობის დღესასწაული ახლოვდებოდა. იმ საღამოს წარჩინებული იუდეველები მობრძანდნენ მღვდელმთავრის სახლში, აღშფოთებულები ლაპარაკობდნენ ნაზარეტელზე, ხალხში შფოთის შემომტანზე; თვითონ ვერ ბედავდნენ გადანყვეტილების მიღებას, ღვთის უმაღლესი მსახურის სიტყვას ელოდებოდნენ.

კაიაფა** გამომცდელად უსმენდა მოსულებს, უფრო აკვირდებოდა, ერთსულოვანნი თუ იყვნენ. ბოლოს, თავის ვარაუდში სავსებით დარწმუნებულმა, დაბეჯითებით ურჩია იუდეველთა მთავრებს, რომ მათთვისვე იქნებოდა უმჯობესი, თუკი ერთი ადამიანი მოკვდებოდა ხალხისთვის. გადანყდა, ყველამ შვებით ამოისუნთქა. მეც.

ახლა მოქმედება იყო საჭირო; და როდესაც კაიაფამ მიბრძანა, სხვებთან ერთად მეც წავსულიყავი ნაზარეტელის შესაპყრობად, სიხარულით ცას ვენიე. მონისთვის იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, ბატონს ასიამოვნოს, თანაც, სხვისი დამცირებითა და ხელყოფით საკუთარი გაუხარელი ყოფა რაღაც დროით გაიხალისოს და წამიერად თავი სხვის მბრძანებლადაც კი იგრძნოს.

კედრონის ხევზე მანამდე წარმოდგენაც არ მქონია, მე ხომ ბატონის ჩრდილი ვიყავი, მას კი მხოლოდ კეთილმონყობილ ადგილებში ერჩივნა სტუმრობა.

ხელკეტებით შეიარაღებულ ბრბოსთან ერთად მღვდელმთავრის მონებიც მუქართა და ყვირილით მივიწვევდით ისკარიოტელის მიერ დასახელებული ადგილისკენ, ლამის სიბნელეს ანთებული ჩირაღდნებით ვკვეთდით. წინ, რა თქმა უნდა, თვით იუდა მიგვიძღვოდა.



* – სახელი ნაწარმოებია ებრაული ფუძიდან, რომელიც ნიშნავს „მეფეს“. ის იყო მღვდელმთავრის მონა, რომელიც ქრისტეს დაპატიმრების ღამეს თან ახლდა გეთსემანეს ბაღში მისულ იუდა ისკარიოტელსა და ბრბოს.

** – იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავარი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იესო ნაზარეტელის სიკვდილით დასჯაში.

ეს ადგილები მან კარგად იცოდა – ნაზარეველთან ერთად ისიც ხშირად ყოფილა აქ. ისკარიოტელი პირველად მაშინ ვნახე, კაიაფასა და უფროს მღვდლებს იესოს შესაპყრობად დახმარება რომ აღვუთქვი. ღვთის რჩეულად შევრაცხე, დიდი საქმის გამკეთებლად; ამიტომ მოწინებს ვგრძნობდი მის მიმართ, მორჩილად მივდევედი უკან.

გეთსემანეს ბაღიც გამოჩნდა, ერთად შეკრებილი ადამიანების სილუეტებიც დავლანდეთ.

– ვის ეძებთ? – იკითხა ერთ-ერთმა და დანარჩენებს გამოეყო, წინ წამოიწია.

ერთბაშად თითქოს ყველა დაიბნა. მან ხელახლა იკითხა:

– ვის ეძებთ?

– იესო ნაზარეველს! – გაუბედავად უპასუხა ჩვენს შორის ვიღაცამ.

იუდა სწრაფად გამოგვეყო, დამხვდურს ლოყაზე ეამბორა და უთხრა:

– გამარჯობა, რაბი!

თავისდაუნებურად, თითქოს რაღაც ძალამ უბიძგათო, ყველამ უკან დაიხია და მოწინებითაც დაემხო მიწაზე.

გაბრაზებამ შემიპყრო, მზად ვიყავი, ეს მხდალებიც ამ ღვთის მგმობელთან ერთად ამეხანჯლა. ამიტომ, როგორც კი ბრძანება გაისმა, შეგვეპყრო იგი, მომინდა, პირველობა ჩემი ყოფილიყო. ის იყო, ნაზარეველის შესაპყრობად გავინიე, რომ მისმა ერთ-ერთმა თანმხლებმა მახვილი იშიშვლა და მომიქნია.

თავიდან ვერც კი მივხვდი, რა მოხდა. უეცრად ყურის საშინელი ტკივილი ვიგრძენი; სისხლმა შადრევანივით იჩქეფა. ტკივილისგან გამნარებულმა ხელი ჭრილობისკენ წავიღე, ოდნავ მოვსინჯე – ყური თითქმის ჩამოთლილი იყო, ბიბილოზელა ეკიდა საბრალობლად.

– პეტრე, ჩააგე მახვილი, რადგან მახვილის ამღები მახვილითვე დაიღუპება! – მშვიდად მიმართა იესომ თანმხლებს, ჩემკენ თანაგრძნობით შემობრუნდა და ხელი მომისვა ჭრილობაზე.

უცებ ტკივილი გაქრა, თითქოს არც არაფერი მომხდარა. ვერ გავრკვეულიყავი, რა ხდებოდა. ხელით ნაჭრილობევს გაუბედავად შევეხე. დაუჯერებელი იყო, ყური ისევ მთელი და საღ-სალამათი მქონდა.



მერე ბევრი აღარაფერი მახსოვს. მეც, სხვებივით, იესოს შემპყრობლებთან და მგმობლებთან ერთად, მისი წამების შემყურე და მონაწილე ვიყავი. მაგრამ იმ წამიდან მე თითქოს სხვანაირი გავხდი-მე ფიქრი დავიწყე, გააზრება, თუ ვინ იყო სინამდვილეში ნაზარეველი.

როცა დაბადებიდან მონა ხარ, თითქოს ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული – შეგუებული ხარ შენს დაბეჩავებულ ყოფასა და მწარე ხვედრს და არც მომავლის იმედი გაგაჩნია. მაგრამ, გეთესმანეს ბაღში სასწაულებრივად ჩემი ყურის გამთელების შემდეგ (როგორც მერე გამოვარკვიე, ეს იესოს ბოლო ხილული სასწაული იყო) მომიხდა, უფრო ახლოდან გამეცნო იგი.

დასაკითხად დატყვევებული ნაზარეველი პირველად კაიაფას სიმამრთან, მღვდელმთავარ ანასთან მივიყვანეთ. გამოაცხადე ნაზარეველის მშვიდმა პასუხებმა, წმინდა წერილებიდან დამონმებულმა. რაც უფრო მეტს ვუსმენდი იესოს, უფრო მეტად ვრწმუნდებოდი მისი სიტყვების სისწორეში, უფრო მეტად მატყვევებდა მისი ცოდნის სიღრმე და გონების გამჭრიახობა.

მერე იესოს მიერ კაიაფასთვის და პილატესთვის გაცემულმა პასუხებმა დამაფიქრა, ხოლო როცა ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით მოვისმინე, წამების ძელზე გაკრულიც როგორი შემწყნარებელი იყო ყველას, თვით მწამებელთა მიმართ, სრულიად ავივსე მისადმი რწმენით. ამიტომ არც იესოს აღდგომის დაჯერება გამძნელებია: ჩემში უკვე ღრმად იკიდებდა ფესვს ღვთისადმი სიყვარული.

უფრო და უფრო ბევრს ვიგებდი უფლის შესახებ, ვლოცულობდი და ვიცოდი, მისმენდა იგი, ვკითხულობდი წმინდა წერილებს და მჯეროდა, ვუსმენდი მას. ვუკვირდებოდი იესოს მიმდევრებს და მაცოცხლებელ მათი გულწრფელი სიყვარული, ერთგულება და თავგანწირვა ერთმანეთისა და ღვთის სიტყვისადმი; სადაც თანასწორი იყო ყველა და თვით მონის მდგომარეობაში მყოფსაც შეეძლო, ეგემა თავისუფლება...

ახლა, სატუსალოში გამომწყვდეული, ვუფიქრებდი ჩემს განვლილ ცხოვრებას და ვხვდები, იესომდე არც მიცოცხლია, უფრო სწორად, მკვდარი ვიყავი და გავცოცხლდი. ახლა ვიცი, ყურის გამთელების სასწაულიც არაფერ შუაშია, სასწაული ის არის, რომ თვალეები ამეხილა და ღვთის იმედი დავინახე. ამიტომ, როცა მიბრძანეს, იარაღი აღმემართა გამოქვაბულში საიდუმლოდ შეკრებილ იესოს მომდევრებზე, თითქოს ცხადად ჩამესმა იესოს სიტყვები, პეტრეს რომ უთხრა: „ჩააგე მახვილი!“

და მე, დაბადებიდან მონამ, მთელი შეგნებით უარი განვაცხადე ბრძანების შესრულებაზე. კარგად ვიცოდი, ამისთვის სიკვდილი არ ამცდებოდა, მაგრამ სიკვდილი რაა იმასთან შედარებით, რასაც ღვთის წყალობა ჰქვია, თანაც, სიკვდილი ხომ დროებითია.

ბედნიერი ვარ, რადგან მათთან ერთად ვიმყოფები, ვინც ჩემსავით იცნო ქრისტე და მის სიყვარულს ეზიარა. ხვალ ჩვენ, ყველას, უღმობელ მხეცებს მიგვიგდებენ დასაგლეჯად ან ძელზე გაგვაკრავენ; ვიცით ეს და, ადამიანურად, სიმართლე გითხრათ, ყველას გვეშინია, მაგრამ ღვთის რწმენა მხნეობასა და სიმამაცეს გვმატებს და მტკიცედ გვჯერა, ბოლომდე ვუერთგულებთ ქრისტეს გზას.

მე მღვდელმთავრის მონა ვიყავი, ახლა ღვთის მონა ვარ; მაშინ მონობის კანონს ვემონებოდი, ახლა კი თავისუფლების კანონს ვემორჩილები. ვიცი, უფალი გამიხსენებს მოსვლისას. ტყუილად ხომ არ ჩაინერა ჩემი სახელი წმინდა წერილებში.

ჰო, შეხსენებისთვის, მე მალევე მქვია...



ექვთიმე თაყაიშვილი – დაბადებიდან 160 წელი



ექვთიმე თაყაიშვილი

მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი – ექვთიმე თაყაიშვილი (1862-1953 წ.წ.) ის გამორჩეული პიროვნებაა, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ (1921 წ.) უპატრონა და მცველად დაუდგა უცხოეთში გატანილ ეროვნულ განძეულობას. იქ ყოფნის 24 წლის განმავლობაში, მან, სანახევროდ მშიერმა, არათუ რაიმე მოაკლო უმდიდრეს კოლექციას, პირიქით, ბოლომდე ხელუხლებელი საგანძური შეავსო შეძენილი ქართული ხელოვნების ნიმუშებით (საკუთარი მიზერული სახსრებით).

1945 წლის 5 აპრილს პარიზში გაგზავნილმა საგანგებო თვითმფრინავმა, სადაც ექვთიმე თაყაიშვილიც იმყოფებოდა, სამშობლოში დააბრუნა უძვირფასესი ტვირთი. თავიდან მეცნიერი დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ შემდეგ ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა: „მუშაობის სტაჟი არ გაქვთ და პენსიას ვერ დაგინიშნავთ“, – უთხრეს მთავრობაში. 86 წლის მარტოხელა ბერიკაცს ჩამოართვეს მანქანა, დაუპატიმრეს მძლოლიც და შვილობილიც, მნახველებს მასთან ვიზიტი აუკრძალეს.

ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა 1953 წლის ზამთარში. გასვენების დღესაც გაიცა ბრძანება, არავინ მივიდესო იქ. მეცნიერი იოსებ მეგრელიძე იხსენებს, როგორ მოელაპარაკა ბალდახინის მძლოლს და საიდუმლოდ 3 თუმანი მისცა; სთხოვა, 3 წუთით მანქანა უნივერსიტეტთან გააჩერეო. მართლაც, მანქანა გამიფუჭდაო, „მოიმიზეზა“ მძლოლმა და პატარა თეთრი ავტობუსი 6 წუთი გააჩერა უნივერსიტეტთან. ვაკის სასაფლაომდე მხცოვან მეცნიერს მხოლოდ 48 კაცი გაჰყვა. ასეთი სასტიკი დრო იყო!

აკაკი შანიძის შემდეგ საფლავთან ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა ქრისტინე (ჩიტო) შარაშენიძემ.*

საკითხი თაყაიშვილის მთანმინდაზე გადასვენების შესახებ დააყენა ვახტანგ ბერიძემ. მაღლიერი შთამომავლების სახელით კი რეზო თაბუკაშვილმა მას „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა.

ვერიკო ანჯაფარიძე – დაბადებიდან 125 წელი

1986 წლის 1 სექტემბერს, მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა საზეიმო შეკრება, მიძღვნილი სასწავლო წლის დაწყებისადმი. როცა ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა ეთერ გუგუშვილმა, სიტყვა ვერიკო ანჯაფარიძეს მისცა, დარბაზი ფეხზე წამოდგა.

ქალბატონმა ვერიკომ გაოცება ვერ დამალა:

– თქვენ ფეხზე ადექით, რატომ?..
მცირე პაუზის მერე კი განაგრძო:

– თუმცა, ვიცი, რატომ და სწორია, რომ ადექით. თქვენ ადექით იმიტომ, რომ მე 88 წლის ვარ... და მაინც აქ, თქვენს წინაშე, ასე მაგრად ვდგავარ. და ეს ფეხზე მაგრად დგომა ასეთი უსასრულოდ გრძელი და ძნელი გზის დამლევს ის საკვირველებაა, რომლის სანყისიც და ახსნაც ისევ და ისევ თეატრია. მე არასოდეს მქონია თეატრისგან გამიჯნული არც სახლი, არც კერა, არც სიცოცხლე, არც მიზანი... თეატრი დაკავშირებულია უდიდეს პიროვნულ დრამასთან, უდიდეს მსხვერპლთან... ამასთან, არც ერთი სხვა პროფესია არ მოგანიჭებთ ისეთ ბედნიერებას, როგორც თეატრი... თეატრი მოგანიჭებთ უნარს, ათასჯერ გაიმეოროთ თქვენი ცხოვრება, გაიმეოროთ ათას ქვეყანაში, ათას ეპოქაში, ათასი სახით... და, აი, მე, ამ უძნელესი და უბედნიერესი გზის ბოლოს მდგომი, დღეს გილოცავთ გზას თქვენ, ახალფეხშემოდგმულთ...**

ქართული სცენის კორიფე – ვერიკო ანჯაფარიძე გარდაიცვალა ამ დღიდან ზუსტად 5 თვის შემდეგ, 1987 წლის 31 იანვარს.



ვერიკო ანჯაფარიძე

* – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

** – სიტყვა იბეჭდება შემოკლებით.

ნიკო ფიროსმანი – დაბადებიდან 160 წელი

როგორც ამბობენ, ფიროსმანის (1862-1918 წ.წ.) ბევრი ტილო ვერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. შესაძლოა, მათი ნაწილი კვლავ საქართველოში იყოს, ნაწილი კი – საზღვრებს გარეთ. მაგალითად, 2011 წლის 31 მაისს სამართალდამცველებმა ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას იპოვეს ფიროსმანის ადრე გაუჩინარებული ტილო „დაჭრილი ჯარისკაცი“ .

მას შემდეგ, რაც ექსპერტიზამ მისი ორიგინალობა დაადასტურა, „დაჭრილი ჯარისკაცი“ გადაეცა საქართველოს ეროვნულ გალერეას.

ფიროსმანის კიდევ ერთი ნახატი „ქართველი ქალი ლენაქით“ 1928 წელს მოსკოვში მოგზაურობისას შეუძენია ცნობილ ავსტრიელ მწერალს – შტეფან ცვაიგს (მაგრამ უცნობია, ნახატი როგორ აღმოჩნდა რუსეთში). 1942 წელს, ცვაიგის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეუღლემ ნახატი აჩუქა ერთ-ერთ მეგობარს, ჰარი ტონს. ამ უკანასკნელმა „ქართველი ქალი ლენაქით“ უსასყიდლოდ გადასცა ნიუ-იორკში მდებარე ფრედონიას უნივერსიტეტის კოლექციას არსებულ ცვაიგის მუზეუმს, სადაც ის ათეული წლები ინახებოდა.

2018 წელს ფიროსმანის ეს ნახატი გაიტანეს ნიუ-იორკის „სოტბის“* აუქციონზე, რომლის ვებ-გვერდზე ტილოს სავარაუდო ფასი 700 000-მდე ფუნტი სტერლინგით განისაზღვრა. თუმცა ნახატი გაიყიდა 2 230 000 ფუნტად.

„ვხედავ ფიროსმანს და მჯერა საქართველო“, – წერდა გრიგოლ რობაქიძე.



ფიროსმანის ნახატი
„ქართველი ქალი ლენაქით“

ილიკო სუხიშვილი – დაბადებიდან 115 წელი

1945 წელს მეუღლესთან, ნინო რამიშვილთან ერთად, ილიკო სუხიშვილმა (1907-1985 წ.წ.) დააფუძნა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.

დღემდე „სუხიშვილები“ მსოფლიოს აცნობენ ქართველი ერის უძველესსა და უმდიდრეს კულტურას. ცნობილია, რომ ნინო რამიშვილი, როგორც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, იყო საკმაოდ მომთხროვნი, ხშირად, მკაცრიც. შედარებით დამთმობი და ლოიალური ყოფილა ილიკო სუხიშვილი.

ერთხელაც თბილისში მნიშვნელოვანი საფეხბურთო მატჩი ტარდებოდა. არადა, ფეხბურთის დრო სადამოს რეპეტიციას ემთხვეოდა. ბიჭებმა გადაწყვიტეს, რეპეტიციიდან გათავისუფლების ნებართვა ქალბატონი ნინოსგან აეღოთ.

– ბიჭებო, შეიძლება, საქმე გააფუჭოთ, ნინოს არაფერი უთხრათ! ახლა დავინყოთ რეპეტიცია და, ვნახოთ, იქნებ, რამე მოგიხერხოთ, – უთქვამს ილიკო სუხიშვილს.

დაინყეს რეპეტიცია (ბიჭებთან, როგორც წესი, ილიკო მუშაობდა).

პედაგოგმა სხვადასხვა რეპლიკით ანსამბლის წევრებს რამდენჯერმე შეაწყვეტინა ცეკვა:

- ბიჭებო, რა დაგემართათ დღეს?!
- რა ხანია, ასეთი დაბნეულები არ მინახიხართ!..
- დღეს ვერ გცნობთ!..
- რა გჭირთ, საითკენ გარბის თქვენი გონება!

ბოლოს და ბოლოს, „აივსო“ ანსამბლის ხელმძღვანელის მოთმინების ფიალა და „გაბრაზებულმა“ შეუძახა ბიჭებს:

– მომშორდით, თვალთ არ დამენახოთ! დღეს მაინც როგორ ვერაფერი მოგიხერხეთ! რეპეტიციას ხვალ გავაგრძელებთ! არც ერთი არ დამაკლდეს!

რეპეტიციიდან „სუხიშვილის“ ბიჭებმა „დინამოს“ სტადიონს მიაშურეს. დიდი პედაგოგისა და მაცესტროს ოინმა გაამართლა.



ნინო რამიშვილი და
ილიკო სუხიშვილი

* – 1744 წელს ლონდონში დაარსებული სოტბის აუქციონი, კრისტის აუქციონთან ერთად, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი აუქციონია, სადაც, ძირითადად, ხელოვნების გამორჩეული ნივთები იყიდება.

„რაც მოგა მიაგო“, – ჯუბლიკაციის ავტორი სათაურიდანვე იწყებს იმ დღეებისკენ მიგრუნებას, როცა იბრძოდა, მაგრამ როცა ომი აგებავდა არაერთგვაროვან ეპიზოდებს, ადამიანურად დაბრუნებულ სიკეთეებს, უკანასკნელ დარჩენილ კითხვებს. ამას განიხილავს მერა, როცა 13-თვიანი ბრძოლის ისტორია არაფერს ნაშლის – ომში დასული მემორი ხომ საშუალო მემორია.

როცა აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, მერაბ დუნდუა ფიზიკის ინსტიტუტში გუგამოდა, გიცნიერ-თანამშრომლად. სამიზად 2 თვის მერა წავიდა, ბაგრის დაცემისთანავე, აფხაზეთი კი დატოვა უკვე სოხუმის დაცემის შემდეგ, 30 სექტემბერს. მან, მერაბ დუნდუამ, 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონის სატანკო ასეულის მეთაურმა, აფხაზეთიდან გამომიტანა და ძველანა შემოუნახა სამხედრო თვალსაზრისით მებრძოლ საჭირო დოკუმენტი: ესაა ჩანაწერების რეგული, უფრო ზუსტად, ომის უკანასკნელი 13 დღის წუთობრივ-საათობრივი ქრონიკა, მთავრობის სახლის რომელიმე სამორიგო ოთახში სხვადასხვა კალიბრაჟით რომ ივსებოდა (ომის ეს ქრონიკა დაიბეჭდა „დილის გაზეთში“).

მერაბ დუნდუა არაფერს თხზავს, არაფერს ალამაზავს. ომი ისეთი რეალობაა, ფერები რომ არ უხდება, – მიაჩნია მერაბს. „რაც მოგა მიაგო“ მართალი კაცის მართალი ომის ფრაგმენტებია.

რაც მოგა მიაგო

მერაბ დუნდუა

ვიტალა

ეს იყო 1993 წლის თებერვალში. ტანკები გვეყენა ოჩამჩირის ავტოპარკში. სალამოსკენ, ის იყო, მოვრჩი რაციის შეკეთებას, რომ მორიგემ მითხრა:

– გარეთ გკითხულობენ, მგონი, ადგილობრივებია.

გავიფიქრე, ამჯერადაც „სალიარკის“ მთხოვნელები მომადგნენ-თქო. უხალისოდ დავტოვე ოთახი. გარეთ ორი ბიჭი დამხვდა, მესამე თეთრ „ჟიგულში“, საჭესთან იჯდა. მანქანაში ჩასხდომა შემომთავაზეს, რუსულად მესაუბრებოდნენ. საჭესთან მყოფი მომიბრუნდა და ისევ რუსულად გააგრძელა:

– გავიკითხეთ შენზე, თურმე ოჩამჩირეში გიცხოვრია, ცოტა ხანი აქაურ სკოლაშიც გისწავლია.

ფეხბურთის დიდი ფანი რომ ყოფილხარ, ესეც გავიგეთ. სათხოვარი გვაქვს: ვიტალი დარასელიას სახლის დაცვაში უნდა დაგვეხმარო!..

უცებ დავიბენი, ხმა ვერ ამოვიღე, მერე კი ქართულად მივმართე მათ:

– კი, მაგრამ, ვიტალას* სახლს რა დაცვა უნდა! ის აფხაზებსაც და ქართველებსაც ერთნაირად უყვართ, პატივს სცემენ. არა მგონია, ვინმემ უკადრებელი იკადროს!

ბიჭები თავისას არ იშლიდნენ და დაჟინებით ითხოვდნენ, უარი არ მეტქვა.

– კი, მაგრამ, უშუალოდ მე რა მევალება, რა უნდა ვაკეთო? – ვიკითხე ბოლოს.

და ისეთი რამე მითხრეს, პასუხმა, ლამის, გამაშეშა:

– შენ ვიტალი დარასელიას სახლში იცხოვრებ! თანამდებობა დიდი გაქვს და როცა შენისთანა პატრონი ეყოლება მიტოვებულ სახლს, მას ვერავინ გაეკარება!..

მე, ფეხბურთის დიდ ქომაცა და დარასელიას დიდ თაყვანისმცემელს, მის სახლში უნდა მეცხოვრა! მერე რა, რომ ომი იყო და მეომარი მერქვა!

იმ წუთებში კატეგორიული ვერ ვიქნებოდი და ბიჭები მეორე დღისთვის დავიბარე. როცა იგივე თხოვნით მომმართეს, უკვე დავთანხმდი.

– აი, ბინის გასაღები, იქ კვირაში ორ-სამჯერ მიხვალ. სასურველია, შენი ტექნიკით ნახვიდე და ტანკი კორპუსის წინ დააყენო. და კიდევ: რომ დაგინახონ, აივანზე დროდადრო გამოჩნდი.

აი, მაშინ კი ვიკითხე, თქვენ ვინ ხართ-მეთქი. ოჩამჩირელები ვართ, ადგილობრივები, მიპასუხეს; ისიც დაამატეს, თითოეული ჩვენგანის ვალია, დაიცვას ვიტალი დარასელიას სახლი (ჩემი აზრით, ეს ბიჭები უფრო აფხაზები იყვნენ – ორიოდ სიტყვას ქართულად ხომ მაინც მეტყობდნენ).



* – ფეხბურთის გურმანები ასე მოიხსენიებდნენ ვიტალი დარასელიას.



კორპუსამდე მანქანით მიმიყვანეს და მარტო დამტოვეს. ვიტალას ბინა მეორე თუ მესამე სართულზე იყო (ოჩამჩირეში დარასელიას კერძო სახლიც ჰქონდა, ეზოიანი).

თითქმის ცარიელი სახლის მისაღებ ოთახში სურათების საოჯახო ალბომი ვნახე – მაგიდაზე იდო. ძირითადად, ვიტალას სურათებით იყო შევსებული. რამდენჯერაც ბინაში ავედი, ხელში იმ სასურველ ალბომს ვიჭერდი და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ვათვალთვლებდი. ვიხსენებდი ბედნიერ წუთებს, როცა ასე გვაოცებდა ვიტალა თავისი ოსტატობით, ტრიუკებით, როცა სტადიონს მისით მონუსხული მაყურებელი ტოვებდა.

როცა ჩვენი შენაერთი სხვაგან გადაიყვანეს, გასაღები იმ „ადგილობრივ“ ბიჭებს დავუბრუნე.

დიდი დროა უკვე გასული, მაგრამ ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ არც აფხაზი და არც ქართველი უკადრისი განძრახვით ვიტალი დარასელიას სახლის ზღურბლს არ გადააბიჯებდა.

P.S. რამდენიმე თვის მერე ასრულდა მთელი საქართველოსა და, ალბათ, ვიტალი დარასელიას ოცნება: თბილისის „დიმანო“, როგორც ქართულმა და საბჭოთა გუნდმა, პირველი ოფიციალური მატჩი გამართა და მოუგო ირლანდიელებს. პოზიტივით სავსემ ისლა მოვიფიქრე, რომ გავედი ვიტალას საფლავზე. იქ არავინ დამხვდა...

1993 წლის ზაფხულში, როცა ომი ისევ გრძელდებოდა, ფეხბურთისთვის არავის ეცალა!

რომეო

ეს იყო 1993 წლის აპრილში ჩვენი სატანკო შენაერთი დისლოცირებული იყო ოჩამჩირეში – ასეულის ტექნიკა იდგა არადუში, მერკულაში, კვიტოულში, ფოქვეშში, ოხურეში...

სადილობის მერე ბიჭები ვცდილობდით, ვინც როგორ ახერხებდა, შევკრებილიყავით ბატალიონში, რომ ჩვენამდე ჭორად მოსული თუ ომის მართალი ამბები აგვენონ-დაგვენონა, ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა.

ის იყო, მეორე ოცეულის ჯარისკაცმა, მეტსახელად „გაზეთამ“, დაინყო ამბის მოყოლა კვიტოულში ტყვედ აყვანილი რუსი კაპიტნის შესახებ, რომ მომესმა:

– როკი (ასე მეძახდნენ როკ-მუსიკით ჩემი გატაცების გამო), მეთაურთან!

ნეტავ, რა უნდა, გავიფიქრე და მაშინვე გავემართე მასთან შესახვედრად. „სედოიმ“ ფანქრით მიმითითა სკამისკენ და ოთახში მყოფ მომმარაგების უფროსთან განაგრძო საუბარი („სედოი“, რომელიც შვილთან ერთად იბრძოდა, ოჩამჩირელი მურმან ბოკუჩავას მეტსახელი იყო).

ცოტა ხანში მომიბრუნდა:

– ბრიგადიდან ჯარისკაცი გამოგზავნეს, ხალხი მაინც გაკლია, შენთან წაიყვანე და ტანკისტი გახადე. ვფიქრობ, არ უნდა იყოს ცუდი მეომარი...

მერე მზერა გადაიტანა ოთახის კუთხისკენ, სადაც იარაღების ერთ-ერთ ცარიელ ყუთზე ჩამომჯდარი ახალგაზრდა ბიჭი შევნიშნე.

– გაიცანი რომეო გირგვლიანი! – გავიგონე მეთაურის ხმა.

ბიჭი ზანტად, ისეთი ზღაზვნით წამოდგა, თითქოს, „ნანილ-ნანილ“ აპირებდა სხეულის აზიდვას: ჯერ ცალი მხარი წამოსწია, მერე მეორე; თანდათან ხერხემალიც გაასწორა, თედოებიც მიაშველა და როცა ფეხებიც გამართა, ჩემზე მთელი თავით მაღალი ახალგაზრდა დავინახე.

კიდევ მსხვილი ტუჩები და არსად მზირალი ჭროლა თვალები გამოარჩევა მას, დიდი ნაიარევიც – მარჯვენა ყურიდან ნიკაპამდე, მარცხენა ხელის მტევანი ცხვირსახოცით გადაეხვია, მარჯვენაში კი – ავტომატი ეჭირა. ხმელ-ხმელი ტანის, სიმაღლეში ანონილ ბიჭს ისეთი გრძელი ხელები ჰქონდა, ლამის, მუხლებამდე სწვდებოდა.

– ამ სიმაღლის კაცი ტანკში როგორ ჩავტოვ?! – გამოვხატე ჩემი უკმაყოფილება (ტანკისტებად შედარებით ჩია ტანის მეომრებს ვირჩევდით).

– მეტი არავინ გვყავს! – „სედოიმ“ მარტო ეს მითხრა.

სხვათა შორის, ისიც მკითხა, მაინც რამდენი აკუმულატორი გამოგლიჯე ბრიგადასო.



– ექვსი, მეტი ვერა! – ვუბასუხე.
 – ეჰ, ამ ომში არასდროს გვაქვს ის, რაც გვჭირდება! – უკმაყოფილება ასე გამოხატა „სედლომ“, ერთიც მისებურად ამოიოხრა და ისევ „მომმარაგებელს“ მიუბრუნდა.

რომეო გარეთ მელოდებოდა. შევამჩნიე, რომ ავტომატი საბრძოლო მდგომარეობაში ჰქონდა.

– ავტომატს ასე რატომ ატარებ? – შევეკითხე.
 – ერთხელ ამან გადამარჩინა და მას მერე პირად იარაღს მხოლოდ ასე ვატარებ, „კამანდირ“! – მომიგო მან.

ბოლო სიტყვა ისე მკაფიოდ, ისეთი ხაზგასმით წარმოსთქვა, მიმანიშნა, რომ ჩემნაირი „კამანდირები“ ბევრი ჰყავდა ნანახი.

– ავტომატი გადაიყვანე დამცველზე და წამოდი! – ვუთხარი.

– როგორც გინდა! – მომიგო და გამომყვა.

ოციოდე ნაბიჯიც არ გვექონდა გავლილი, რომ ზურგს უკან რაღაც გაჩხაკუნდა. მივხვდი, რომ რომეომ ავტომატი ისევ მისთვის „სასურველ“, ანუ საბრძოლო მდგომარეობაში გადაიყვანა.

ბრაზი მომერია, იმდენად, რომ თავი ძლივს ავიყვანე ხელში. ამასობაში ჩემებთან მივედით. ბიჭები მოვაგროვე და წარუდგინე ახალმოსული. შემდეგ ისევ რომეოს მივუბრუნდი:

– ჩვენ არ მოვსულვართ შენთან, შენ მოხვედი ჩვენთან და მოიქცევი ჩვენი წესებით! ბაზაზე ავტომატი მუდამ დამცველზე გექნება!

სხვა მითითებები იგივე მკაცრი ტონალობით გავეცე:

– „ლიმონებიდან“ ამოიღებ დეტონატორებს და, საერთოდ, ჯობია, ავტომატს კონდახი მოაძრო. ტანკში ისედაც სივინროვია და პრობლემას შეგვიქმნის!

ამის მერე ერთ-ერთი ტანკის მეთაური მოვიხმე:

– „ემ-ტი-ესი“-დან (MTC – სარემონტო სამსახური. მ.დ.) დამიკავშირდნენ, ახლა შენს ტანკს აწყობენ თურმე. წადი, მიეხმარე და რომეოც თან გაიყოლე – ტანკს მიაჩვიე. ამ კვირაში რაღაცას მაინც აითვისებს, ისწავლის და მერე ჩავსვით ტანკში.

გავიდა დრო. რომეო, მართლაც რომ, კარგი მეომარი იყო, მაგრამ არა ტანკისტი. მაშინვე იქ გარბოდა, საიდანაც სროლის ხმას გაიგებდა. არადა, გამუდმებით ვეჩხუბებოდი, ტანკს არ მოშორდე-მეთქი. როცა სიმშვიდე იყო, არავის ეკონტაქტებოდა და იჯდა განმარტოებით.

შთაბეჭდილება კი მრჩებოდა, თითქოს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მერე მითხრეს, რომეო სოხუმის რომელიღაც სოფლიდანააო და იქ და და სიძე მოუკლესო. ხშირად სვამდა, რასაც კატეგორიულად ვენიანააღმდეგებოდი.

როცა რომეო ჩვენგან ქვეითთა ოცეულში გადავიდა, როგორც გამორჩეულ მეომარს, პატივისცემის ნიშნად, ვაჩუქე ჯავშანფილეტი (ომის პირველივე დღეებში ის ჩემმა დეიდაშვილმა, ასე ვთქვათ, ნაცნობობით მიმოვა. აფხაზეთის ომში ჯავშანფილეტი იშვიათობა იყო).


რომეოსთან დაკავშირებით ომის ერთი ეპიზოდიც მახსენდება. ეს იყო იმ დღეს, როცა პოზიციებთან შემოგვიტიეს. ამჯერადაც მოიბრინა ჩვენთან (და საერთოდ, ჩვენგან წასვლის მერეც, როცა გვიჭირდა, ჩვენი ტანკების გვერდით იყო, ჩვენთან ერთად იბრძოდა)...

ეს ტამიშთან მოხდა. მონიანაღმდეგე გვიტებდა, ტანკიც ჩავვიქრა. ფეხოსნებმა კი უკან დაიწყეს დახევა. ტანკი არ მოატოვოთ, თორემ სათითაოდ გესვრითო, გაცხარებით დაუყვირა მათ რომეომ.

მაღე სხვებიც მოგვეშველენ. იმ დღის საბრძოლო ოპერაციაც წარმატებით დავასრულეთ და ტანკიც გადავარჩინეთ. ეს რომეოს დამსახურება იყო.

მოგვიანებით გავიგე, რომ ომის განახლებისთანავე, 1993 წლის სექტემბერში, რომეო ტანკისგან აცილებული ფუგასური ჭურვის ნამსხვრევით მძიმედ დაჭრილა და რამდენიმე დღეში ჰოსპიტალში გარდაცვლილა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე უთქვამს, როკის ნაჩუქარმა ჯავშანფილეტმა გადამარჩინაო. ვერ გადაარჩინა – გულ-მკერდი ერთიანად შენგრეული ჰქონდა.

სოხუმის დაცემამდე ორიოდე დღით ადრე საგანგებო დავალებით სოფელ ოხურეიში შევედით.



სალამოსკენ ერთ-ერთი ტანკის მეთაური მეუბნება, სოფელი ქელეხის სუფრაზე გთხოვს მისვლასო. შემატყო, რომ უარის თქმას ვაპირებდი და მითხრა:

– იქ რომეოს ქელეხია... შორეული ნათესავი უხდის!

როგორც მისმა ყოფილმა მეთაურმა, რომეოს შესანდობარიც დავლიე და ბევრი რამეც გავიხსენე. წამოსვლისას მომეძალა ფიქრი, რომელიც დღემდე არ მასვენებს:

– რომ არ გამეშვა, იქნებ, გადარჩენილიყო!..

ეკალა

1993 წლის ივლისი იყო. როგორც იქნა, სარემონტო სამსახურიდან გამოვიყვანეთ შეკეთებული ტანკი. ახლა საჭირო იყო ოპტიკურ-ბალისტიკური სამუშაოების ჩატარება, რაც უშუალოდ ჩვენი, ტანკისტების საქმე იყო: უნდა დამერეგულირებინა 100 მმ-იანი ქვემეხის, ტყვიამფრქვევისა და ოპტიკური სამიზნის ურთიერთკავშირი. ამასთან, გაშლილ ადგილზე, 700-800 მ-ის დაშორებით უნდა მომეძებნა სამიზნე ორიენტირები (როცა ომის დაწყებისას ტანკები გორიდან წამოვიყვანე, მძიმე ტექნიკის გასამართავად საჭირო ინსტრუქტაჟიც მაშინ ჩავიბარე).

შევარჩიე სოხუმი-ოჩამჩირის ახალი გზის ჩრდილოეთი მხარე, მერკულასა და ოხურეის შორის. ჩვენსა და მონინალმდეგეს შორის ე.წ. ნეიტრალური ტერიტორია დაახლოებით 1,5 კმ-ზე იშლებოდა. ერთმანეთს გვყოფდა ჩაის პლანტაციები, ეკალ-ბარდები, ანუ ის მანძილი, რაც მე მჭირდებოდა.

კვირა დილით ტანკი გავიყვანე მონიშნულ ადგილას და შესაბამის ინსტრუქციებსაც მივყევი. ამგვარ ტექნიკურ სამუშაოს პირველად ვასრულებდი და დროც საკმაოდ დამჭირდა: ჯერ დავაყენე სამიზნე, მერე დავარეგულირე ქვემეხი, შემდეგ ტყვიამფრქვევი. შესაბამისად, ვცვლიდი ორიენტირებს და ყველაფერს ისევ და ისევ თავიდან ვიწყებდი.

გავიდა რამდენიმე საათი. ის იყო, სამიზნის ჯვარი თითქმის ლულის ჯვართან დავსვი (რეგულაციის ეს პროცესი ტექნიკურად ასე გამოითქმის), რომ ოპტიკურ სამიზნეში გამოჩნდა 5-6 ფორმიანი მონინალმდეგე; ეკალასა თუ რალაც კენკროვან მცენარეს კრეფდნენ. ლაზერით გაზომილი მანძილი 650 მ აღმოჩნდა, რაც ნიშნავდა, რომ მონინალმდეგე ნეიტრალურ ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

რაციით დავუკავშირდი მორიგეს. როგორც მითხრა, გადანყვეტილება თავად უნდა მიმელო.

ლულაში შევაგდე მსხვრევად-ფუგასური ჭურვი, მერე ტანკში მსროლელის ადგილას გადავჯექი და ბუჩქნარში მყოფნი სამიზნეს ჯვარზე ავიყვანე. მიზანში სროლით დიდად არ გამოვირჩეოდი, მაგრამ 600 მ მანძილიდან, ისიც გაჩერებული ტანკიდან ნასროლი ჭურვი, თუნდაც, ახლომანძლო აფეთქებულიყო, მონინალმდეგეს დიდ ზიანს მიაყენებდა; თანაც, თუ ტყვიამფრქვევსაც მივაყოლებდი...

ის იყო, დავასრულე მანძილის კორექტირება და დავაპირე გასროლა, რომ მომენტალურად რალაცამ გამაჩერა, ავფორიაქდი:

– ეს ბიჭები არ მებრძვიან, ეძებენ პირის დასასველებელს, არიან თავისთვის; ახლა, ალბათ, არც ომზე ფიქრობენ და, მით უფრო, სიკვდილზე! როგორ ვესროლო?!

ცოტა ხანს კიდევ ვუყურებდი ბიჭებს სამიზნიდან და როცა საბოლოოდ უარი ვთქვი უკიდურეს გადანყვეტილებაზე, გადავჯექი მექანიკოსის ადგილზე და ტანკი საფარიდან გამოვიყვანე (მერე ომის ეს ეპიზოდი ადგილობრივ პრესაშიც გამოუქდა).

P.S. წლები გავიდა. როცა ბიჭები მაგიდასთან და ჭიქა ღვინოსთან შევიკრიბეთ, ნაბახუსევზე წამომამახეს, უნდა გესროლაო... ვინ იცის, ვინც დაინდე, იქნებ, სწორედ მან მოკლაო რომელიმე ჩვენი თანამებრძოლი... სადღაც მართლები იყვნენ... ან, იქნებ, მეც არ ვტყუივარ, მე, რომელმაც მტერი დავინდე, იმ წუთებში სიკვდილისთვის ვერ გავიმეტე?

იმ დღიდან გასულია, აგერ, უკვე 30 წელი და დღემდე უპასუხოდაა ჩემი კითხვა:

– უნდა მესროლა თუ არა?!



უნგრელი მხატვარი – ტივადარ კოსტაკა ჩონტვარი, რომელსაც „უნგრულ ფიროსმანსაც“ უწოდებენ

«მე არ ვხატავ საღებავებით, მე მხოლოდ ვაკვირდები და აღფრთოვანებული ვარ გუნების სამოცობებით, მგვიდი ბარამოთი, არსებობის უმგვინიერესი მუხიკით. მე ვმოგზაურობ სილამაზის ძიების სამყაროში, შევიბრძნო სივრცის უსასრულობას», – წერდა დიდი უნგრელი მხატვარი ტივადარ კოსტაკა ჩონტვარი, კაცი უცნაური, ტრაგიკული ცხოვრებით, ფილოსოფიურად მოაზროვნე და თავისსავე საგმობლოში ძალიან გვიან აღიარებული. ასეთი ბედი, ალბათ, სხვა მრავალ მხატვარს გაუზიარებია, მაგალითად, ჰოლანდიელ ვან გოგს, ქართველ ფიროსმანს...

მომავალი მხატვარი ტივადარ კოსტაკა დაიბადა 1853 წლის 5 ივლისს, ავსტრია-უნგრეთის ქალაქ კისშეპენეში (ამჟამად სლოვაკეთის ქალაქი სპიშინოვი), მრავალშვილიან ოჯახში. მამა იყო გაღარიბებული კოლონელი თავადი, რომელიც ოჯახით უნგრეთში გადავიდა და იმ სათავსოში ჩაუდგა საფრთხეში საქმეს.

შემდგომ მაგის გზა რომ გაეგრძელებინა, პატარა, ჩუმი ტივადარი, ხუთ ძმასთან ერთად სწავლობდა უმცროსი ბიძგის ბიზნესში. და აი, ერთხელაც, 1880 წლის 13 ოქტომბერს, როცა ტივადარი მგვიდად გასცქეროდა სივრცესა და შორეულ კარავატებს, დაინახა ხარეხივადი ფურცელი. კოსტაკა ისე მოიხიზლა სანახაობით, რომ უცებ ყველაფერი რეცეპტის ქაღალდზე ჩაიხატა ფანქრით. იქვე მდგარმა უფროსმა ძმამ მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა: «შენ დაბადებული ხარ იმისთვის, რომ გახდი მხატვარი!»

უფრო მოგვიანებით, ზამთრის ერთ ცივ დღეს, როცა ტივადარს ჰქონდა ხილვა, იღუმაღმა ხმამ ჩასწერწულა:

- შენ იქნები უდიდესი მზიანი მხატვარი და თვით რაფაელსაც აჯობებ!

გამცებული ახალგაზრდა რომი გაემგზავრა, რათა თავისი თვლით ენახა რაფაელის ნამუშევრები. უცნაურია, მაგრამ მას არ მოეწონა დიდი მხატვრის ტილოები – მათ სიცოცხლე და გზა აკლიაო!

რომიდან დაბრუნებული კოსტაკა სწავლობს ხან მიუნხენში, უნგრულ მხატვარ შიმონ სოლომთან, ხან ფრიდრიხ კალმორგენტთან; ცოტა ხნით პარიზშიც ეუფლება აკადემიურ სამხატვრო განათლებას. გადის დრო. ტივადარს არ მოსწონს სწავლების მანერა და თავს ანებებს ყოველგვარ მიცადინეობას. ის ხატავს «როგორც ხედავს და როგორც უნდა».

1900 წელს ტივადარი იღებს ფსევდონიმს «ჩონტვარი», რაც სლავური «კოსტაკას» (ძველი) უნგრული თარგმანია.

ჩონტვარის ნამუშევრებიდან თავისი მისტიციზმითა და იღუმაღებით ყველაზე ცნობილია «მოხუცი მეთევზის პორტრეტი». ამ ნახატის საიდუმლო, რომორც აგობენ, ამ ცოტა ხნის წინათ «შემთხვევით» გამოიცნო მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

ამ მოხუცი კაცის გამოსახულების ზუსტად შუაში, ვერტიკალურ მდგომარეობაში მოათავსა სარკე და, დახეთ, საოცრებას! – მარცხენა მხარეს გამოჩნდა ბრძენი მოხუცი, ღვთიური სახით, ხოლო მარჯვენა მხარეს – ეშმაკი.

ფონიც შესაფერისი აქვს – ერთ მხარეს წყნარი, იდილიური პეიზაჟი ჩანს, მეორე მხარეს, მარჯვნივ კი – აშოკოქრებული ზღვა და ცეცხლისფრქვევითი ვეფუცი. თითქმის მხატვარი გვიჩვენებს სამოთხესა და ჯოჯოხეთს – ღმერთსა და სატანას. ...და ეს ყველაფერი, გოროტი და კეთილი საწყისი, ერთ აღამიანში თავმოყრილი.



«ავსოპოხიხიხი»
ტივადარ კოსტაკა ჩონტვარი


ჩონტვარს ხშირად აღარებენ ვან გოგს. ისინი ერთ წელს არიან დაბადებულნი, ორივენი თითქმის თვითნასწავლ მხატვრებად ითვლებიან, ორივე ცაცია იყო, ორივეს ტრაგიკული სიკვდილი ერგო წილად და ორივეს ნამუშევრები ავტორების გარდაცვალების შემდეგ მილიონებად გაიყიდა.

გარდაიცვალა ჩონტვარი 1919 წლის 20 ივნისს, ართრითის მიმი ფორმის მიზეზით. არის ვერსია, რომ ის უმოწყალო ცემის შედეგად დაიღუპა. ნათესავებმა მხატვრის ასობით სურათი დაიტაცეს, რომ ისინი ჩვეულებრივი ტილოს ნაჭრებად გაეყიდათ; ბედად, არძიქმეტორმა გერლოციმ, რომელმაც მხატვრის ყველა ტილო თავად შეიძინა, განადგურებას გადაარჩინა ჩონტვარის უპატრონო შედეგები.

ამჟამად უნგრეთის ნაციონალურ გალერეაში ინახება ჩონტვარის 127 ტილო, მხატვარი კი განისვენებს გუდაპეშტის უძველეს სასაფლაოზე – კერეპეშიზე. გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ გრაფოლოგებმა დაადგინეს, რომ ჩონტვარს არ ჰქონია ფსიქიკის დარღვევა და ხემა მისი შიზოფრენიით დაავადების შესახებ ძალზე გაზვიადებული იყო.


ჩონტვარი იყო პროგრესულად მოაზროვნე აღამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს და დაგვიტოვა მზითა და სიყვარულით, იღუმაღებითა და სიბრძნით ალსავსე საოცარი ნამუშევრები.

ამ ტილოს გეგმობდა დასაკითხად მომარჯვებით სარკვე!
120 წლის წინათ შექმნილი ტილო



რუსთაველი. «მოსული მეთევზე». 1902 წ.

როგორც ხედავთ, რუსთაველის ტილო «მოსული მეთევზე», კიტი
შეხვედრით, მოსული მეთევზის პოეტიკურ ჰაერს.



მეტი, უკვე აღვნიშნეთ,
რომ, თქვენი ნახატის
სახეში სხვადასხვა
მოთხრობებით, სხვის
ანეკდოტებით დაინახავთ
ოი სხვა - ღმერთსა და
საბუნას.



ჩვენი ოპი

ლალი მიქაძე*

როგორც ადგილის ან ისტორიული ძეგლის შეცნობა თუ გინდათ, ის 2-3-ჯერ მაინც უნდა მოინახულოთ. ამიტომაც გავუშურე მეორედ ტაო-კლარჯეთში, როგორც ერთდროულად ჩვენი უდიდესი ტკივილიცაა და სიამაყეც. სანამ უშუალოდ ოპის დიდადულ ტაძარზე გინამოვლათ, ცოტა რამ ამ მხარის ისტორიიდან.

ამოგან, ქართული გენის სიდიადეს სრულყოფილად ვერ შეიცნობ, თუ ისტორიული მისხეთი არ მოიარა. დიდი ნაწილი მისხეთისა - შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტანი, ტაო... დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკის შავადგანლოვანია და სწორედ ამიტომ, ჩვენი ისტორიული სამოვლოს ამ კუთხეებს „თურქეთის საქართველოს“ ვუწოდებთ. თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციები უამრავი ქართული ისტორიული ძეგლითაა მოვანილი.

„თურქეთის საქართველო“

საუკუნეების მანძილზე ტაო-კლარჯეთი ქართული სახელმწიფოს ნაწილი იყო. ეთნიკურადაც ქართული გახლდათ, რაზეც მეტყველებს მატერიალური კულტურის უამრავი ნაშთი, ასევე, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმები, წერილობითი წყაროები და სხვა. რელიგიურად ეს კუთხეები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილი იყო. აქ არსებობდა რამდენიმე ეპარქია (წურწყაბის, ერუშეთის, ახიზის, ბანას, იშხნის, ანჩის, ტბეთის), რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა. რეგიონში საეკლესიო, სალიტურატურო და საკომუნიკაციო ენა იყო ქართული.

VI-VII ს.ს.-ში საქართველო მნიშვნელოვნად დასუსტდა, ქართლში მეფობის გაუქმებამ მძიმე შედეგები მოუტანა ქვეყანას. ამას დაემატა არაბთა შემოსევები, რითაც ისარგებლა სომხეთის სამეფომ და VIII ს.-თვის ტაოს დაეუფლა. IX ს.-ის დასაწყისიდან ტაო-კლარჯეთი კვლავ ქართულ პოლიტიკურ სივრცეშია.

მტერთაგან გავერანებული სამხრეთ საქართველოს აღორძინება ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს – აშოტ I დიდსა და არანაკლებ დიდ საეკლესიო პირს – გრიგოლ ხანძთელს უკავშირდება.



იმიერ ტაოს „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“

აშოტ I დიდს – ქართლის ერისმთავარს, IX ს.-ის დასაწყისში ურთიერთობა გაურთულდა არაბებთან. იგი იძულებული გახდა, თავშესაფარი ტაო-კლარჯეთში მოეძებნა. ამასთან, ბიზანტიელთაგან ზურგამაგრებულმა მან ახალ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს ჩაუყარა საფუძველი, რომლის ცენტრად არტანუჯი გამოაცხადა. ამ სახელმწიფოს ქართულ ისტორიოგრაფიაში, „ტაო-კლარჯეთი“, „ქართველთა საკურაპალატი“ ან „ქართველთა სამეფო“ ეწოდება. მოგვიანებით, ბაგრატიონთა სახლის ორ შტოდ გაყოფის შედეგად, წარმოიქმნა ორი სამეფო – ტაოს სამეფო და კლარჯ ხელმწიფეთა სახელმწიფო.

X ს.-ში გაიყო ტაოს სამეფოც – იმიერ და ამიერ ტაოს სამეფოებად. იმიერთაოს მეფეები ატარებდნენ „ქართველთა (იბერთა) კურაპალატის“ ტიტულს, ხოლო ამიერთაოს მონარქები – „ქართველთა მეფისას“.

«ოშიი ათთხოუნად ჩვენი ტკივილისა და სიამაყეს», - ლალი მიქაძე

* – პუბლიკაციას ახლავს ავტორის მიერ გადაღებული ფოტოები.

X ს.-ში არაბთა სახელმწიფო რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად დაიყო. X ს.-ის შუა ხანებში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით კარგად ისარგებლეს სამხრეთ საქართველოში არსებულმა სამეფოებმა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო იმიერ და ამიერ ტაოს სამეფოები და „კლარჯი ხელმწიფეების“ სამფლობელო, ცენტრით არტანუჯში.



ოშკის ბაზატიო

იმიერტაოს მეფეს – ადარნასე III-ის ორი ვაჟი ჰყავდა – ბაგრატე და დავითი, რომლებთანაც, მეფობის ბოლო პერიოდში, უთანხმოება ჰქონდა. ეს დაპირისპირება

იმდენად სერიოზული იყო, რომ უფლისწულებმა ადარნასე კურაპალატი ტახტიდან ჩამოაგდეს და განამნესეს მონასტერში, სადაც მალევე გარდაიცვალა, 961 წელს.

იმიერტაოს სამეფოს ერთობლივად განაგებდნენ ძმები ბაგრატე და დავით ერისთავთ-ერისთავები. 966 წელს, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, იმიერტაოს ტახტს ერთპიროვნულად დავითი დაეუფლა.

დავითის მეფობის დროს, იმიერტაოს სამეფო იყო ყველაზე ძლიერი ქართული პოლიტიკური ერთეული, რომლის საზღვრები სამხრეთით ვანის ტბის მიდამოებამდე ვრცელდებოდა, ჩრდილოეთით კი – ჯავახეთამდე. მასზე გადიოდა რამდენიმე სახელმწიფო მნიშვნელობის სავაჭრო გზა.

დავით კურაპალატის სამეფოს ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი გამოვლინებაა არნახული მასშტაბის აღმშენებლობითი საქმიანობა. ოშკის, ხახულის, პარხლის, ოთხთას დიდებული ტაძრების მშენებლობა სწორედ დავით კურაპალატის სახელს უკავშირდება. მისი მეფობის დროს იმიერტაოს სამეფოში ათეულობით მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობა აიგო. ამიტომაც მადლიერმა შთამომავლობამ დავით კურაპალატს „დიდი“ უწოდა. მის ავტორიტეტსა და ძლიერებას აღიარებდა ბიზანტიის იმპერიაც. იმპერატორმა დავით კურაპალატს „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ ტიტული უბოძა.

„საქმესა ზედა მდგომ“-ი ბრიგოლი

რაც შეეხება ოშკს, იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის, თორთუმის ტბის მახლობლად მდებარეობს (თავად კარგა ხანს გაოგნებული ვიდეო ამ უმშვენიერესი და დიდებული ტაძრის წინაშე). მისი აგება უკავშირდება იმიერტაოს მეფეების – ბაგრატე ერისთავთ-ერისთავისა და დავით III კურაპალატის სახელს. ტაძარზე არსებული წარწერით ეკლესია 963-973 წ.წ.-ში უნდა აეშენებინა ხუროთმოძღვარს – „საქმესა ზედა მდგომ“ გრიგოლს.

XI ს.-ის 20-იანი წლების დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორების – ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის მატერიალური დახმარების წყალობით (იმიერტაო ამ დროს უკვე ბიზანტიის მიერ იყო დაპყრობილი), ტაძარი ხელახლა გადაუხურავთ. **1036 წლისათვის ბიზანტიის სამსახურში მყოფმა ქართველმა დიდებულმა ჯოჯიკ პატრიკიოსმა ტაძარი ხელახლა მოახატვინა და შეამკობინა.**

ოშკი მონასტერი იყო და, შესაძლებელია, იმიერტაოს მეფეთა საძვალეც ყოფილიყო. ოსმალთაგან ტაოს დაკავების შემდეგ ოშკის სამხრეთ მკლავში მოაწყვეს მეჩეთი, რომელიც XX ს.-ის დასაწყისამდე არსებობდა.

ოშკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია სამონასტრო კომპლექსის ცენტრალური ნაგებობა იყო. ტაძარი დღესაც გვანცვიფრებს გრანდიოზულობით. მისი სიგრძე გარედან – 43 მეტრს, სიგანე – 30 მეტრს, სიმაღლე კი – 34 მეტრს აღწევს.



ოშკის ტაძრის შიგნითადაა



ოშხის ტაძრის ეხთ-ეხთი ხედი

ტაძრის შიდა მხარე და ფასადი უმშვენიერესი ორნამენტებითაა მორთული. დღემდე შემორჩენილი მისი ფერწერა ცხადყოფს, რომ ეკლესია ულამაზესი მხატვრობით უნდა ყოფილიყო შემკული. ტაძრის დასავლეთ მკლავში პატრონივე იყო განთავსებული.

ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 40-ოდე მეტრში, გვხვდება რამდენიმე ნაგებობის ნაშთი, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სატრაპეზო, ხოლო მეორე გუმბათოვანი შენობა – ბიბლიოთეკა-სკრიპტორიუმი (ადგილი, სადაც ხელნაწერებს თარგმნიდნენ და გადაწერდნენ). ეს ერთიანი სივრცე კარგად

იყო განათებული და აქ საგანგებოდ დამზადებულ მერხებზე მონასტრის ბერები ახალ ხელნაწერებს ქმნიდნენ.

ოშკის სამხრეთ კარიბჭეზე სამშენებლო წარწერაში ზუსტადაა აღწერილი, რა მოცულობის სამუშაო ტარდებოდა ტაძრის აგებისას და რა თანხები დაიხარჯა.

დაჯამებულია, რომ სულ ჰყოლიათ 70 ხელოსანი, 80 მუშა, 30 მეურმე და 190 მებაზვერე (აზავერი – ტვირთის საკიდარი ხარი), ანუ სულ 370 კაცი. იმავე წარწერაში თანხების შესახებაც ვკითხულობთ: რომ ყოველწლიურად იხარჯებოდა 20 ათასი დრამა (ვერცხლის ფული), რკინა – 60 ლიტრა (დაახლოებით 300 კგ); ხვარბალი – 250 გრივი. მუშახელს, რომელიც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა, ბუნებრივია, ხუროთმოძღვრისაგან მიჩნეული „უხუცესები“ ეყოლებოდათ.

ოშკის ეს წარწერა თვალნათლივ მიუთითებს, რომ შრომის ორგანიზების თვალსაზრისით X ს.-ში საქართველოში საქმე მაღალ დონეზე იდგა.

უნიკალური წარწერები

უკვე აღვნიშნეთ, რომ ოსმალთაგან ტაოს დაკავების შემდეგ ოშკში პატარა მეჩეთი მოაწყვეს. იგი ტაძრის სამხრეთ აფსიდაში (ნახევარწრედ გამოწეული ნაწილი ქრისტიანული ბაზილიკის ნაგებობებში) ააგეს. 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ოშკში ყოფნისას აქ ჯერ კიდევ იყო მეჩეთი. მოგვიანებით, ტაძრის მახლობლად ახალი მეჩეთი აიგო, ძველი კი მალევე დაინგრა.

კედლის ნაწილის ჩამოშლის შემდეგ აქ ასომთავრული წარწერაც გამოჩნდა. 2004 წელს ძველი კედლის ფუნდამენტში არსებული ქვების შესწავლის მიზნით, აქვე ჩატანებული ორი ფილა ძველი კედლის ნაშენისაგან გათავისუფლდა და აღმოჩნდა უნიკალური წარწერა. როდესაც კედლიდან ორივე ფილა გამოიტანეს, დადგინდა, რომ საქმე გვექონდა ორ სტელასთან.

პირველ სტელაზე (წარწერიანი ქვის ფილა) (სიმაღლე 130 სმ) გამოსახულნი არიან იოანე ნათლისმცემელი და ბაგრატ ერისთავთერისთავი.

მეორე სტელაზე (სიმაღლე 157 სმ) გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და დავით III კურაპალატი.

ამჟამად ოშკის ტაძარში მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები და იმედია, ეს დიდებული ტაძარი თავდაპირველ სახეს მიიღებს.



ოშხის ტაძრის მიმდინარე ხანძარისას

P.S. ალბათ, გაინტერესებთ, როდის და როგორ დავპარებთ ტაო-კლარჯეთი და იბრაძინა თუ არა მის დასაბრუნებლად? ამაზე გიამბობთ უკვე ნომერში.*

* – პუბლიკაცია მომზადებულია ჯაბა სამუშიას „ტაო-კლარჯეთის“ მიხედვით.

როდესაც ისეთი ღიმილი მწერლის თარგმანს შეეძინება, რომორც ნიკოს კაზანძაკისა, შენს უკან ღიმილი ნიჭი, გაბაულებს და მოთმინება უნდა იღებს. თუ რომანის „ქათა მჭამელის“ ფრაგმენტის მიხედვით ვისჯავლავთ, ვიტყვით, რომ მისი მთარგმნელი მათა კაკაშვილი ნამდვილად გამორჩეულია ამ თვისებებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის, მკითხველთათვის, მიუწვდომელია ორიგინალი, ტექსტი ისეა დანერგული, იმდენად ქართულად და მგობლიურად უღერს, ცოტა არ იყოს, შიშვით კი გვეუფლება; თითქოსდა ეს ყველაფერი საღვთავს შორს, აღრეულ წლებში კი არა, ჩვენთან, ახლანდელ დროსა და სივრცეში ხდება.

ბერძენი მწერალი ნიკოს კაზანძაკისი კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისთვის. იგი 9-ჯერ იყო ნარდგენილი ნობელის პრემიისზე. მისი რომანი „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ (მთარგმნელი: მ. მთვარელიძე) აკრძალულ წიგნებს შორისაა.

კაზანძაკისმა სამჯერ იმთავითვე საქართველოში; იგი მთავრობდა ბრიგოლ როპაქიძესთან.

კაზანძაკისის სიტყვებია: „თუ გავნიერების წამი გეცოტავება, მაშინ იცოდა, არასდროს გეყოფა მარადიულობაც“.

ქათა მჭამელი

ფრაგმენტი რომანიდან

ნიკოს კაზანძაკისი

ახლგერძულიდან თარგმან მათა კაკაშვილმა


ღმერთი ლაპარაკობს:

ვინც მეძიებს, მპოულობს,
 ვინც მპოულობს, შემიცნობს,
 ვინც შემიცნობს, ვუყვარდება,
 ვინც მიყვარებს, მიყვარდება,
 ვინც მიყვარდება, ვკლავ.

სიღნა ალი, IX ს.-ის მუსლიმი მისტიკოსი

კასტელოში მზე ჩადიოდა, უკანასკნელ სხივებს სახურავები დაეტბორა, ახლა გადმოდიოდა, აღმა-დაღმა შუკეებში ირიბად იღვრებოდა და სოფლის სიმახინჯეს უმონყალოდ ააშკარავებდა. გამოყრუებული, შავ-ნაცრისფერი და ქვით ნაგები იყო ყოველი სახლი. დაბალ კარში შესვლისას უნდა დახრილიყავი, შიგნით კი წყვდიადი მეფობდა. ეზოებში ჩონჩორიკისა* და ადამიანის სიმყრალის სუნი იდგა. ერთი სახლის ეზოშიც კი ვერ ნახავდი ვერც ხეს, ვერც მგალობელ ფრინველს გალიაში, ვერც ქოთანში ჩარგულ, ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ რეჰანსა თუ წითელ მიხაკს. ყველგან ქვა იდო ქვაზე. ამ ქვებში მობინადრე სულებიც ხეშემნი და არასტუმართმოყვარენი იყვნენ. მთა, სახლები, ადამიანები – ყველანი ერთი და იმავე კაჟისაგან იყვნენ გამოკვეთილნი.

ამ სოფელში სიცილი მშვიდობიან წლებშიც იშვიათად ისმოდა. იგი ბუნების სანინააღმდეგო დიდ უტიფრობად ეჩვენებოდათ. მოხუცები თავს მოაბრუნებდნენ, წარბებს შეყრიდნენ და სიცილი წყდებოდა. როცა დიდი დღესასწაულები – ქრისტემობა, ყველიერი, აღდგომა – დგებოდა და ბეჩავი ადამიანები ერთი ბენოთი მეტს შეჭამდნენ, ერთი ბენოთი მეტს დალევდნენ და გაუხარელნი ყელს სასიმღეროდ მოიღერებდნენ ხოლმე, მხოლოდ გულისგამანვრილებელი, სულის



* – „ვირის ან ცხენის განავალი“ (საბა).



შემძვრელი მოთქმა ამოსდიოდათ, რომელსაც ერთი წამოიწყებდა, მეორე განაგრძობდა და გოდებას ბოლო არ უჩანდა! სიმღერაში მარადიული, უძველესი დროიდან მომდინარე შიში, ხოცვა-ჟლეტა, მონობა და შიმშილი მოისმოდა! ტირილზე მეტადაც სწორედ მათი სიმღერა ააშკარავებდა, რომ ცხოვრება მარადიული გამოცდაა, რომელმაც ათასობით წლის განმავლობაში მათ თავზე გადაიარა: შიმშილი, მათრახი და სიკვდილი, მაგრამ ისინი სალი კლდის ბალახით ამ უღმობელ ნაცრისფერ ქვევს

ჩაბლაუჭებოდნენ და აღარ სწყდებოდნენ. ვიდრე სამყარო ფეხზე დგას, ეს ჯიუტი იპიროსელები** მათ არ მოსწყდებიან.

მათ სხეულებსა და სულებს ქვის ფერი და სიმტკიცე შეეძინათ. მათთან შენივთებულიყვნენ, წვიმა დასდიოდათ, მზეზე შრებოდნენ, თოვლი ედებოდათ, თითქოს ყველანი ადამიანები ყოფილიყვნენ, თითქოს ყველანი ქვები ყოფილიყვნენ. როდესაც რომელიმე ქალ-ვაჟი გამოცალკევდებოდა და მღვდელი დააქორწინებდა, ერთმანეთისთვის სათქმელად თბილი სიტყვა არ მოეძეებოდათ. უხეში მატყლის საბანქვეშ ერთმანეთს უსიტყვოდ ერწყმოდნენ და გონებაში ერთადერთი რამ ჰქონდათ: ბავშვები გაერჩინათ და მათთვის ეს ქვები, მთები და შიმშილი გადაელოცათ.

უმეტესობა ქალი იყო, მამაკაცი – ცოტა. როგორც კი დაქორწინდებოდნენ და ქმარი პირველ ღამეებში ცოლის გულგვამში ვაჟს დაიგულებდა, უმეტესობა გუდა-ნაბადს აიკრავდა და მიემგზავრებოდა. როგორ უნდა გაეძლოთ ამ კლდოვან ადგილას? ძალიან შორს მიდიოდნენ და დაბრუნება უგვიანდებოდათ. მათ სიმღერა „შორსნასულებსა და გვიანმობრუნებულებს“ უწოდებს და დიდად უჩივის, რადგან ცოლებს მარტოდმარტო ტოვებენ. ისინი კი ჭკნებიან, ძუძუები ტომრებივით ეჩუტებათ, ზედა ტურზე ბენვი ამოსდით და ღამით დასაძინებლად დანოლილები ითოშებიან.

მათი ცხოვრება ღმერთთან, ქარებთან, თოვლთან, სიკვდილთან გაჩაღებული მარადიული ბრძოლაა; ამიტომაც, ძმათა შორის მკვლელობა რომ ატყდა, კასტელოელებს არ გაჰკვირვებიათ, არც შეშინებულან, არც ზნე-ჩვეულება შეუცვლიათ; უბრალოდ, რაც მანამდე მათში ჩაგუბებული, დამუნჯებული და გაუმჟღავნებელი იყო, ახლა უცებ ამოხეთქა, თავისუფლად თავხედობდა. მათი მკერდებიდან ამოვარდა ადამიანის დაუურვებელი ძველთაძველი ნადილი – მოეკლა. ჯერ კიდევ ჰყავდა თითოეულს მეზობელი, მეგობარი თუ ძმა, რომელიც წლებია, უმიზეზოდ ეზიზღებოდა. ზოგჯერ ისე, რომ თავადაც არ უწყოდა რატომ, საძულველი წლები გროვდებოდა და გამოსასვლელს ვერ პოულობდა. ახლა კი, აგერ, მოულოდნელად თოფებსა და ხელყუმბარებს ურიგებდნენ, მათ თავზემთ დიდებული ბაირაღები ფრიალებდა და მღვდლები, ჩინოვნიკები, მეგაზეთეები აგულიანებდნენ, მეზობელი, მეგობარი და ძმა მოეკლათ. მხოლოდ ასე გადარჩება რწმენა და სამშობლოო, უკიჟინებდნენ. მკვლელობამ – ადამიანის ამ უძველესმა საჭიროებამ – მაღალი, საიდუმლო აზრი შეიძინა და ძმებზე ნადირობა გაჩაღდა.

ზოგი წითელქუდიანებს მიეკედლა და მთებში ავიდა, სოფელში გამაგრებულ უმცირესობას კი თვალი მიეღურსმა მოპირდაპირე მთის მწვერვალისთვის, ეტოხარისთვის, სადაც მემამბოხეები დაბანაკებულიყვნენ. ხან წითელქუდიანები ეშვებოდნენ შეძახილებით, ხან შავქუდიანები უტყვდნენ, ერთმანეთს წელში უვარდებოდნენ და იწყებოდა ტკბილი ძმათა ჭამა. ეზოებიდან თმაგანწილი ქალებიც გამორბოდნენ, ბანებზე ადიოდნენ და მამაკაცების გასალიზიანებლად კიოდნენ. სოფლის ძაღლებიც ყმუოდნენ, პატრონებს ქასქასით მისდევდნენ და თავადაც ნადირობაში ერთვებოდნენ, სანამ ღამე ჩამოწვებოდა და ადამიანებს ჩანთქავდა.

მათ შორის ერთადერთი უიარაღო, სასონარკვეთილი, ხელგაშლილი და ხელცარიელი იდგა სოფლის მღვდელი, მამა იანაროსი. ხან მარჯვნივ იყურებოდა, ხან მარცხნივ, არ იცოდა, საით წასულიყო.

** – ალბანეთის ყოფილი მკვიდრნი.

აღვლევებული დღედაღამ ერთადერთს კითხულობდა: ქრისტე რომ ჩამოსულიყო, ვისკენ წავიდოდა? შავებისკენ? წითლებისკენ? თუ ისიც შუაში ხელგაშლილი იდგებოდა და იყვირებდა: „ძმებო, შერიგდით! ძმებო, შერიგდით!“ ამგვარადვე იდგა კასტელოში ღვთის წარმომადგენელი, მღვდელი იანაროსი და ხელგაშლილი ყვიროდა. ყვიროდა, მაგრამ ყველანი, შავებიცა და წითლებიც, თავს არიდებდნენ და უკიჟინებდნენ:

- ბულგარელო, მოლაღატე, ბოლშევიკო!
- დემაგოგო, ფაშისტო, ნაძირალა!

აფორიაქებული მღვდელი იანაროსი მძიმედ იქნევდა თავს და იქაურობას ეცლებოდა.

„გმადლობ, ღმერთო“, ჩურჩულებდა, „გმადლობ, რომ ამ სახიფათო ადგილზე საბრძოლველად დამაყენე. ყველა მიყვარს, მე კი არავის ვუყვარვარ, მაგრამ ვუძლებ. ერთი კია, თოქს მეტისმეტად მაინც ნუ დაჭიმავ, ქრისტე ღმერთო, ადამიანი ვარ, არც კამეჩი და არც ანგელოზი, ადამიანი. როდემდე გაფუძლებ? ერთ დღეს, შესაძლოა, გავტყდე კიდეც. ამას იმიტომ გეუბნები – მომიტევე, ღმერთო ჩემო! – რომ ზოგჯერ გავინყებდა და ადამიანისგან ანგელოზზე მეტსაც კი მოითხოვ.“

დილით, როცა იღვიძებდა და სენაკის ჯვრის ფორმის სარკმელს ალებდა, მიუვალ მთას, ეტოხარის, შიგ გულში უყურებდა – ხრიოკს, უხეოს, უფრინველოს, მთლიანად კლდეს – და ამოიხვნეშებდა ხოლმე. გონებით უკან წარმოიდგენდა დიდ სოფელს, აი-კონსტანტინოსს, სადაც აგერ, უკვე სამოცდაათი წელია, რაც დაიბადა.

იგი გაღმა, ძალიან შორს, შავი ზღვის ქვიშიან სანაპიროზე გადაშლილიყო. რა სიმშვიდე იყო, რა ბედნიერება, როგორ ზრუნავდა მათზე ღმერთი! ნამდვილად, ის, რასაც სოფლის ეკლესიის კანკელზე, ქრისტეს მარცხნივ დიდი ხატი მოგვითხრობდა, მხატვრის ღვთივმთაგონებული წარმოსახვა კი არა, ჭეშმარიტება იყო: სოფლის მფარველს, მოციქულთა სწორ კონსტანტინოსს, ნებზე კვერცხებით სავსე ბუდის მსგავსი სოფელი ესვენა და მას ღვთის ფერხითი დებდა. მაისის დამდევს წმინდანის დღესასწაული დგებოდა, სოფელს უღვინოდ მოგვრილი წმინდა თრობა და ღვთისმოშიშება ეუფლებოდა! ყოველდღიურ საზრუნავს ივინყებდნენ, ავინყებოდნენ, რომ ადამიანი-მატლები იყვნენ და ფერად, დიდ, ზეცამდე ფრთებს იყრიდნენ! მაშ, ძალუძს ადამიანს ადამიანური ბუნების დაძლევა? – კითხულობდა მღვდელი იანაროსი. – შეუძლია, შეუძლია, – პასუხობდა თავადვე, – მაგრამ მხოლოდ ერთი საათით, ორი საათით, მთელი დღითაც შეუძლია, მაგრამ, ესეც კმარა. ამას ჰქვია მარადისობა, ამას ეწოდება ღვთიური ხანძარი, რომელსაც უბრალო ადამიანები სამოთხეს ეძახიან.



დიდთა უკანასკნელი სიტყვები

საავადმყოფოს მონცალების და, ვინმე მაისურაძის ქალბატონი, დაიხარა მწოლიარე **ვაჟა ფშაველას** (1861-1915 წ.წ.) სარეცელთან და გაარჩია, ლამის, მოჩურჩულე სიტყვები: „მუხთალო წუთისოფელო, ტანჯული შვილი გმორდები!..“ ეს იყო დიდი შემოქმედის უკანასკნელი სიტყვები.

რომის იმპერიის დამაარსებელი და მისი პირველი იმპერატორი – **ოქტავიანეს აუგუსტუსი** იმპერიას მართავდა ძვ.წ.აღ.-ის 27 წლიდან ახ.წ.აღ.-ის 14 წლამდე. რომის ყველაზე წარმატებულმა იმპერატორმა, რომელმაც მშვიდობა და კეთილდღეობა მოუტანა თავის ქვეყანას, ასეთი სიტყვებით დაასრულა სიცოცხლე: „თამაში დამთავრდა, აპლოდისმენტები!“

აღორძინების ხანის უდიდესი იტალიელი არქიტექტორი, მხატვარი, მათემატიკოსი, მუსიკოსი, გამომგონებელი, ბოტანიკოსი, ანატომი, ბუნებისმეტყველი, გეოლოგი, მწერალი და კარტოგრაფი **ლეონარდო და ვინჩი** (1492-1519 წ.წ.), როგორც ამბობენ, ფლობდა დიდ ფიზიკურ ძალასაც – თავისუფლად შეეძლო, ხელით ცხენის ნალიც გაეღუნა. კლუს ციხესიმაგრეში მყოფი გენოსის, უნივერსალური ადამიანის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „მე უფალიც და ადამიანიც შეურაცხვეყავი. მე ხომ ჩემს ნამუშევრებში ვერ დავძლიე ის სიმაღლე, საითკენაც მივისწრაფოდი!“



ცნობილი ქართველი მხედართმთავარი, გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი** (1870-1937 წ.წ.), რომელმაც 1921 წელს ქართული ჯარის ნარჩენებით თურქებისგან გაათავისუფლა ბათუმი, საბჭოთა რეპრესიებს გაექცა საფრანგეთში. უკვე ევროპიდან დაბრუნებული შერაცხეს, როგორც „სამშობლოს მტერი“. 1937 წელს ჯერ მისი ვაჟი დახვრიტეს, მალევე კი თვითონ გიორგიც (საფლავი უცნობია). დახვრეტის წინ მაზნიაშვილმა თურმე ასე მიმართა ჯალათებს: „თქვენ შეგიძლიათ, დღეს მომკლათ, მაგრამ ათეული წლების შემდეგ ქართველი ერი მე ისევ გამაცოცხლებს!“

უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის** (1770-1827 წ.წ.) გარდაცვალების 100 წლისთავზე გამართულ კონცერტზე საქართველოში პირველად შესრულდა მისი უკვდავი მე-9 სიმფონია. ცნობილია, რომ ბეთჰოვენმა ადრევე დაკარგა ყურთასმენა. ერთ-ერთი ვერსიით, მისი ბოლო სიტყვები ყოფილა: „მე სამოთხეში გავიგონებ!“

ერთადერთი ქართველი მწერალი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რომელიც ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი, **ოთარ ქილაძე** (1933-2009 წ.წ.). საავადმყოფოში, უკანასკნელ ჟამს მოკრებილი უკანასკნელი ძალით მხოლოდ სამი სიტყვა უთქვამს მის გვერდით მყოფი დისთვის: „ცოდოა საქართველო, მოუარეთ!“

XIX ს.-ის უდიდეს გერმანელ ფილოსოფოსს, კლასიკური ფილოლოგიის პროფესორს, კომპოზიტორსა და პოეტს **ფრიდრიხ ნიცშეს** (1844-1900 წ.წ.), რომელიც წერდა კრიტიკულ წერილებს რელიგიაზე და რომლის ცნობილი სიტყვებია – „ნუ ეძებთ ღმერთს ნურც ცაში, ნურც მიწიერ სამოთხეში, ის საკუთარ თავში ეძებთ“, სიკვდილის წინ ასეთი რამ წარმოუთქვამს: „მანც მაჯობე, ნაზარეველო!“

ამერიკელი პროზაიკოსის, ნოველისტის, და, როგორც მას მიიჩნევენ, მოულოდნელი დასასრულის დიდოსტატის – **ოჰვენის** ნამდვილი სახელია უილიამ სიდნი პორტერი (1862-1910 წ.წ.). უამრავი ნოველის ავტორმა ბოლომდე შეინარჩუნა შედეგების ნერის გასაოცარი უნარი. მისი ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოები „ნიტელკანიანთა ბელადი“ დღემდე ითვლება ნოველის ეტალონად. მწერალი გარდაიცვალა ნიუ-იორკში. სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე უთქვამს: „ჩართეთ შუქი! არ მსურს, შინისკენ სიბნელეში გავემგზავრო!“

ფრანგი ძმები – **ოგიუსტ** და **ნიკოლას ლუმიერები** ერთ-ერთი პირველი კინომწარმოებლები არიან. პირველი კინოჩვენება მათ ვინრო წრეში გამართეს. ეს იყო 1895 წლის 22 მარტს. ოგიუსტის ბოლო სიტყვები სწორედ კინემატოგრაფიას უკავშირდება, იმას, რასაც მთელი ცხოვრება ემსახურა: „ჩემი ფირი გათავდა!“

ფრანგი სასულიერო პირი და სახელმწიფო მოღვაწე – **კარდინალი რიშელიე** (1585-1642 წ.წ.), ამასთან ერთად, არის არა ერთი მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟი. ყველაზე მეტად ცნობილია ალექსანდრე დიუმას 1844 წელს შექმნილი „სამი მუშკეტერი“ და სხვა უამრავი ადაპტაცია. „გააჩერეთ საათი! იგი მე წუთებს მითვლის!“ – ეს ყოფილა მისი უკანასკნელი სიტყვები.



პეტერბურგში დაბადებულმა **ვლადიმერ ნაბოკოვმა** (1899-1977 წ.წ.) პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები შექმნა რუსულად; თუმცა საერთაშორისო აღიარება მას, როგორც პროზაიკოსს, ინგლისურ ენაზე დაწერილმა რომანებმა მოუტანა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მერე ოჯახი ემიგრაციაში წავიდა. პროზაიკოსის ცნობილი რომანი „ლოლიტა“ XX ს.-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება. აშშ-ს მერე ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა შვეიცარიაში. ლიტერატურული შემოქმედების გარდა ის გატაცებული იყო ენტიმოლოგიით, ანუ მწერების, მათ შორის, პეპლების შესწავლით. „რომელიღაც პეპელა უკვე აფრინდა!“ – უთქვამს სიკვდილის წინ.

რუს ფიზიოლოგს, მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერს – **ივანე პავლოვს** (1849-1936 წ.წ.) 1904 წელს ფიზიოლოგიასა და მედიცინაში მიენიჭა ნობელის პრემია (საჭმლის მომნელებელი სეკრეციის კვლევისთვის). მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ტიტანურ შრომაში გალია. მისი უკანასკნელი სიტყვები ძალზე არაორდინალურად გაჟღერდა: „აკადემიკოსი პავლოვი დაკავებულია, ის კვდება!“

ამბოზენ, როდესაც 84 წლის ლოგინად ჩავარდნილმა **კონსტანტინე გამსახურდიამ** (1893-1975 წ.წ.) სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ასე უთქვამს: „ფეხზე წამოდგომაში მომეხმარეთ, რომ ფეხზე დამდგარი შევეგებო ამ მოუცილებელ მებაჯრეს!“

საგურჯაანო, თვით სამეგრელოში ასე გამოჩნული ოღითგან; ადგილი, რომელსაც ახლაც განსაკუთრებული მისია აკისრია – გადაარჩინოს საქართველო აფხაზეთში და აფხაზეთი შეუნახოს საქართველოს; საგურჯაანო, რომელიც თვით ომის კანონებს არ ემორჩილება.

სულისშემკვრელად წიფელი და მართალია დანი ახვლედიანის ფიქრები საგურჯაანოზე. იგი იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც „გავშობა მოჰარას“; მებრამ ავტორი, ოქუპირებული აფხაზეთიდან საქართველოს დედაქალაქში სწავლის განაგრძებულად წამოსული, დარწმუნებულია, რომ „მომავალს ვერ მოჰარავინ“. თუმცა მისი პიროვნება, გარკვეულწილად, გაორებულია ამ „გამოქცევის“ გამო – ენგურს გაღვა და გამოღვა საქართველო, დაჩხილი სამშობლოს ორივე ნაწილი ერთნაირი ძალით უხმობს და იზიდავს.

დაჩი ახვლედიანის ნაწარები ყოველთვის გამოირჩევა ნიჭიერებით. ეს პატარა წერილი, ნიჭიერებასთან ერთად, ღირებულია იმიტომაც, რომ ავტორი უშუალოდ აფხაზეთიდან გველაპარაკება, გადმოგვცემს და ახმოვანებს ენგურს გაღვა დარჩენილთა განცდებსა და ფიქრებს და ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ასე მონატრებულ აფხაზეთს.

ზოგმა აპატია ომის ღმერთს

დაჩი ახვლედიანი

მე დაჩი ვარ, 2012 წელს დავტოვე აფხაზეთი და სასწავლებლად თბილისში წამოვედი. მთელი ბავშვობა იქ იყო, იქ, სადაც ბავშვობის დიდი ნაწილი მოგვპარეს.

განა მარტო მე, ყველას ერთად. ომის ნარჩენებმა არ გაარჩია არც ეროვნება, არც კანის ფერი თუ რელიგია; მან, მით უმეტეს აფხაზი და ქართველი არ განარჩია ერთმანეთისგან.

რალაც ნაწილი ჩემი ბავშვობის მამარჩემის იმედიანმა მზერამ შემოინახა, რალაც ნაწილი დედაჩემმა გადაარჩინა. ის წიგნებს მანვდიდა, გარესამყაროს ნელ-ნელა მაზიარებდა, მერე კი ამ ყველაფერს მიფერადებდა.

ამასობაში კი თვალებს ზევით ნაოჭები ემატებოდა, მაგრამ ჩვენ სულ გვიღიმოდა. მას ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე ათეული ბავშვისთვის უნდა შემოენახა ბავშვობა – ის ომის შემდგომ დადუნებული ოქუმის სკოლაში მუშაობდა.



ალბათ, გსმენიათ მურზაყანზეც და სამურზაყანოზე, იმ პირველ სკოლაზეც, აფხაზეთში რომ გაიხსნა XVIII ს.-ში. ამ ყველაფრის საბუდარი იყო ჩემი კუთხე, კიდევ ბევრი რამის, მაგრამ მაგაზე სხვა დროს მოგიყვებით...

სკოლა რომ დავამთავრე, დედაქალაქში იმ იმედით წამოვედი, რომ მალე დავბრუნდებოდი... სხვანაირ აფხაზეთში, სხვანაირ ოქუმში და დედაჩემსაც აღარ ექნებოდა მეტი ნაოჭი მუდამ მეტრძოლი თვალების ზევით...

ახლა 2022 წელია. ისევ ე. წ. ჩვენი საზღვარი, რუსი ჯარისკაცების საგუშაგოები უნდა გავიარო; რაც არ იცვლება, ეს ამაყი და ბობოქარი ენგურია – ის ვერ შემოღობეს ოკუპანტებმა.

წელიწადში რამდენჯერმე ანთხევს ჯიუტი ენგური ბრაზს და მავთულხლართებს ეძგერება ხოლმე, ფლეთს ნაგლეჯებად, თანაც, ისეთი ძალით, თითქოს შიგ კრემლში უნდა მისი გადაგდება...

ადამიანებმა რა ქნან?! მათ ბოღმაც და ბრაზიც გულში უნდა შეინახონ. მხოლოდ იმედი, ერთმანეთის იმედილა შემორჩათ...



ენგურს რომ მოვადგები, ჩემთვის გასაგები და მაინც უცნაურად ასახსნელი განცდა შემომანვება გულს და მინასთან მასწორებს. კითხვა-პასუხები რიალებს სულსა და გონებაში:

მე თითქოს აქედან გავიქეცი... დავტოვე ჩემები, სხვები... ზურგი შევაქციე ეზო-კარს... მივაშურე დედაქალაქს... განა გაქცევა მინდოდა... უბრალოდ, ბავშობა რომ მომპარეს, მაშინ შევპირდი ჩემს თავს, მომავალს ვერ მოგვპარავენ, ის ჩვენს ხელშია-თქო...

ჰოდა, ახლა არც ვიცი, რამდენად დავიცავი ჩემი მომავალი, წარსულის გამო რა გადავარჩინე ხვალინდელ დღეში...

ერთი რამე ზუსტად ვიცი, ფესვები მაბრუნებენ. ყველა გზა რომში მიდისო, ჰოდა, ჩვენც ჩვენ-ჩვენი რომი გვაქვს... ბოლომდე მეც ვერ გავიქეცი ჩემს წარსულს, ბავშვობას, იმას, რაც იქ მაკლია, რაც ვერ შევივსე.





და ისევ აქ მოვდივარ, ისევ ენგური მეგებება დილაადრიან, ე. წ. საზღვარზე რამდენიმე ადამიანი დგას. უმეტესობა – ჩემსავით გაქცეულები, ისევ სინდისისა და ოჯახის დასამშვიდებლად რომ ბრუნდებიან რამდენიმე დღით...

გალში ძლიერი და იმედით აღსავსე ხალხი ცხოვრობს. ზოგმა მეორედ, ზოგმა მესამედ ააშენა გადამწვარი სახლი, ზოგმა ერთხელაც ვერ მოახერხა და ახლაც აშენებს. ზოგმა აპატია კიდევაც ომის ღმერთს მისი მიერ გამოგზავნილი გასაჭირი და ისევ სიყვარული არჩია, ზოგიც დარდმა და უსუსრობამ შეინირა...

ავტობუსში მივხვდი, რომ გარემო ჩვენს გარეშე არც და ვერც შეიცვლება. ყველა რაღაც პრობლემაზე საუბრობდა,

ხან ქართული ენის აკრძალვა ახსენეს – რა ხანია, გალში ოფიციალურად აიკრძალა ქართულის სწავლება, შესაბამისად, მთელ აფხაზეთში. ხან პასპორტიზაციის პროცესზე იმსჯელეს – ეთნიკურად ქართველებს დროებითი მოქალაქეობა მისცეს ე. წ. აფხაზური მოქალაქეობის ნაცვლად, თქვენ ჯერ უნდა დაამტკიცოთ, რომ იმსახურებთ ჩვენს მოქალაქეობასო...

რამდენიმე წუთის მერე ავტობუსმა ოქუმაამდე ჩამიყვანა. ცენტრში წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია გვაქვს, სალოცავი, სადაც უძველესი დროიდან აღევლინებოდა ღვთისმსახურება.

ახლა კი, როცა უფალი ყველაზე მეტად გვეჭირდება, როცა ყველაზე მეტად გვეიმედება ეკლესიის მადლი და ძალა, მაშინ დავდივართ სათხოვნელად იმ ტაძრის ეზოში, სადაც წირვა-ლოცვა დღეს უკვე არ აღევლინება...

ომამდე 2 ათასზე მეტი მოსწავლე ჰყოლია ოქუმის სკოლას. ახლა კი ჩემსავით გაქცეულების გამო მხოლოდ 200-და შემორჩა...



ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებლის – ცნობილი მხატვრისა და მოქანდაკის – იაკობ ნიკოლაძის მრავალ შედევრთაგან (ილიას საფლავის ძეგლი, აკაკის, ივანე ჯავახიშვილის, ივანე ბერიტაშვილისა და სხვათა ბიუსტები) გამორჩეულად ითვლება XII ს.-ის ქართველი პოეტისა და მოაზროვნის – ჩახრუხაძის პორტრეტი, რისთვისაც მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა.



«ჩახრუხაძე».
იაკობ ნიკოლაძე

ძალზე ორიგინალურია პორტრეტის თავსაბურავი, რომელიც ნამუშევარს უჩვეულო იერს ანიჭებს. თურმე, ძეგლის პროცესში თიხით დასვრილი ხელი ხელოვანმა ტილოზე შეინმინდა და ჯერ კიდევ დაუსრულებელ ქანდაკებას თავზე შემოადო. უცებ შეხედა და გაოცდა – ტილომ ნამუშევარი არაჩვეულებრივად დაასრულა. ასეც დატოვა.

გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი, ქართლის მეფის – ვახტანგ VI-ის ვაჟი – ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1756 წ.წ.) თავის „საქართველოს სამეფოს ლეოგრაფიაში“ ერთ-ერთი თავით „აფხაზეთი“ გვაუწყებს: „მოქვი – დიდებული შენობაა, საქართველოს დიდების მაუწყებელი“.

კლიმაკოფობია – კიბეზე ასვლის შიშია.

ლოკოკინა თუ თვალს დაკარგავს, ერთ თვეში ახალი თვალი გამოეზრდება.

მერი ანდერსონის სახელი დღეს თითქმის არავისთვის არაა ცნობილი. არადა, მისი გამოგონებით ნებისმიერი მძლოლი სარგებლობს. ის გახლავთ მანქანის მინის სანმენდის გამომგონებელი. 1903 წლის ნოემბერში ანდერსონმა დააპატენტა თავისი ნოვაცია – ეს იყო მანქანის სალონიდან საქარე მინების განმენდა.

სიტყვები – „ჩადრი“ და „აჯილა“ სინომიმებია.

იუნესკომ 1978 წელს საზეიმოდ აღნიშნა „შუმანიკის წამების“ შექმნის 1500 წლის იუბილე.

ტელეფონზე საუბრისას საკულტო სიტყვა „ალოს“ ხმარება შემოიღო ცნობილმა და მდიდარმა ამერიკელმა გამომგონებელმა – თომას ედისონმა (1847-1931 წ.წ.). ნათურის გამოგონების გარდა ის 1000-ზე მეტი ნოვაციის ავტორია.

„ლონდრეს“ გადაღება მთლიანად კურიოზი იყო, – ყველა გივი ბერიკაშვილი, – დილა იწყებოდა რეჟისორის თანაშემწის ყვირილით: სად ხართ?.. დროა, დავიწყეთ!.. ჩაიცვით!.. ეროს, ჩაიცვი!.. რამაზ, ჩაიცვი!.. ლეილა, ჩაიცვი!.. გურანდა, ჩაიცვი!.. გივი, გაიხადე!

ბოდრუმი თურქეთის ცნობილი ქალაქია. მსოფლიოს 7 საოცრებათაგან ერთ-ერთი ამ ქალაქში იყო. დღეს მისი ნანგრევების მოსანახულებლად ბევრი ტურისტის მიდის. ეს საოცრება ჰალიკარნასის მავზოლეუმი. ძვ.წ.აღ.-ით IV ს.-ში აგებული აკლდამა მინისძვრამ XIV ს.-ში დაანგრია.

საშუალო ზომის სპილო უფრო ნაკლებს იწონის, ვიდრე დედამინის ყველაზე დიდი ცხოველის – საშუალო ზომის ცისფერი ვეშაპის ენა.

კანკუნი – მექსიკის ქალაქია, განთქმული თავისი პლაჟებით, სასტუმროებით, ატრაქციონებით; მაგრამ ყველაზე საინტერესო სანახაობად აქ მაინც წყალქვეშა მუზეუმი ითვლება, სადაც 400-მდე ქანდაკებაა წარმოდგენილი. ამ საოცარი მუზეუმის ავტორია ჯეისონ ტეილორი. მუზეუმის დამთვალიერებელი, როგორც წესი, ჯერ ეცნობა ჩაყვინთვის უნარს, ირგებს ნიღაბსაც, მერე კი 4-კაციან ჯგუფთან და ინსტრუქტორთან ერთად ჩადის წყალში. გულსისხლძარღვთა დაავადების მქონე ტურისტებს, აგრეთვე, ორსულებს ეკრძალებათ მუზეუმის მონახულება.



ანანის წყალქვეშა მუზეუმი

ისრაელი



ქნესეთი - ისრაელის პარლამენტის შენობა

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში მდებარეობს უძველესი ქვეყანა – ისრაელი, რომლის ტერიტორია მოიცავს 20.000 კვ.კმ-ს. მას ყოველი მხრიდან ესაზღვრება ისტორიულად მტრულად განწყობილი არაბული სახელმწიფოები: ლიბანი, სირია, იორდანია, ეგვიპტე, ასევე, ღაზას სექტორი. ისრაელის მოსახლეობა თითქმის 8 მილიონს აღწევს; მათგან უმრავლესობა ებრაელია, თუმცა ქვეყანაში ცხოვრობს სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი. ისრაელი საპარლამენტო რესპუბლიკაა. ერთპალატიანი პარლამენტი – ქნესეთი შედგება 120 პარლამენტარისგან. ქვეყნის პოლიტიკური დედაქალაქი და ისტორიული ცენტრია იერუსალიმი, ხოლო ეკონომიკური – თელ-ავივი.

1952 წელს ისრაელის პრეზიდენტობა შესთავაზეს ალგარტ აინშტაინს, რომელმაც თავაზიანი უარი თქვა გამოცდილების არქონის გამო.

ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს ნერგების უდაბნოს (თითქმის ყველა ხე ადამიანების დარბულია, ხოლო ტყე-პარკები, მათ შორის, ცნობილი ბაჰაის ბაღი, ხელოვნურადაა გაშენებული). ისრაელი შემოსაზღვრულია ხმელთაშუა, წითელი და მკვდარი ზღვებით. ამ უკანასკნელს მარლიან ზღვასაც უწოდებენ. ასევე, მარლიანია კენერატის ტბა, რომელსაც ებრაელები ბაილიის ზღვად მოიხსენიებენ.

ისრაელის ეკონომიკა სიდიდით მსოფლიოში 44-ეა, ხოლო მისი ცხოვრების საშუალო დონე მთელ ახლო აღმოსავლეთში არის ყველაზე მაღალი; ქვეყანა სიცოცხლის ხანგრძლივობით შედის მსოფლიოს ტოპ-ათეულში, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებით პირველ ადგილზეა. ოფიციალური ენებია ივრითი (რომელიც მხოლოდ XX ს.-ში აღადგინეს) და არაბული; ძირითადი რელიგია იუდაიზმი და ისლამი, თუმცა მრავლად არიან ქრისტიანებიც.

არაბული სახელმწიფოების უმრავლესობა არ აღიარებს ისრაელს; ამიტომ თავის ქვეყანაში არ უშვებს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც იმ ერთხელ მაინც იმოგზაურა.

ახლო აღმოსავლეთში ისრაელი ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც ქალები მამაკაცებთან არიან გათანაბრებული; ამიტომ სავალდებულო სამხედრო მსახურება ორივე სქესს ერთნაირად ეხება. ქორწინება მიღებულია მხოლოდ ებრაელებს შორის. ქვეყანა ცნობილია მრავალშვილიანი ოჯახებით.

ქვეყანას აქვს საკუთარი კალენდარი; ახალი საშუალო კვირა იწყება არა ორშაბათს, არამედ კვირას. შაბათი წმინდა დღეა – მთელი ქვეყანა ისვენებს.

ისრაელში არის მსოფლიოში უნიკალური ე. წ. „ბიბლიური ზოოპარკი“, სადაც თავმოყრილია წმინდა წერილში მოხსენიებული ყველა ცხოველი. მსოფლიოში ყველაზე ბევრი მუზეუმი ისრაელშია. მათ შორის, აღსანიშნავია ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალური მუზეუმი. ცნობილი არმაბედონის ველიც მდებარეობს სწორედ ისრაელში.



ბაჰაის ბაღი. თელ-ავივი

ქვეყანაში მოქმედებს ე. წ. „თაბლიტის“ პროგრამა, რომლის მიხედვით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ 18-დან 26 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელსაც ებრაული ფესვები აქვს, შეუძლია, უსასყიდლოდ (10 დღის განმავლობაში) იმოგზაუროს ისრაელში.

ებრაელთა და ქართველთა მიგობრობა 2600 წელზე მეტს ითვლის. გადმოცემით, იერუსალიმში შესვლა ცხენზე ამხედრებულეს გაშლილი დროშებითა და უფლის მადიდებელი შექსილებით მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ. საქართველო, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ებრაელებს არ ავიწროებდნენ; პირიქით, მიგობრობდნენ კიდეც მათთან. ჩვენ ქვეყანაში უამრავი სინაგოგაა, სადაც დღესაც ღოცულობენ ებრაელები.

«ლეთთან შაქილახანი»

„უთხრა: ამიერიდან აღარ გერქვას შენ იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე.“ (დაბ; 32, 28).

„ისრაელი,“ როგორც ბიბლია იაკობს უწოდებს, ძველებრაულად „ღმერთთან შეჭიდებულს“ ნიშნავს; ისტორიულად ამ სახელით ისრაელის სამეფოსა და, ზოგადად, ებრაელ ერს მოიხსენიებდნენ.

ღმერთის მიერ რჩეულმა ისრაელმა მრავალ განსაცდელს გაუძლო. თუმცა ეგვიპტის 400-წლიანი მონობისგან გათავისუფლებისა და აღთქმულ მიწაზე დამკვიდრების შემდეგ ქვეყანა გამუდმებით ომებში იყო, რადგან ღვთის გზიდან გადაუხვიეს. ანტიკურ ხანაში სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა ისრაელის გაერთიანებული სამეფო (ჩვ.წ.აღ.-მდე XI-X ს.ს.).

ორად გაყოფის შემდეგ კი ქვეყანა ისრაელისა და იუდეის სახელით განაგრძობდა არსებობას (ისრაელმა ძვ.წ.აღ.-ით 722 წლამდე, ხოლო იუდეამ ახ.წ.აღ.-ით 70 წლამდე იარსება). თუ არ ჩავთვლით ასურეთთან და სხვა მტრულად განწყობილ მეზობლებთან დაუსრულებელ კონფლიქტებს, ებრაელი ხალხი დამორჩილებული ჰყავდა მსოფლიოს ყველა დამპყრობს: ბაბილონს, სპარსეთს, საბერძნეთს, ბიზანტიას, რომს. იერუსალიმი ყოველთვის იყო ებრაელთა წმინდა თაყვანისმცემლობის ცენტრი.

ცნობილია, რომ იერუსალიმის განთქმული ტაძარი ღვთის თაყვანსაცემად აიგო სოლომონ მეფის დროს (თუმცა მისი აგება გულით სურდა მამამისს, დავითს). ბაბილონის მეფის – ნაბუქოდონოსორის შემოსევისას იერუსალიმის ტაძარი დაინგრა, ხოლო ებრაელები 70 წლით გადაასახლეს ბაბილონში. სპარსეთის მეფის – კიროსის ბრძანებით (მან მიწასთან გაასწორა ბაბილონი) ებრაელები დაბრუნდნენ ისრაელის მიწაზე და კვლავ აღადგინეს იერუსალიმის ტაძარი. საბოლოოდ, როგორც იესომ იწინასწარმეტყველა, მისი სიკვდილიდან 34 წლის შემდეგ, ახ.წ.აღ.-ით 64 წელს რომაულმა არმიამ ალყა შემოარტყა იერუსალიმს, ხოლო 70 წელს, ხელმეორედ შემოსევისას, იქ ქვა ქვაზე არ დატოვა (დაიღუპა 1 მლნ.-მდე ებრაელი), განადგურდა იერუსალიმის ტაძარიც.



იერუსალიმის ჰუჯა სინაბოა

ბაზილის ბაბა

IV ს.-დან XX ს.-მდე ყოფილი ისრაელის მიწა პალესტინის სახელით იყო ცნობილი, თუმცა ებრაელები არ კარგავდნენ მისი დაბრუნების იმედს. კონცეფცია, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გაფანტული ერი თავის ისტორიულ მიწას დაბრუნებოდა, ყოველთვის იყო იუდაიზმის მთავარი იდეა.

XIX ს.-ში დაარსდა სიონისტური მოძრაობა (დამაარსებელი ბინიამინ ზეევ ჰერცლი, უნგრელი ჟურნალისტი); 1897 წელს კი შემუშავდა ე. წ. „ბაზელის გეგმა“, რომელმაც მიზნად დაისახა ებრაელი ერისთვის სამშობლოს აღდგენა. ჰერცლის გარდაცვალების შემდეგ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ჰაიმ ვაიცმანი, რომელმაც გამოაქვეყნა „ბალფურის დეკლარაცია“.

ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა ისტორიული ისრაელის მიწაზე „ებრაელი ხალხისთვის ეროვნული სახლის“ ჩამოყალიბებას; ამიტომ თავდაპირველად (1917წ.) პალესტინიდან განდევნა ოსმალთ-თურქები, რომლებიც იქ 4 საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ.



ლემი - ისრაელის ეთ-ეთი ქალაქი, სადას, ბაჰოუსაჰის თანახმად, ბანისვანებს წმინდა ბიოხი



ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალური მუზეუმი

1920 წელს თანხმობის საერთაშორისო კომიტეტმა (ერთა ლიგის წინამორბედი) ისრაელის მიწა დროებითი მმართველობის მანდატით (1947 წლამდე) ოფიციალურად გადასცა ბრიტანეთის იმპერიას.

იმავე წელს დაარსდა საერთაშორისო ებრაული სააგენტო, ადგილობრივ პალესტინელ ებრაელთა ორგანიზაცია – ისრაელის ქნესეთი, აგრეთვე, ეროვნული კომიტეტი. ემიგრაციაში მყოფმა ებრაელებმა მასობრივად დაიწყეს პალესტინაში ჩამოსვლა, მიწების შესყიდვა და ებრაული დასახლებების შექმნა. სიონისტური მოძრაობის ლიდერთა მონოდებით მათ საზღვარგარეთ მცხოვრები ფილანტროპები აფინანსებდნენ.

1935-38 წ.წ.-ში ებრაული სააგენტოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა დავიდ ბენ-გურიონს; ქვეყნის ორად გაყოფის ფასადაც კი, იგი მტკიცედ მოითხოვდა ისრაელის (პალესტინის) მიწაზე ებრაული სახელმწიფოს დაარსებას, რაც 1942 წელს დაამტკიცეს კიდევ ბალტიმორის კონფერენციაზე. მეორე მსოფლიო ომმა, როცა ნაცისტების მიერ დევნილი ებრაელები არც ერთმა ევროპულმა ქვეყანამ არ შეიფარა (პალესტინაში ებრაელთა ჩასვლა კი, სამწუხაროდ, აკრძალა ბრიტანეთმა), ცხადი გახდა ისრაელი ერის მიუსაფრობა; **ჰოლოკოსტის მასშტაბებმაც დაარწმუნა საერთაშორისო საზოგადოება, რომ ებრაული სახელმწიფოსთვის გამოეყოთ პალესტინის მიწის ნაწილი.**

1948 წელს უძველესი იუდეის სამეფოს შუაგულში შეიქმნა თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო. ებრაული ახლადშექმნილი სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას (1948 წლის 14 მაისი) მეზობელმა არაბულმა ქვეყნებმა ომის დანებებით უპასუხეს, მაგრამ ისრაელმა შეძლო სუვერენიტეტის შენარჩუნება; მეტიც, ამ ომებით (რომელიც დღემდე გრძელდება) მან საკუთარი საზღვრები გაეროს მიერ შემუშავებული დაყოფის გეგმის გარეთ გადასწია.

საქონინო ჩიხანი

ისრაელი უნიკალურია თავისი ტრადიციებით, გამორჩეულია საქონინო რიტუალიც. ყველაზე მნიშვნელოვანია ქორწილამდე ერთი კვირა, როცა ტარდება ნიშნობის რიტუალი – ტენაიმი; წყვილები ტეხავენ თევშს, რაც სიმბოლურად ნიშნავს იერუსალიმის ტაძრის დანგრევას. ესაა შესხენება, რომ ყველაზე ბედნიერ დროსაც კი ყველას ახსოვდეს ებრაელთა ტრაგედია.

ერთი კვირით ადრე მამაკაცისთვის იწყება საქონინო რიტუალი – „ურფური“. სასიძო მიდის სალოცავად სინაგოგაში, შემდეგ თავისი განზრახვის შესახებ აცნობებს ახლობლებს, რომლებიც მას კანფეტებით ავსებენ. სალამოს სასიძო ახლობლებს ეპატიჟება მსუბუქ ვახშამზე.

„მიკვა“ ჰქვია რიტუალს, რომელსაც ასრულებს **საპატარძლო**. იგი მიდის აუზში, რათა განიბანოს. საპატარძლო, სამოსთან ერთად, იხსნის ყველა სამკაულს, ლაქსაც კი იშორებს ფრჩხილებიდან. რიტუალს მკაცრად აკონტროლებენ გამოცდილი ქალები, კითხულობენ საგანგებო ლოცვას. შემდეგ საპატარძლო ბოლომდე ყვინთავს წყალში, რომ ცოდვები ჩამოირეცხოს და განწმენდილმა დაიწყოს ახალი ცხოვრება.

ქორწილის დღეს სასიძო და მისი რჩეული სხდებიან **სადღესასწაულო ბაღდახინში**, რომელსაც „ხუპა“ ჰქვია. იგი სიმბოლურად მომავალში მათ მიერ აშენებულ სახლს განასახიერებს.



საქონინო ბაღდახინი, ე.წ. ჰუპა

ხუპამდე პატარძალი სასიძოს მამას მიჰყავს. ქორწილი შეიძლება ჩატარდეს სინაგოგაში და ნებისმიერ ჰოტელშიაც კი.

რიტუალს ატარებს რელიგიური მსახური რაბინი ან, რაბინის თანხმობით, სულაც, ოჯახის ნებისმიერი ზრდასრული მამაკაცი. ფორმდება კეტუბა – საქორწინო შეთანხმება. ქორწილში სვამენ 7 ფიალა ღვინოს-ღმერთმა ხომ 7 დღეში შექმნა სამყარო. სრულდება ბეკედენის წესი – სასიძო სახეს უფარავს პატარძალს ნიშნად იმისა, რომ მას დაიცავს. ესაა უძველესი ტრადიცია: რებეკამ რიდე ჩამოიფარა, რომ ისაკს შეუღლებამდე მისი სახე არ დაენახა.

ისრაელში ცხოვრობს ებრაელების 2 ჯგუფი: აღმოსავლეთ ევროპელი აშკენაზებისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და ესპანეთ-პორტუგალიიდან ჩამოსული სეფარდების ჯგუფი. საქორწინო ცერემონიალებიც, ძირითადის გარდა, ირეკლავს სხვა ქვეყნების წეს-ჩვეულებებს.

წმინდათაწმინდა კანონია, რომ ებრაელი მხოლოდ ებრაელზე დაქორწინდეს; არაებრაელზე დაქორწინებული ითვლება დაუქორწინებლად. ქორწილი შეიძლება ნებისმიერ დღეს, გარდა შაბათისა.

«თუ დავიწყო, იჩხსანიო»

I ს.-დან XX ს.-მდე ებრაელი ერი გაფანტული იყო მთელ მსოფლიოში. ისტორიაში არ მოიძებნება შემთხვევა, მინა-წყლის გარეშე დარჩენილ ხალხს ასე შეენარჩუნებინოს თავისი იდენტობა. ამ ერთობის ცენტრი ყოველთვის იყო იერუსალიმი, რომელსაც „წმინდა ქალაქადაც“ მოიხსენიებენ.

რომის შემდეგ ისრაელის მიწას ჯერ ბიზანტია, შემდეგ კი ოსმალეთის იმპერია დაეპატრონა. ქრისტიანული ქვეყნების მიერ წარმოებული ე. წ. „ჯვაროსნული ომების“ შემდეგ იერუსალიმი სამი უდიდესი რელიგიის – ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის ცენტრად ჩამოყალიბდა.

ქრისტიანებისთვის წმინდაა იერუსალიმი, სადაც ქრისტე დადიოდა და ქადაგებდა ღვთის სამეფოს შესახებ, სადაც იგი ჯერ ჯვარს აცვეს (გოლგოთას მთა), მესამე დღეს კი აღდგა.

უდიდესი რელიგიური დატვირთვა აქვს იერუსალიმს მუსულმანთათვის, სადაც, მათი რწმენით, მუჰამედი ცად ამალდა.

ბუნებრივია, იერუსალიმი უპირველესად წმინდაა ებრაელთათვის; დღეს იუდაიზმის მთავარ სინამდდედ ითვლება იერუსალიმის ტაძრისგან შემორჩენილი ე.წ. „გოდების კედელი“.

არის ასეთი ხელშეუხებელი ტრადიცია: კედლის ქვებს შორის მორწმუნეები ფურცელზე დაწერილ სურვილებს ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ აუცილებლად აუსრულდებათ ნატვრა, ოცნებები.

იერუსალიმი თითქოს გამუდმებით უხმობს თავისკენ ებრაელ ხალხს, თავის გზააბნეულ შვილებს. როგორც ფსალმუნმომღერალი ამბობს:

„უნინ ჩემს მარჯვენას დაავიწყდეს საქმის კეთება,
თუკი დაგივიწყო, იერუსალიმო,
უნინ სასაზე მიმეკრას ენა,
ვიდრე დაგივიწყო, იერუსალიმო...“



ბოლახის ხეივანი იერუსალიმში

ქართველ ემიგრანტთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული სახელია ნიკოზ ჩხოტუა (ჭყონია).

თსუ-ს პროფესორი, ისტორიის დოქტორი, ქართული ემიგრაციის ისტორიის მკვლევარი რუსუდან დაუშვილი გვაცნობს ნიკოლოზ ჩხოტუას, დიდებული ქართველის ცხოვრების საინტერესო გზას. როგორც ძალბატონი რუსუდანი ამბობს, „ამ ნიჭიერმა ადამიანმა თითქმის ყველა ოცნება აისრულა – იყო მდიდარი, ცნობილი, გავლენიანი, ჰყავდა მოყვარული ოჯახი, მოიარა მთელი მსოფლიო, რამაც კიდევ ერთხელ დააჩვენა, რომ საქართველოზე გვხვენიერი ძვეყანა არ არსებობს“.

ვინ იცის, იქნებ, ყოველი ახალი წარმატებით როგორ მიიღწევოდა ნიკოლოზ ჩხოტუა სამშობლოსკენ! მას მხოლოდ ერთი აუხდენელი ნატვრა ღარჩა – კვლავ ენახა თავისი ძვეყანა. მატრამ იქნებ, სწორედ ამ ერთმა აუსრულებელმა ოცნებამ – დაბრუნებულიყო სამშობლოში, გადაწონა მისი ყოველი მიღწევა. ის, რომ ნიკოლოზ ჩხოტუას გული ახლა, ანდერძის თანახმად, განისვენებს სამშობლოში, ამის დასტურია.

სამშობლოში დაბრუნებული გული

რუსუდან დაუშვილი

ვინ არის ნიკოლოზ ჩხოტუა?

ნიკოლოზ (ნიკი) ჩხოტუა არ არის ერთი რიგითი ქართველი ემიგრანტი. მისი ბიოგრაფია და შემოქმედება დიდად საყურადღებოა.



ნიკოლოზ ჩხოტუა დაიბადა 1905 წელს ბათუმში. მამა – შალვა ჭყონია მდიდარი ბიზნესმენი იყო, დედა – სამურზაყანოელი თავადის, დავით ჩხოტუას ქალიშვილი პელაგია, რომლის გვარიც აიღო ემიგრაციაში. 16 წლამდე ნიკოლოზი ბათუმსა და თბილისში ცხოვრობდა; ზაფხულს კი ატარებდა მონპელიეში (საფრანგეთი), სადაც ოჯახს საკუთარი სახლი ჰქონდა.

ნიკოლოზმა დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის გამო იგი სამშობლოს გაარიდეს და განათლების მისაღებად ევროპაში გაგზავნეს. სწავლობდა პარიზსა და ბერლინში. ტუბერკულოზით დაავადებული შვეიცარიაში გადავიდა, სადაც დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ კი ვატიკანის აკადემია.

მის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა ინგლისელმა ნათესავმა – ვერონიკამ, რომელიც 1918 წელს საქართველოში შემოსულ დიდი ბრიტანეთის 20.000-ან გარნიზონს შემოყვა, როგორც „წითელი ჯვრის“ თანამშრომელი; თბილისში კი ნიკოლოზის ბიძაშვილს, ჯოტო ემუხვარს გაჰყვა ცოლად. სწორედ ვერონიკამ ურჩია მას, ინგლისში წასულიყო სამკურნალოდ.

მართლაც, 1931 წელს ნიკოლოზი გაემგზავრა ინგლისში, სადაც საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. მეტიც: იქ ცხოვრებისას მეხუთე ენად ინგლისური შეისწავლა და 1933 წელს ამერიკაში გადასახლდა. ერთხანს ჰოლივუდში მღეროდა და მსახიობობდა. მაშინ გაიცნო და მალე ცოლადაც შეირთო მსახიობი და მოდელი კეროლ მარმონი, საავტომობილო ფირმა „მარმონის“ დამაარსებლისა და პრეზიდენტ რუზველტის სამხედრო მრჩეველის, ჰოვარდ მარმონის ქალიშვილი.

თავის ექვსივე შვილს ნიკოლოზ ჩხოტუამ ქართული სახელები დაანათლა – ზურაბი, თამარი, ნინო, შალვა, მარინე, დიმიტრი. ორი დიდი სურვილიც აისრულა – გახდა დიპლომატი და ბევრს მოგზაურობდა. იყო კარდინალის სწავლული მდივანი, მალტის ორდენის წევრი და, როგორც ორდენის წარმომადგენელი, საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. ბევრ ქვეყანას გაუწია შემწეობა, დიდი წვლილი მიუძღვის ანტიფაშისტურ მოძრაობაშიც. ომის დროს იყო საბჭოთა კავშირის დახმარების საზოგადოების წევრი და რამდენჯერმე დიდი თანხა შესწირა მის ფონდს.

1970 წლიდან, როგორც მალტის ორდენის ელჩმა, საელჩოები დააარსა კოსტა-რიკაში, ბრაზილიაში, მექსიკაში, ჩილეში, პერუსა და ესპანეთში. ნიკოლოზს (ნიკის) დიდი მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ ქართველ ემიგრანტებთან – გრიგოლ რობაქიძესთან, ირაკლი ბაგრატიონთან (ეს უკანასკნელი ხშირად ისვენებდა ნიკის აგარაკზე ბიარიცში*), მეგობრობდა ესპანელ გენერალთან, ფრანცისკო ფრანკოსთან, ესპანელი მეფის – ხუან კარლოსის დებთან და სხვა განთქმულ პიროვნებებთან.

* – გამორჩეული კურორტი საფრანგეთში.

„მარადიული სიყვარული“

ნიკოლოზ ჩხოტუამ სახელი მოიხვეჭა, როგორც მწერალმა. მისი პირველი რომანი, ინგლისურ ენაზე დაწერილი – „მარადიული სიყვარული“ გამოიცა 1949 წელს. ნაწარმოებში აღწერილია ახალგაზრდა კაცის დაბრუნება ემიგრაციიდან და მისი მოგზაურობა მშობლიურ მხარეში – ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ბუნება – განსაკუთრებული სიმძაფრითაა განცდილი. მშობლიური მიწის ეს სიყვარული და მონატრება ბოლომდე გასდევს რომანს და დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, რომლის ყურადღება მაშინვე მიიპყრო წიგნმა. წინასიტყვაობის ავტორი, ბრიტანელი პოეტი ალფრედ ნოელი წერდა: „სწორედ ეს დახვეწილი მწუხარება განშორებისა ქმნის რომანის სტრუქტურას და ანიჭებს მას უძლიერეს მუხტს“.

ნიგნის ხელმეორედ აღმოჩენის პატივი ეკუთვნის პიტერ ნეისმიტს, რომელმაც იგი ლონდონის ერთ-ერთი ბუკინისტური მაღაზიის თაროზე აღმოაჩინა და იმდენად მოიხიბლა რომანით, რომ სიამოვნებით დათანხმდა, ქართული გამოცემისათვის დაენერა წინასიტყვაობა, რომელიც გამოქვეყნდა 2009 წელს (მთარგმნელები – ირაკლი თოფურია და კახა ჯამბურია).

მთავარი გმირის, ახალგაზრდა თავადის, შოთას ცხოვრება ავტობიოგრაფიულია. „1921 წელს, 16 წლის ასაკში, როცა მან საქართველო დატოვა, ვერც ის და ვერც მისი ოჯახის წევრები ყველაზე კომარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამშობლო სრულიად მოსწყდებოდა დანარჩენ სამყაროს მთელი სამი თაობის სიცოცხლის განმავლობაში. ვერც იმას იფიქრებდა, თუნდაც, წამით, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე თავისი სათაყვანებელი სამშობლოდან მოწყვეტილ ლტოლვილად იქცეოდა“, – შენიშნავს პიტერ ნეისმიტი.



ნიკოლოზ ჩხოტუა სოც-შვილთან ერთად

მისი აზრით, რომანი საქართველოზე ზღაპრულ წარმოსახვას ტოვებს, ხოლო შალვას სიყვარული ტაიასადმი – გახმაურებული ბესტსელერის, ყურბან საიდის „ალი და ნინოს“ აგონებს; ხაზს უსვამს იმასაც, რომ ჩხოტუას ნიგნის ენა უფრო სადაა და თხრობაც გულწრფელი.

1950-იან წლებში ნიკი ჩხოტუა ოჯახით სან-ფრანცისკოში ცხოვრობდა, ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, კარგად იცოდა ლიტერატურა, ისტორია, ხელოვნება. იგი ამ დროს გამოსაცემად ამზადებდა მეორე რომანს, ბევრს წერდა და პოპულარიზაციას უწევდა ქართულ კულტურას. იქვე ცხოვრობდა მისი ვაჟი ზურაბიც, ოჯახითურთ. 70-იან წლებში ნიკი გადასახლდა შვეიცარიაში, სადაც გარდაიცვალა კიდევც.

თითქმის ყველა ოცნება აისრულა – იყო მდიდარი, ცნობილი, გავლენიანი, ჰყავდა მოყვარული ოჯახი, მოიარა მთელი მსოფლიო, რამაც კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ საქართველოზე მშვენიერი ქვეყანა არ არსებობს. ვერ აისრულა მხოლოდ ერთადერთი ოცნება – მშობლიური ქვეყნის ნახვა. 1950-ან წლებში სამშობლოსთან მიმონერა უკვე შესაძლებელი გახდა და ურთიერთობა აღადგინა ნათესავებთან, 1960-იან წლებში სატელეფონო კავშირიც დაამყარა – გამართულად საუბრობდა ქართულად, 1980-იან წლებში კი, როცა ჩამოსვლაც შესაძლებელი გახდა – ჯანმრთელობამ უღალატა და მის დაუოკებელ სწრაფვას სამშობლოსაკენ სიკვდილი გადაეღობა.

ოცნება შვილმა აუსრულა



შალვა (ნიკოლოზ) ჩიხოტავა

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ჩიხოტავას შვილებმა ქართული არ იციან, მამის დიდი სიყვარული საქართველოსადმი მათაც სისხლში აქვთ. უფროსი, 1937 წელს დაბადებული ზურაბი, აშშ-ს მოქალაქე, ცხოვრობს ესპანეთში, ბალეარის კუნძულებზე (პალმა დი მალიორკა), ხელმძღვანელობს კერძო არქიტექტურულ ბიუროებს ესპანეთსა და სან-ფრანცისკოში. იგი სწავლობდა ესპანეთის მომავალ მეფესთან, ხუან-კარლოსთან ერთად და დღესაც მეგობრობს მასთან.

ზურაბი – უფროსი ძმა მუდამ მხარში ედგა უმცროსებს და ზრუნავდა მათზე. მათგან ქართული საზოგადოება ყველაზე კარგად შალვას – ჩარლზ ჩიხოტავას იცნობს. ისიც ესპანეთში ცხოვრობს და პირველად საქართველოში 1991 წლის 16 დეკემბერს ჩამოვიდა, შეხვდა ზვიად გამსახურდიას, ქვეყნის პირველ პრეზიდენტს და ამით მამამისის ოცნებაც აასრულა, ჩამოსულიყო დამოუკიდებელ საქართველოში. სამწუხაროდ, შალვას (ჩარლზი) დიდხანს არ

მოუნია მამის სამშობლოში ყოფნა – 22 დეკემბერს რუსთაველზე დაწყებული ომის გამო ინგლისს მიაშურა და უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა თავმჯდომარესთან, მედეა თუშმელიძე-შვილთან ერთად ლონდონში პრესკონფერენცია გამართა საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. დიდ ბრიტანეთში მაშინ პირველად ითქვა სიმართლე რუსეთის ნეგატიურ როლსა და ე.წ. „თბილისის ომში“ ჩრდილოელი მეზობლის „დამსახურებაზე“.

ჩარლზმა ლტოლვილი პრეზიდენტი გროზნოშიც მოინახულა და მისი დალუპვის შემდეგ, შევარდნაძის მმართველობის ჟამს, საქართველოში მეტად აღარ ჩამოსულა. 2004 წელს ჩარლზ ჩიხოტავა საქართველოში მეორედ ჩამოვიდა ფესტივალზე „ჩვენებურები“, 2005 წელს კი საქართველოს მოქალაქე გახდა.

დღეს მკითხველს შეუძლია, ქართულად გაეცნოს ჩიხოტავას უმშვენიერესსა და „მარადიული“ სიყვარულის „გულით დანერილ“ ისტორიას, როგორც წერს პიტერ ნეისმიტი. თუ ლიტერატურულმა გმირმა და ავტორის პროტოტიპმა შალვამ საყვარელ ქალსა და მარადიულ სიყვარულს – ტაიას თავისი რომანის ხელნაწერი უძღვნა, ნიკოლოზ ჩიხოტავასათვის მარადიული სიყვარული იყო სამშობლო, რისთვისაც გული გაიღო...

შოპენის მსგავსად

ვერის სასაფლაოზე, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესიის გვერდით ერთ საფლავში, დედისა და დის გვერდით დაკრძალულია ნიკოლოზ (ნიკი) ჩიხოტავას (ჭყონია) გული. 1984 წელს, სიკვდილის წინ ოჯახისათვის ანდერძად დაუბარებია – სხეული თუ არა, მშობლიურ მიწას ჩემი გული მაინც მიაბარეთო.



ბაბა-შვილი - ნიკი და ზურაბ ჩიხოტავა

ნიკის უფროსი ვაჟის, ზურაბ ჩიხოტავას თხოვნამ შენევაში საბჭოთა კავშირის გენერალური საკონსულოსადმი – შემწეობა აღმოეჩინათ მამის გულის საქართველოში ჩამოსვენებაზე, შედეგი არ გამოიღო. მეტიც, პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს. ამიტომ, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, 1987 წელს, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „გულის“ გმირის მსგავსად, ნოსტალგიითა და სამშობლოს ნახვის ნატვრით დაფერფლილი ჩიხოტავას გული დანვეს. ერთი წლის შემდეგ კი საქართველოში ტურისტებად ჩამოსულმა ზურაბის მეუღლემ მარიეტამ და ოჯახის მეგობარმა ოლგა ფონ დენმა, თბილისელ ნათესავებთან ერთად, ურნა, ნიკის დაფერფლილი გულით, ქართულ მიწას მიაბარეს. პანაშვიდი სიონის ტაძარში გადაუხადეს.

გარდაცვალებიდან 22 წლის შემდეგ, 2009 წელს, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციამ როსტომ ჩხეიძის ინიციატივითა და მამა კახაბერის ძალისხმევით, ვერის სასაფლაოზე პანაშვიდი გადაუხადა ნიკი ჩიხოტავას და აკურთხა მისი სიმბოლური საფლავი.

უდიდესი კომპოზიტორის – შოპენის მსგავსად (ვისი გულიც, ანდერძის თანახმად, პოლონეთში განისვენებს), ერთი ქართველის გულიც მშობელ მიწას მიაბარეს, რაც ასე ამაღლევებული და სევდისმომგვრელია.

1. მათე – იესოს მოწაფე და სახარების ერთ-ერთი ავტორი რას საქმიანობდა:

- ა) იყო მკურნალი;
- ბ) იყო გადასახადების ამკრეფი (მეზაყე);
- გ) იყო ვაჭარი.

2. როდის ხარჯავს ადამიანი უფრო მეტ კალორიას?

- ა) ძილის დროს;
- ბ) კითხვის დროს;
- გ) ტელევიზორის ყურების დროს.

3. სიმებიანი ინსტრუმენტების ცნობილი ოსტატის, XVII ს.-ში მოღვაწე – ანტონიო სტრადივარიუსის მოსწავლეები ვინ იყვნენ?

- ა) ახლობლის შვილები;
- ბ) საკუთარი შვილები;
- გ) შვილიშვილები.

4. ძალის რომელი ჯიშია ყველაზე ჭკვიანი?

- ა) ინგლისური კოლი;
- ბ) გერმანული ნაგაზი;
- გ) როტვეილერი.

5. სოფელი აიბლა აფხაზეთის რომელ რაიონშია?

- ა) გუდაუთის;
- ბ) ტყვარჩელის;
- გ) გაგრის.



6. „პორცელანი“ რომელი სიტყვის სინონიმია?

- ა) ფაიფურის;
- ბ) თიხის;
- გ) ბროლის.

7. ცნობილი კინოხელოვანი, „რეკორდის“, „კუჩხი ბედინერისა“ და სხვა ფილმების დამდგმელი რეჟისორი – გურამ პატარაია რომელი სახელოვანი ქართველი მოღვაწის შთამომავალია?

- ა) ნიკო ნიკოლაძის;
- ბ) პლატონ იოსელიანის;
- გ) დიმიტრი ყიფიანის.

8. ქალაქი პარიზი საფრანგეთის გარდა კიდევ რომელ ქვეყანაშია?

- ა) ბელგიაში;
- ბ) აშშ-ში;
- გ) გვინეაში.

9. რომელი ცნობილი ქართველი მხატვრის ნახატია „ფრთოსანი“?

- ა) პეტრე ოცხელის;
- ბ) გიგო გაბაშვილის;
- გ) ავთო ვარაზის.



«ფრთოსანი»

ჰომოს უთქვამს, რომ ყოველი ჩვენგანი, რაღაც ბაგებით, მათხოვარია: მათხოვარი სიცოცხლის, სიყვარულის, პატივის, ცრემლის... და მაინც, „მათხოვარი“ ყველაზე დამამცირებლად მაშინ ჟღერს, როცა ამ სიტყვის უკან მოწყალებისთვის ხელგანწვდილი აღამიანი, დანარჩენი სამყაროსთვის გაუზიარებელი არსება მოიაზრება. არავის აინტერესებს მისი განცდები, ტკივილი თუ სიხარული; არავინ კითხულობს, იძნებ, ცხოვრების ფსკერზე ყოფნა მისი არჩევანი კი არა, მოცემულობაა.

საინტერესოა თაშუნა ზაქარაიას მოთხრობა „მათხოვარი?!“ ახალგაზრდა ავტორი ცდილობს, ჩასწვდეს მათხოვრის ფსიქოლოგიას; დამაფიქრებელია მოხუცი მათხოვრის მოწოდება, მის მიერ აღამიანებაზე დაკვირვებით გამოტანილი დასკვნები. იგი, როგორც ქუჩის მითვალყურე და უნებლიე მოწვე, თვალს არ აცილებს სასტიკ, დალილი სამყაროს და უკვირს, რომ ამ ბალაღებულ, მუდამ მოჩქარა აღამიანებთან განსხვავებით, ისინი, მათხოვრები, „სიცოცხლის სურვილს მაინც არ კარგავენ“.

სამწუხაროა, რომ ცხოვრების განახლებად ქცეულავს ყველაზე უფრო აღამიანთა ბულრილობა ავინებთ, მტყიც, მცირელი თანაგრძნობის გამოსატყვევ კი მათში უნდობლობას იწვევს.

ბასმოცარია, როგორი უშუალოდ გადმოგცემს 13 წლის თაშუნა ზაქარაია მათხოვრის აზრებსა და განცდებს, თითქმის მის არსებას ითავისებებს. თუმცა თანაგრძნობაც ხომ ესაა-სხვისი ტკივილი შენს გულში.

მათხოვარი?!

თაშუნა ზაქარაია
13 წლის. სოხუმი

რა ტალახიანია ქუჩები. მივდივარ და თვალში მხოლოდ ეს მხედება. ქუჩის ბევრ კუთხეში ჩამჯდარან ასეთები, ჩემნაირები. გამვლელები მათ მაღლიდან დაჰყურებენ და არც ვიცი, თვლიან თუ არა რამედ, ჭეჭყად, ტალახად, ნაგვად... ის კი არ იცინა, რომ, ჩვენი თვალთახედვით, ზუსტადაც რომ ისინი აბინძურებენ ქუჩებს. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ყველანი აღამიანები ვართ?! ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ჩვენს ადგილზე თვითონაც შეიძლება, ყოფილიყვნენ? მათთვის აღამიანი ჯიბით ფასდება. ფული არის მათთვის, როგორც უფლება, იწოდებოდე აღამიანად. ასეთი „ტიპები“ მუდამ კარგად, სუფთად არიან ჩაცმულნი, ხანდახან ქუჩაში სიარულის დროს განზრახ ხმამაღლა ლაპარაკობენ, ყურადღება რომ მიიპყრონ და სხვებსაც დაანახონ თავიანთი სიმდიდრე.

რა სიმდაბლეა! კიდევ სხვები არიან... მათ არაფერი აინტერესებთ. მათი ხედვა საკუთარ „მე“-ს არ სცდება. მათ ჰგონიათ, რომ მსოფლიო მხოლოდ მათ ირგვლივ ბრუნავს; სხვებს ყურადღებასაც არ აქცევენ. ისინი თითქოს გაბრუნებულნი არიან იმ სიყვარულით, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ გრძნობენ. სხვისი ბედი არც აინტერესებთ. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ ასეთი აღამიანები სხვის საქმეში არ ერევიან, სხვისი არაფერი აღელვებთ; თანაც თვლიან, რომ არ ცდებიან, მართლები არიან.

არის აღამიანთა კიდევ ერთი კატეგორია... სიტყვის მფლანგველები... აი, ესენი მართლაც ახერხებენ ჩემნაირების გულის გატყვევას. მათ „სპეციალობაში“ შედის უიმედო აღამიანისთვის ცრუ იმედების მიცემა. მე ასეთები იმდენი შემხვედრია, რამდენ ნაწილადაც არის დამსხვრეული ჩემი გული. ძნელი სათქმელია, ამას რატომ

სჩადიან, მაგრამ რატომღაც ისინი მუდმივად ახერხებენ, შინაგანად დათრგუნულ და უიმედობისგან ზღვრამდე მისულ აღამიანებს თაფლივით ტკბილი სიტყვები დააყარონ. იმდენ „თბილ“ სიტყვას მოიშველიებენ, რომ თვითმკვლევობამდე მისულ აღამიანსაც შეაგულიანებენ, მეორედ მოსვლამდე ცხოვრების გაგრძელებაში დაარწმუნებენ.

საკუთარ პერსონას დაბეჩავებულთ ისე წარმოუჩენენ, თითქოს კლდედ დადგებიან მათ გვერდით და არასდროს მიატოვებენ... მაგრამ... სამწუხაროდ, ერთ დღეს ეს კლდე ისევე არ იარსებებს და ისევე გაურკვევლად გაქრება, როგორც გაჩნდა... ასეთ უგულვო აღამიანებს დიდი ამრეხით ვუყურებ.

მე ვინ ვარ? ვინ უნდა ვიყო... ჩვეულებრივი, მოხუცი მათხოვარი. მთელი დღეები უსინათლო თვალებით დავლასლასებ ქუჩაში და ლუკმა-პურის შოვნას ვცდილობ. ჯერ კიდევ მიკვირს, ცოცხალი როგორ ვარ... ჯერ კიდევ მიკვირს, როგორ მომყვება ფეხები... მიკვირს, ყოველ დილას რა ძალა მაყენებს ახალი დღის შესახვედრად.

ოჯახი არ მყავს; რომ მყავდეს, ასეთი ხომ არ ვიქნებოდი... მაგრამ, არა, შეიძლება, მაინც ვყოფილიყავი. ხომ არის ხოლმე, ოჯახიდან ისე გააგდებენ ვინმეს, რომ ორიოდ დღეში მის სახელსაც დაივიწყებენ... მაღლობა ღმერთს, ჩემთვის მიუღებელი აღამიანები ბევრი არ მყავს... რომც იყვნენ, საწყალ ჩემს გულს, რომელიც ძლივსაა მაცოცხლებს, ვინ იცის, რამდენი ბრაზის ატანა მოუწევდა...

მათხოვრობა ბევრს ცუდი ჰგონია. რა თქმა უნდა, ჩვენი ცხოვრება შორსაა ნათელისა და ფერადისაგან. არ ვუარყოფ, რომ საჭმელი და სასმელი არ გვაქვს და ყოველი დღე ჩვენთვის, შეიძლება, ბოლო იყოს...



მაგრამ მაინც, კარგია იმით, რომ შინაგანად ჩვენ სუფთები ვართ. აბა, რა იქნება? ჩვენ ხომ არავინ გვყავს ისეთი, ვისაც ზემოდან გადმოვხედავთ? ჩვენი სული არაა შელახული ამპარტავნობით.

სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ სიტყვის ფასიც ვიცით, იქნება ეს ჩვენი თუ სხვისი ნათქვამი.

„სხვა რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ ჩემი ცხოვრება არაა იმდენად მრავალფეროვანი, რომ ბევრი მოყოლა იყოს საჭირო.

ერთი ის კი ვიცი, რომ ძალას არ ვიშურებთ, რას არ ვაკეთებთ, ოღონდაც ვიცოცხლოთ, გავძლოთ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი დღე წამებაა ჩვენთვის, ცხოვრების სურვილს მაინც არ ვკარგავთ, ბოლომდე ვიბრძვით და სიკვდილის კლანჭებში ჩავარდნის უფლებას საკუთარ თავს არ ვაძლევთ. მე არ დავუშვებ, სულიერად იმდენად დავეცე, რომ უფლის ბოძებული სიცოცხლე საკუთარივე ხელებით დავასრულო. მართალია, ცუდი და ძნელი ცხოვრება მაქვს, მაგრამ რა?! ეს ვის აინტერესებს? მთავარია, სუნთქვა და აზროვნება შევძლო; მთავარია, სიკვდილის დადგომის დროს არაფერი მქონდეს სანანებელი.

ახლაც ფიქრების კორიანტელში ვიყავი გახლართული, როცა მოულოდნელად ყვირილის ხმა გავიგე:

– გაინიე! გაინიე!

მეც სწრაფად გავდგი ფეხი გვერდზე, რომ ამცილებოდა ეტლი, რომელიც წამის წინ ჩემი მიმართულებით მოქროდა.

როდესაც ეტლის შიგნით მყოფ ადამიანს მოვკარი თვალი, შევამჩნიე,

რომ ვერც კი დამინახა. მას ალბათ არც აინტერესებდა, მისი ეტლის ბორბლებქვეშ მოვხვდებოდი თუ არა. არც გამკვირვებია; მაგრამ გამომწვევად მდიდრულმა მისმა სამოსმა და ქედმაღლურმა მზერამ მაინც მაფიქრებინა, რომ მის სამყაროში ჩემნაირებისთვის ადგილი არ იყო.

არ მინდოდა ამაზე მეტი ფიქრი და ტყუილად გონების ბრაზით ავსება.

ლამდებოდა.

მივხვდი, რომ ჩემი გარეთ დარჩენა აღარ შეიძლებოდა; ამიტომ გეზი ავიღე იმ ადგილისაკენ, რომელსაც სახლს ვუწოდებდი.

როდესაც ქალაქის ხალხმრავალ უბანს გავცდი, მივაღიქვი მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ, ხავსმოდებულ ნაგებობას. სახურავი კი ჰქონდა, მაგრამ თავის ფუნქციას ის თითქმის უკვე ვეღარ ასრულებდა.

როგორც კი შენობაში შევდგი ფეხი, სითბო ვიგრძენი. ოთახის შუაგულში ცეცხლი გიზგიზებდა. კოცონს ირგვლივ მისხდომოდნენ ჩემთან ერთად მცხოვრები მათხოვრები. მათი ლანდები გაურკვეველი ფერის კედლებზე შავად მოჩანდა.

მეც მათ მივუჯექი და მალე გავთბი. აქეთ-იქით მიმოვიხედე და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გული მეტკინა. ოთახში მსხდომნი, რომლებსაც მე ოჯახის წევრებად მივიჩნევდი, ჩუმად უმზერდნენ ცეცხლის ენებს; ალი ისე იკლანებოდა, თითქოს, ლაპარაკს ცდილობდა. შეშინებულ-დამფრთხალი ბავშვები, დედის ხელებში მოქცეულნი, ორიოდ კურცხლის გადმოგდებას თუ ბედავდნენ. ყველაზე მეტად ბავშვები მეცოდებოდნენ – რით დაიმსახურეს მათ ასეთი ცხოვრება? რატომ უნდა გასცნობოდნენ სამყაროს შეუბრალებელი კუთხით? არც ჰქონდათ საცოდავებს არჩევანის უფლება.

ერთი გოგონა მალევე ადგა და ჩემსკენ ნელა, სუსტი ფეხებით წამოვიდა. ვერ შევძელი, მისთვის თვალეში ჩამეხედა და მზერა ჩემი მოკანკალე ხელებისკენ გადავიტანე. როცა გოგონა მომიახლოვდა, არც მაშინ ამიწვეია თავი; მან მე ხელებში პურის ნაჭერი ჩამიდო.

ის ხშირად აკეთებდა ასე, ხედავდა, რომ მოხუცი ვიყავი; ამიტომ თავისი ისედაც ღარიბი ულუფის ნახევარს ხშირად მე მიწილადებდა ხოლმე. მეც, მისთვის გული რომ არ გამეტეხა და სიკეთის გაკეთების საშუალება მიმეცა, ზოგჯერ ვიღებდი კიდევ მის ნაბოძებს. დღეს კი ხელცარიელი დავბრუნდი – ამიტომ ვერავისგან ვერაფერს მივიღებდი.

სანამ გოგონა წავიდოდა, მე ის გავაჩერე და განვდილი ხელით პურის ნაჭრის დაბრუნება ვცადე. მან უცებ თავი გააქნია, თვალეში ჩამხედა და ყველაზე თბილი ღიმილი მაჩუქა, რაც კი ოდესმე მენახა.

– არა, ბაბუ, ეს შენ უფრო გჭირდება!

მერე ის ისევ დედის ხელებს დაუბრუნდა.





ახლაც ქუჩაში ვარ; გუშინდლისგან განსხვავებით, ძალიან ცივა. ისეთი ყინვაა, გგონია, რომ სიცივე გულამდეც აღწევს... მაგრამ რა მენალვლება, ჩემს გულს ბუნებამ რა უნდა უქნას ისეთი, რაც ადამიანმა ვერ უყო?..

ვზივარ ქვიან მიწაზე, თავი მაქვს დახრილი და წინ მიდგას რკინის ჭიქა, რომელშიც ხურდა ფული საათში ერთხელ თუ გაჩხრილდება. არასდროს მსიამოვნებდა ადამიანებისგან რამის მიღება, მაგრამ სხვა გზა მაქვს? მე ეს არ მინდა, ეს ჩემს „ოჯახს“ სჭირდება.

სალამო დადგა, მზე ნელ-ნელა ამოეფარა თმააბურღულ ხეებს. ჯერ წასვლას არ ვაპირებდი, უფრო მეტის შეგროვება მინდოდა. ბოლოს სიცივეს მაინც ვერ გავუძელი, მთელი სხეული მიკანკალებდა, ხელები და სახე გამფითვროდა. ავდექი, როგორც შემედლო, ნელში გავიმართე, რამდენიმემონეტისანი რკინის ჭიქა ავიღე და გავეშურე ერთადერთი ადგილისკენ, სადაც თბილოდა...

ძლიერი ქარის გამო, რომელიც თავდახრილს სახეში მირტყამდა, ვერც შევამჩნიე ჩემს წინ მიმავალი ადამიანი და პირდაპირ შევეჯახე. მე ველოდი სიტყვებს, სხვა დროსაც არაერთგზის გაგონილს: „იყურე, სადაც მიდიხარ!“, „გზიდან მომშორდი!“, „რას აკეთებ?! შენნაირები არც უნდა დადიოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ჩვენ დავდივართ!“

მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, სრულიად მოულოდნელი სიტყვები

ჩამესმა:

– ბოდიში, მაპატიეთ, ჩავფიქრდი და ვერ შეგამჩნიეთ, ბაბუ!

გაფართოებული თვალებით ჩემს წინ მდგომ კაცს შევხედე. ეს იყო საშუალო სიმაღლის, ყავისფერთმიანი და ცისფერთვალეა ახალგაზრდა. მას თბილად ეცვა, ლამაზადაც, მაგრამ მომეჩვენა, რომ მისი ტანსაცმელი არ ყვიროდა სიტყვას „მდიდარი!“ მის ლურჯ თვალებს დავაკვირდი: მათში ისეთი ნათება იყო, რომელიც ადრე არავისთან მენახა. ახალგაზრდა კაცმა ძალზე დამაინტერესა.

უცებ სხვა რალაცაც შევამჩნიე – ის მე მილიმოდა... განცვიფრებული და ოდნავ შეშინებულიც კი შევეყურებდი... ქუჩაში ჩემთვის არასდროს, ვიმეორებ, არასდროს არავის გაუღიმიდა.

ყმანვილს ოდნავი გაკვირვებაც გამოეხატა სახეზე. ჯერ ამათვალისწინებ-ჩამათვალისწინებ, მერე უსიტყვოდ თავისი თბილი, და როგორც ეტყობოდა, ძვირადღირებული ლაბადა გაიხადა და მხრებზე შემომახვია.

– ცივა, ბაბუ, აი, ეს გაგათბობთ. სად არის თქვენი სახლი? ნება მომეცით, მიგაცილოთ!

თითქმის შეუძლებელია, იმწუთიერი ჩემი განცდების გადმოცემა. არ მგონია, რომელიმე ენაში იყოს თუნდაც ერთი სიტყვა, რომელიც ჩემი გაოგნების გამოხატვას შეძლებდა.

ყმანვილი ჩემს წინ იდგა და პასუხს ელოდა. მე კი სიტყვები ყელში მეჭვადებოდა, ვერაფერს ვახერხებდი. მერე თითქოს ძალა მოვიკრიბე, მაგრამ მაინც ვერაფერი ვთქვი; ბოლოს გადავწყვიტე, ქურთუკი გამეხადა და პატრონისთვის დამებრუნებინა. ახალგაზრდა კაცმა შემაჩერა, თავისი თბილი ხელები ჩემსას, ჯერ ისევ ცივს, დაადო და ჩამესმა ნამდვილად თაფლივით ხმა:

– არა, არა, ბაბუ, დაიტოვე, თქვენ ის უფრო გჭირდებათ, გქონდეთ! ახლა კი, გთხოვთ, მითხრათ, სად ცხოვრობთ?

– შვილო, – მძიმედ დავიწყე მე, – არ გინდა, ჩემთვის ნუ ხარჯავ შენს დროს! მე ხომ უბრალო მოხუცი მათხოვარი ვარ!..

– არ თქვათ, ასე, ბატონო, არ არის ასეთი ცნება, როგორც მათხოვარი. ჩვენ ხომ ყველანი ერთნი ვართ. რომ დაფიქრდე, დედამინის ზურგზე მყოფი ყველა ადამიანი ერთმანეთის ნათესავია და ყველას ძალიან, ძალიან შორეული წინაპარიც ერთი გვყავდა.

ყურებს ვერ ვუჯერებდი, ნუთუ ამას მართლა ამბობდა? მერე ისევ ჩემი საცხოვრებელი ადგილი მოიკითხა; ამჯერად გზას ერთად გავუყვით. ცოტა ხანში ყმანვილს ახვედე და დავუსვი კითხვა, რომელიც მთელი ის დრო თავში მიტრიალებდა:

– შვილო, ამას რატომ აკეთებ?



– რატომ? – შემომხედა ახალგაზრდამ, მერე მალა აიხედა, ცოტა ხანი ჩაფიქრდა და ისევ განაგრძო, – განსაკუთრებული მიზეზი არცა მაქვს; უბრალოდ, როცა ვნახე, რომ მარტო იჯექით ასფალტზე, ისიც ამ ყინვაში, გვერდი ვერ აგიარეთ...

ნუთუ... ნუთუ ეს ახალგაზრდა კაცი არ მესიზმრება, ნუთუ ნამდვილია?.. თუ ისეთი სახის ადამიანია, რომლებზეც მხოლოდ ზღაპრებში თუ მსმენია?..

– შვილო, კადნიერებაში თუ არ ჩამითვლი, იქნებ... შენი სახელი მითხრა? – ყოყმანით ვკითხე ახალგაზრდას.

– რას ამბობთ, ბაბუ, რას ნიშნავს უზრდელობაში ჩაგითვალოთ, პირიქით! ჩემი სახელია ნიკოლოზი, – ღიმილით მომიგო მან, – თქვენ რა გქვიათ, ბაბუ?

თავიდან ცოტა დავიბენი, არ ვიცოდი, უნდა მეთქვა, თუ არა. იმის გამო, რაც წარსულში თავს გადამხდა, სულ ფვრთხილობდი და ხალხის მიმართ ნდობა დაკარგული მქონდა.

დიდი ხანია, რაც ჩემი გული გარე სამყაროსგან დიდი კედლით გავემიჯნე და იქ არაფრის შეღწევის უფლებას არ ვაძლევდი. მაგრამ ამ შემთხვევაში რაღაც მიბიძგებდა ამ კარიბჭის გაღებისკენ და იმ სინათლის შემოშვებისკენ, რომელიც ნიკოლოზის თვალებიდან იღვრებოდა.

– მე, შვილო, კონსტანტინე მქვია, – მის კითხვას ოდნავი ფიქრის მერე ვუპასუხე.

– კეთილი, ბატონო კონსტანტინე, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა!

მე თანხმობის ნიშნად უბრალოდ თავი დავუქნიე.

შემდეგ კი ახალგაზრდამ მზერა ჩვენს წინ, სახლის მსგავს შენობაზე გადაიტანა.

– ბატონო კონსტანტინე... თქვენ რა... აქ ცხოვრობთ?

ადვილი შესამჩნევი იყო მის ხმაში გაოცება და გულდანყვეტილობა. მის თვალებში თითქოს ასახულიყო ტკივილი ჩემი ცხოვრების გამო. შეიძლება, ეგოისტურადაც კი ჟღერდეს, რასაც ახლა ვიტყვი: ოდნავ მესიამოვნა, ეს რომ ვნახე. არა... არასწორად არ გამიგოთ, მე მსიამოვნებდა არა მისი ტკივილი, არამედ მისი ზრუნვა და თანაგრძნობა ჩემს მიმართ.

– შვილო, ნიკოლოზ... – ჩემმა ხმამ ის თითქოს გამოაფხიზლა, თავი ჩემკენ მოაბრუნა და თვალებში ჩამხედა, – დიდი მადლობა გაცილებისთვის. ეს მადლიერებაა, ჩემი გულიდან რომ მოდის... დამიჯერე, შენნაირი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. სამწუხაროდ, არაფერი მაბადია და ამ სიკეთეს ვერაფრით გადაგიხდი...

მან სათქმელი ბოლომდე არ დამასრულებინა და თბილი ხმით მომიგო:

– რას ამბობთ, კონსტანტინე ბატონო? როგორც თქვენი მადლობა, ჩემი ყურადღებაც თქვენს მიმართ ჩემი გულიდან მოდის; ამიტომაც, არაფრის გადახდას მე არ ვითხოვ, – თბილი ღიმილით დამშვენებული სახე ახალგაზრდას უფრო მეტად განათებოდა.

კიდევ ერთი-ორი ტკბილი სიტყვა შემეგება.


მალე ერთმანეთთან დამშვიდობების დროც დადგა. ისიც კი მომეჩვენა, რომ ნიკოლოზს ჩემი აქ დატოვება არ უნდოდა; მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უცებ დამემშვიდობა და ოდნავ ჩქარი ნაბიჯებით გამცილდა.

ჩვენს შენობაში მაშინ შევედი, როცა ჩემგან უკვე საკმაო მანძილზე დაშორებული ახალგაზრდა კაცი სქელი ნისლის საბანში გახვეულიყო.

ის ღამე თითქმის არ მიძინია. ჩემი ფიქრები ნიკოლოზს დასტრიალებდა. უცნაური იყო... მისნაირები მე, მართლაც რომ, არ შემხვედრია. ადამიანთაგან, რომელთაც ვიცნობდი ან რომელთაც ცხოვრებაში შევხვედრივარ, ასე არავის გავუოცებია. ყველა დანარჩენი ერთმანეთს ჰგავდა გულგრილობით, გულქვაობითა და ბოროტებით...

ეს კი... ეს სხვა იყო... ეს ადამიანი მონეტის მეორე მხარის მსგავსი იყო, სუფთა, ბრწყინავი, განსხვავებით მეორისგან, რომელიც მთლიანად ტალახში იყო ამოგანგლული.

რამდენიმე საათი მოვანდომე ამაზე ფიქრს, სანამ საბოლოოდ არ ჩავიძირე სიბნელეში და არ გადავეშვი უსიზმრო ძილში.



არტურ ლაისტი

დაბადებიდან – 170 წ. გარდაცვალებიდან – 95 წ.

არტურ ლაისტი-გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საქართველოს დიდი მოაზარებელი, ავტორი ქართველ ხალხსა და კულტურაზე დანერგული მრავალი წერილის, მათ შორის, ნაშრომის „ქართველი ხალხი.“ მისი თხზულებათა კრებული „საქართველოს გული“ გამოცემულია ორ წიგნად. ლაისტს ეკუთვნის მოთხრობები: „ქეთივანე“, „ვარო“, „ვარიანდიანთა ნინო“ და სხვა. 1918 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში მიწვეული იყო გერმანული ენის ლექტორად.

არტურ ლაისტი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუღალავად იღვწოდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, შეისწავლა ქართული ყოფა და კალმით გააცნო ყველას იგი. 1922 წელს მაღლიერმა ქართულმა საზოგადოებამ ლაისტს გადაუხადა საქართველოში მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.

არტურ ლაისტი გარდაიცვალა 1927 წლის 22 მარტს, 75 წლის ასაკში, ფილტვების ანთებით. დაკრძალულია თბილისში, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დივანის ანთემოში.

მივიწყებული ლიტერატურა



ფოტოგრაფი „ახალი ლაისტი“

არტურ ლაისტი დაიბადა 1852 წლის 8 ივლისს გერმანიის ქალაქ ბრესლაუში, სილეზიელი პედაგოგის ოჯახში. დაამთავრა ბრესლაუს უნივერსიტეტი. 22 წლისამ დაიწყო ჟურნალისტური საქმიანობა. გერმანულ ენასთან ერთად, ბრწყინვალედ ფლობდა პოლონურსაც; ვარშავაში მუშაობდა სამი გერმანული გაზეთის კორესპონდენტად. 1876 წელს დასახლდა ლოძში, დაუახლოვდა ბოლესლავ პრუსსა და ჰენრიხ სენკევიჩს.

არტურ ლაისტს მიაჩნდა, რომ „რაგინდ მცირერიცხოვანი იყოს ხალხი, ის მაინც ფლობს საკმაო რაოდენობის სულიერ სიმდიდრეს, რომელიც არ უნდა დაიკარგოს.“ იგი ქართველი ხალხითა და მისი ისტორიით ადრე დაინტერესდა. 1881 წელს, იტალიაში მოგზაურობისას, გაიცნო საქართველოს დიდი თაყვანისმცემელი – გერმანელი მწერალი ბოდენშტედტი; მისი რჩევით გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა. ამ მიზნით მწერალი დაუკავშირდა

ნიკო ნიკოლაძეს, დიმიტრი ერისთავს, იონა მეუნარგიას, აკაკი წერეთელს... 1882 წელს პოლონურ პრესაში დაიბეჭდა მისი წერილი „ქართველებისა და სომხების ლტოლვა განათლებისკენ.“

არტურ ლაისტს აინტერესებდა, ეპოვო მეტი შეხების წერტილი ქართულ ლიტერატურასთან და ყოფასთან, რაშიც მას დაეხმარა აკაკი წერეთელი. 1883 წელს გერმანულ გაზეთში გამოქვეყნდა ლაისტის მორიგი ნაშრომი „მივიწყებული ლიტერატურა.“ მწერლის აზრით, „სიმცირის გამო ამ ერის (ქართველ ერის) ისტორია სათანადოდ ვერ აისახა მსოფლიო ლიტერატურაში, თუმცა ეს ხალხი სახელოვნად ასრულებდა თავის მისიას კაცობრიობის წინაშე. ასეთივე ბედი ეწია მისი გონების ძვირფას ნაღვანს კაცობრიობის საგანძურში. იგი არ აისახა ლიტერატურის არც ერთ ისტორიაში. ასეთი რამ, ერთის მხრივ, შეურაცხმყოფელი უგულვებელყოფაა ამ ერის ღირსი პოეტებისა და მწერლებისა, მეორე მხრივ, დანაკლისი ჩვენთვის იმ დროს, როდესაც დასავლეთში ესოდენ დაცემულია შემოქმედებითი ძალები.“

შუაპაცი ჩვენსა და ევროპას შორის

საქართველოში არტურ ლაისტი ლაისტი პირველად 1884 წელს ილია ჭავჭავაძის მოწვევით ჩამოვიდა. 1 ივნისს თბილისის რკინიგზის სადგურში მას დახვდნენ გამოჩენილი ქართველი მამულიშვილები. ამ თბილმა შეხვედრამ ლაისტს გული აუჩუყა და მაღლიერმა ქართულად წარმოთქვა: „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები...“

იმავე დღეს ილიამ სტუმრის პატივსაცემად გამართა სადილი, სადაც ასე ადღეგრძელა იგი (სიტყვა ილიამ ქართულად თქვა და ლაისტს გერმანულად გადაუთარგმნეს): „...არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც, ჩვენდა სასახლოდ, კისრად იდო შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა – ჩვენ გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხს, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან... სიტყვა ბატონი ლაისტისა მოჰფენს მთელს განათლებულ ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადღაც არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია, და იმ პატარა სამოთხეში სცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა...“

გერმანელი მწერლის ჩამოსვლას ინტერესით გამოეხმაურა ქართული პრესაც.

არტურ ლაისტი თბილისში ორი კვირა დარჩა. ამ ხნის მანძილზე იგი საფუძვლიანად გაეცნო დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მოინახულა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.“ შთაბეჭდილებებითა და საჭირო მასალებით დატვირთული, ცრემლმორეული დაემშვიდობა მასპინძლებს. პოლონეთში დაბრუნებულმა, 1885 წელს, მან ლაიფციგში პოლონურ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველო, ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა.“ იმავე წელს არტურ ლაისტი კვლავ ეწვია საქართველოს. მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, გერმანულად ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (პომას პირველი ვიზიტისას გაეცნო). მართლაც, რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ლაისტმა თარგმნა ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, აკაკი წერეთლისა და დიმიტრი ერისთავის დახმარებით. ეს იყო რუსთაველის პირველი თარგმანი (პროზაული) ევროპულ ენაზე.

ამჯერად არტურ ლაისტმა საქართველოში დაჰყო 4 წელი. მუშაობდა ნაყოფიერად, თარგმნა ქართული პოეზიის ანთოლოგია, თანამშრომლობდა „ივერიასთან“, ესწრებოდა წარმოდგენებს... სამშობლოში დაბრუნებულმა დრეზდენში დაბეჭდა უკვე მომზადებული წიგნები. იტალიაში, ავსტრიასა და თურქეთში მოგზაურობის შემდეგ, 1892 წელს, საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და სამუდამოდ დაფუძნდა თბილისში. აქვე იქორწინა მარია ბაიტლინგერზე, თბილისში მცხოვრებ გერმანელ ქალზე.




«ვეფხისტყაოსნის» ლაისტის მიერ თარგმანი ბამოსაში 1890 წელს ბაჩანიში

„შინაური კაცი“

ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ძნელად თუ ვინმეს უმეგობრდებოდა, არტურ ლაისტს გაცნობის პირველივე დღეებიდან დაიახლოვა. ილია დიდად აფასებდა გერმანელი კაცის საქართველოსადმი უანგარო სიყვარულსა და მეგობრობას, ის ქართველებსა და გერმანელებს შორის შემაერთებელ ხიდად მიაჩნდა; ამიტომ ფართოდ გაულო თავისი გულისა და სახლის კარები. როგორც იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს: „იგი (ლაისტი) თითქმის შინაურ კაცად იყო ილიას ოჯახში.“

თავის მხრივ, ლაისტი უდიდეს პატივს სცემდა ილია ჭავჭავაძეს; მის მოგონებებში ვკითხულობთ: „დიდებული იყო წუთები, როცა მშვენიერ საგურამოში, მთვარით განათებულ ღამეებში მის გვერდით აივანზე ვიჯექი და იგი მშვიდი, მაგრამ საზეიმო კილოთი გოეთებზე, შილერსა და სხვა დიდ პოეტებზე საუბრობდა... აქ დაინერა ბევრი მისი ლექსი, აქ მაცნობდა თავისი მშობლიური ქვეყნის პოეტურ საგანძურს და აქ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მეგობრობას, რომელიც ოც წელიწადზე მეტხანს, მის უეცარ გარდაცვალებამდე გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი არ მიჰკარებია.“

სწორედ არტურ ლაისტმა, რომელიც 21 აგვისტოს საგურამოში სტუმრობდა ილია ჭავჭავაძეს და იქ 6 დღე დაჰყო, შემოგვინახა დიდი მამულიშვილის უკანასკნელი დღეების დოკუმენტური ჩანაწერი.



ახალი ლაისტის წიგნი, ბამოსაში საქართველოში 1963 წელს



ილია ჭავჭავაძე ბაბულისთან, ოლია ბახაიძისთან ერთად. საბაქათო

ლაისტის მოგონებით, ილია სულ გულჩათხრობილი იყო, მის სახეს ღიმილი არ ეკარებოდა, თითქოს რაღაც ავისმომასწავებლად უცემდა გული, თითქოს გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ენერა.

27 აგვისტოს, ორშაბათს, არტურ ლაისტი და ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან, ოლია გურამიშვილთან ერთად ეტლით წამოსულან თბილისში. ცას ღრუბელი მოსძაღებოდა, მალე წვიმაც წამოსულა და რადგან ფაეტონი გადახურული არ ყოფილა, ყველა დაუსველებია. ჩაფიქრებულ ილიას ერთ-ორჯერ უთქვამს, გაციების მეშინიაო.

30 აგვისტოს, როცა ილიამ საგურამოში დაბრუნება გადაწყვიტა, ლაისტმა, როგორც უახლოესმა მეგობარმა, ურჩია, არ წასულიყო თბილისიდან. სამწუხაროდ, წინამართან მაინც გაისმა საბედისწერო გასროლის ხმა. არტურ ლაისტმა თავის წიგნში „საქართველოს გული“ რელიეფურად გააშუქა ქართველთა სიამაყის – ილია ჭავჭავაძის პიროვნება და ცხოვრება.

საქართველო – მეორე სამშობლო

არტურ ლაისტმა გულით შეიყვარა ქართველი ხალხი, მისი კულტურა, უანგაროდ და მეგობრულად უწვდიდა ხელს ყოველ ნიჭიერ ქართველს. საქართველო მისთვის მეორე სამშობლო გახდა.

„საქართველოს სიმშვენიერე ისევე ძნელი აღსაწერია და მიუწვდომელი, ვით უთვალავი თვალ-მარგალიტი აღმოსავლეთის საარაკო მფლობელისა. დიახ, ძნელია, მაგრამ ვისაც უყვარს საქართველო, მისთვის საამურია მისი სილამაზეზე ლაპარაკი,“ – წერდა ლაისტი სტატიაში „საქართველოს სილამაზე.“

საინტერესოა მწერლის ჩანაწერი ბათუმზე: „ვინც ევროპიდან ბათუმს ჩამოვა, პირველად უეჭველად იფიქრებს, სამოთხეში მოხვდიო.“

არტურ ლაისტი, სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, მთელი არსებით ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ საქმიანობაში; მუდმივად შრომაში გართული, ცდილობდა, ერთმანეთთან დაეახლოებინა ქართველი და გერმანელი ხალხი. ევროპიდან სისტემატურად იწვევდა სპეციალისტებს, ხოლო საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში სასწავლებლად მიმავალ ქართველ ახალგაზრდებს ფინანსურად ხელს უმართავდა, გზას ულოცავდა და თან, თანამემამულე პროფესორებთან ატანდა სარეკომენდაციო წერილებს.

ლაისტის მეცადინეობით საქართველოდან გერმანიაში სხვადასხვა ხელობის უკეთესად შესასწავლად აგზავნიან მთელ რიგ ხელოსნებს; მეცნიერი შუამდგომლობს გერმანიის მთავრობასთან, რომ გამოაგზავნონ ინსტრუქტორები ქართველთა შორის ახალი ტექნოლოგიების დასაწერად... აარსებს გერმანული ენის კურსებს, ცდილობს, თავის მხრივ, ქართველებსაც გააცნოს გერმანული კულტურა და ხალხი.



არტურ ლაისტი საშუალო ხაზინაში

XIX ს.-ის დამდეგს საქართველოში არსებობდა ჩამოსახლებაზე გერმანელთა ახალგაზრდა. სწორედ მათთვის, კავკასიელი გერმანელთათვის 1906 წელს არტურ ლაისტმა დააარსა გერმანულენოვანი ყოველკვირული გაზეთი „კავკასიურ პოსტი“, რომლის მეშვეობით გერმანელი მკითხველი სისტემატურად იღებდა ცნობებს თბილისიდან. დააფუძნა გერმანულ-ქართველთა მეგობრობის საზოგადოება.

1922 წლის 22 ოქტომბერს კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა წერილი, სადაც არტურ ლაისტზე ამოხსნა: „როცა ჩვენ ტარდის „ევროპულ“ ვხედავთ, ჩვენ ამ მცნებაში ის კატაგორიულად უნდა გავარჩიოთ, რომელსაც გოეთე „კარგ ევროპულს“ უწოდებდა... გოეთესებრ კარგ გერმანულს არაფერი საერთო აქვს ევროპულ კომივიზიზმთან, ბრილიანტების სპეკულანტთან, ევროპულ ჟურნალისტთან. კარგი ევროპელი კულტურტრეგებარია უპირველესი რანგისა. იგი უანგარო ფუტარია, თავისი ერის კულტურის მატარებელი და მინერგა. ასეთი არის არტურ ლაისტი.“

საკიბელი

ჩვენთან - ენაჰს ბაღა

აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა
- ისტორიული ძეგლი 3

პირობა - დეპიუტი

ნანა ქადაგიშვილი
კაჭკაჭის გუმბული 4

ფეხბანთი მომავალი ნიბნიდან

იოსებ ჭუმბურიძე
თანამდები სული 8

დავით ერქომაიშვილი

ჩემი მამა - ანგორ ერქომაიშვილი 9

უხანიანი ჰოეზი

იური შერვაშიძე
ავტორიტრები ჰოეზის ნიბნიდან 11

ო, ენა ჩემო

..... 12

ბახთუბი შენთვის

გი დე მოგასანი
წერილები დედას 14

ზღვა და ქვიშა

გურამ ბათიაშვილი
„რუსები ოღონდ ნებით გაგვიცალონ...“ 16

უხანიანი ბანდოქით

გურამ პეტრიაშვილი
ეს ღვთისგან იყო 18

ბიბლია აბაე

ნუნუ ჯანელიძე
მაღა 21

ქიხი

..... 24

13 თვე და 13 დღე

მერაბ დუნდუა
რაც ომამ მიამო 26

მოცხობი

ტივადარ ჩონტავარი - „უნგრული ფიროსმანი“ 30

დედისმოხი

ლალი მიქაძე
ჩვენი ომამი 32

თახბანი

ნიკოლ კაზანდაკისი
ამათა მჭამელი 35

ხალიქოსი

დიდთა უკანასკნელი სიტყვები 38

დახუნებამდე სათქმელი

დაჩი ახვლედიანი
ზომამ ანათია ომის დედას 40

იხის ნახშირი

..... 43

მხალქუიქიანი მსოფლიო

ისრაელი 44

ეპიგრაფიკის დღე

რუსუდან დუშვილი
სამშობლოში დაბრუნებული გული 48

ხითხვა-პანუხების ციხიქითი

..... 51

დაფიქონი

თამუნა ზაძარაია
მათხოვარი?! 52

ჩვენი ბა ბავშვობიდან

არტურ ლანსტი 56

ჩვენი მისამართი:

ძ. თბილისი, უზნაძის ძ. № 68.

ტელ.: (+995) 598 93 92 84
(+995) 599 12 66 80

ვებ-გვერდი: www.ialkani.ge
ელ-ფოსტა: print@csya.ge

იალქანი № 2 (51). 2022 წ.

ტირაჟი: 300 ც.
ფასი სახელმწიფოებრივად

COLOR GROUP გამომცემლობა „კოლორი“



ქურნალი გამომდის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით



„მთვარის შუქზე“. ნატალი გომეაძე. 15 წლის. თბილისი.

ISSN 1512-2026



9 771512 202008